პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- იტალია-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გამწვავება.
- მოლაპარაკება გერმანიის ახალი მთავრობის შედგენის შესახებ.
- გერმანელი მენშევიკები ფაშისტური „ფოლადის მუზარადის" დემონსტრაციის სადარაჯოზე.
- ინგლისის კომპარტიის საარჩევნო მოწოდება.
- საბჭოთა ესკადრის უფროსი ამხ. ორლოვი ქემალ-ფაშასთან.
- საბჭოთა კავშირის ექსპედიცია დირიჟაბლ „იტალია"-ს მოსაძებნად.
- მოსკოვის საბჭოს პლენუმი მაქსიმ გორკის საპატივსაცემოდ.
- ციკლონი ასტრახანზე.—ქალაქის ქუჩებში ნავები დადიან.

შაბათი, 2 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 126 (2169)

ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა დასტოვოს პეკინი

სამხრეთელების ჯარები 11 კილომეტრით დაუახლოვდნენ პეკინს

დიდი ანტი-იტალიური დემონსტრაციები სამხრეთ-სლავიაში.—იტალიის პროტესტი

სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნო
ამით აცხადებს, რომ
აჭარისტანისა და აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკების სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ცაკისა და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა
— თათბირი —
გაიხსნება
ა/წ. ივნისის 2-ს. დილის 10 საათზე. სასახლეში (წითელ დარბ.)
სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნო.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაობა

საბჭოების ძირითადი ორგანოების მუშაობის განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისათვის. საბჭო სოფლად და ქალაქად წარმოადგენს ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კულტურულ მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ღერძს, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენი დაწესებულება ორგანიზაციების საქმიანობა.

ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმის ცოდნა, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად მუშაობენ საბჭოების ძირითადი ორგანოები. ამ მიზნით სისტემატიურად უნდა ხდებოდეს საბჭოთა ქვედა ქსელის საქმიანობის შემოწმება და მორიგ პრაქტიკულ დირექტივების დასახვა მათ მუშაობაში. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მიერ საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაკთა თათბირის მოწვევა ამ მხრივ მეტად მიზანშეწონილ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თათბირმა მოგვცა საბჭოთა ყველა დარგის საქმიანობის სურათი უმთავრესად სოფლად, თათბირმა გამოამჟღავნა ის მტკივნეული მხარეები, რომელნიც მრავალ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ საკმაოზე მეტად მოიპოება საბჭოების მუშაობაში.

საბჭოების ძირითად ორგანოების საქმიანობის შესაფასებლად პირველყოვლისა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს იმას, თუ რამდენად მტკიცეთ და წარმატებით ატარებენ ადგილობრივი საბჭოები ცხოვრებაში პარტიისა და ხელისუფლების ძირითად სადღეისო ამოცანებს. საბჭოების ძირითადი ორგანოები ჩვენი აპარატის ის ნაწილია, რომელსაც უშუალოთ აქვს საქმე ფართო მოსახლეობასთან, რომლის მუშაობის მიხედვითაც უმთავრესად იქმნება მშრომელ მასებში წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლებაზე და მის პოლიტიკაზე. ამიტომ აქ, საბჭოების ყველა საფეხურებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ჩვენი აპარატის საერთო სნეულებათა წინააღმდეგ, ვიდრე მართველობის ცენტრალურ ორგანოებში. ასეთია, მაგალითად, ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ხელისუფლების პოლიტიკის დამახინჯების, უმოქმედობის, თანამდებობრივი ხასიათის ბოროტმოქმედებათა და სხვა ამ სახის დეფექტების წინააღმდეგ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოების ძირითად ორგანოებში? საქართველოს ცაკის მიერ ცალკე ადგილობრივ საბჭოებში ჩატარებულ გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ბიუროკრატიზმისა და აპარატის რაციონალიზაციის საკითხებს ბევრგან არ ექცევა სათანადო ყურადღება. ზოგიერთ შემთხვევაში ამ საკითხებზე მოსმენილ იქნა საერთო ხასიათის მოხსენებები. რაც შეეხება პრაქტიკულ ხასიათის ღონისძიებებს, ასეთი თითქმის არსად ტარდება. ამგვარი მდგომარეობა, სხვათა შორის, შედეგია იმ შემცდარ საერთო შეხედულების, რომლის მიხედვით ბიუროკრატიზმი და აპარატის მოუწესრიგებლობა წარმოდგენილია, როგორც მხოლოდ ცენტრალურ დაწესებულება-ორგანიზაციათა სენი. ცხადია, რომ ბიუროკრატიზმის და აპარატის მოუწესრიგებლობის მთავარი წყაროები, როგორიცაა, სხვათა შორის, მატერიალური და კულტურული ჩამორჩენილობა, უცზობა, მართველობის ძველი სისტემის მემკვიდრეობა და სხვა, არანაკლებ ძლიერია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. ამიტომ, რომ ბიუროკრატიულ დამახინჯებ[ის] და აპარატის უთადარიგოდ მუშაობის ფაქტები სოფლადაც ხშირად [ხვდ]ება და ზოგჯერ გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ქალაქებში. აქედან [სათ]ანადო დასკვნა. საჭიროა ბრძოლა [ბიუ]როკრატიზმის წინააღმდეგ. საჭიროა ბრძოლა აპარატის რაციონალიზაციისათვის გადავაქციოთ საბჭოების მუშაობაში ყოველდღიურ საქმიანობის პრაქტიკულ ამოცანად, საჭიროა აღმოიფხვრას ის შემცდარი შეხედულება, თითქოს ბიუროკრატიზმით დაავადებულია მარტო ცენტრალური აპარატი.

რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრას, მეტი გასაქანი უნდა მიეცეს საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებულ მასის თვითმოქმედებას და ინიციატივას. დღემდი ბევრგან შემჩნეულია არანორმალური ფაქტები, როცა საბჭოს ყველა ფუნქციებს, უმთავრესად ასრულებენ აღმასრულებელი ორგანოები, როგორც მაგალითად აღმასკომები და პრეზიდიუმები. ადგილი აქვს საბჭოს პლენუმის უფლებების შეკვეცას ამ ორგანოთა გადაჭარბებული „აქტივობის" გამო, რაიც არსებითად საბჭოს უფლებათა უზურპაციის ხასიათს ღებულობს. ამნაირად ილახება საბჭოთა დემოკრატიის პრინციპები, ისპობა საბჭოს წევრების თვითმოქმედება და მასის საერთო აქტივობა საბჭოთა აღმშენებლობაში.

ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად საჭიროა საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები ყოველნაირად ერიდონ ფუნქციების არევას და მეტი გასაქანი მისცენ დეპუტატების ინიციატივას. მტკიცედ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში პრეზიდიუმისა და აღმასკომების მიერ საანგარიშო მოხსენებების ჩაბარება საბჭოს წევრებისათვის და თავის მხრივ საბჭოს წევრების საანგარიშო მოხსენებებით გამოსვლა ამომრჩეველთა წინაშე. იქ, სადაც საბჭოს წევრები უმოქმედობას იჩენენ, უნდა გაწვეულ იქნან ისინი საბჭოდან, რომ მათი ადგილი დაიკავონ აქტიურ მუშაკებმა.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოების ნორმალურ მუშაობას დიდათ აფერხებს უგეგმობა, რომელიც თითქმის საყოველთაო ხასიათს ატარებს. ბევრ შემთხვევაში საბჭოებს აქვთ მუშაობის გეგმები, რომელნიც უმთავრესად აგებულია არჩევნების დროს მიღებულ დავალებებზე, მაგრამ ეს გეგმები მხოლოდ წერილობით დეკლარაციებს წარმოადგენენ, პრაქტიკული საქმიანობა კი, უმთავრესად მიდის გადის. ეს სხვათა შორის იმიტომაც ხდება, რომ საბჭოები არ ახდენენ სისტემატიურ თვითშემოწმებას, არ ადევნებენ თვალყურს იმას, თუ რამდენადაა მიმართული მათი მუშაობა გეგმის შესრულებისაკენ, დროზე და სრულად ტარდება ცხოვრებაში თუ არა დადგენილებანი და სხვა. სტიქიურობა, ცხოვრების კუდში მანჩანალობა უნდა განიდევნოს საბჭოების მუშაობიდან.

არანაკლებ საგულისხმოა საბჭოების საქმიანობაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებამდე, სანამ პარტია კოლექტივიზაციის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად დასახავდა, საბჭოთა ადგილობრივი ორგანოები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მხოლოდ უკანასკნელ დროს დაეტყო გამოცოცხლება საბჭოების მუშაობას კოლექტივიზაციის დარგში. მაგრამ აღებული ტემპი ჯერ ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გაცხოველდეს, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია თვითეულ ადგილობრივ საბჭოს გადაუდებელ პრაქტიკულ ამოცანად უნდა გადაიქცეს.

ასეთია საბჭოების ძირითად ორგანოების მუშაობის განმტკიცების ზოგიერთი საკითხები, რომელთა გადაჭრისაკენაც უნდა იქნას მიმართული არა მარტო თვით საბჭოების, არამედ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების და მთელი მშრომელი მასების განსაკუთრებული ყურადღება.

გერმანიის ბურჟუაზიული პრესა და შახტის პროცესი

[illegible] ოცესი იწვევს დიდ გამოძახილს პრე[illegible] ეთის პრესაში. განსაკუთრებით [illegible] ბას იჩენს ამ საქმისადმი გერმა[illegible] ული პრესა. [illegible] ზაგებლატ"-ის მოსკოველი კო[illegible] კმაოდ ცნობილი შეფერი [illegible] ციონურ დამშიანებელთა [illegible] ს მთელ ფელეტონებს. ეს [illegible] ვსეა ღრმააზროვანი მსჯე[illegible] სტიციის თავისებურობათა [illegible] ტაგებლატ"-ს არ ჩამო[illegible] ულების გაზეთებიც, და[illegible] ის „ტეგლიხე რუნდშაუ"-[illegible] სოციალ-დემოკრატიული [illegible] ნებული გაზეთები ცდი[illegible] რომ გერმანელ ინჟე[illegible] რიცემა და შახტის პრო[illegible] ნილო ხაკმზე დას[illegible] მოასწავებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესებას და ამ გაუარესებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება საბჭოთა მთავრობას.

გერმანიის ბურჟუაზიული პრესის ნერვიულობა თანდათან იზრდება იმის და მიხედვით, რაც საქმის მსვლელობა ულმობელად აშკარავებს და ამტკიცებს იმ ცნობებს, რომლებზედაც აგებული იყო ბრალდება. თუ პირველად, როდესაც ახალი გამოქვეყნებული იყო ცნობები შახტის საქმეზე, ზოგიერთი გაზეთები, ხოლო პირველ რიგში „ფორვერტს"-ი, არაჩვეულებრივი წინდაუხედაობით ლაპარაკობდნენ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს „ლეგენდების" შესახებ და ხავსებით უარყოფდნენ კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების შესაძლებლობას, ახლა ეს პატივცემული კომპანია იძულებული ხმა ჩაიკმინდოს.

პირველი ვერსია, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებამ თითონ „გამოიგონა" შახტის საქმე, რათა მუშების „ყურადღება ჩამოეშორებია" შინაურ სიძნელეთაგან, არქივში ჩასაბარებელი გახდა. უდავო ფაქტების წინაშე საჭირო გახდა მიკიბულ-მოკიბულ პასუხის გაცემა და თავის დაძვრენა. ასე იქცევა, მაგალითად, „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი. ხსენებული გაზეთი ეხლა აღიარებს არა მარტო ცალკე პირების, არამედ აგრეთვე „ძველი სპეციალისტების მცირე ჯგუფების" არსებობას, „რომლებმაც არ მიატოვეს იმედი, რომ იხილავდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ძველი პატრონების დაბრუნებას".

გაზეთს ისიც კი მიაჩნია შესაძლებლად, რომ „შახტის რაიონის ინჟენერებმა საბჭოთა რეჟიმისადმი თავის პასიურ წინააღმდეგობაში გადააბიჯეს დასაშვებ საზღვრებს". (როგორი თავაზიანი და რბილი გამოთქმებია! შეიძლება იფიქროთ, რომ ლაპარაკია ცელქ ბავშვებზე).

რა თქმა უნდა, ყველა ეს გაზეთები არ ზოგავენ ირონიულ ხაზებს, როდესაც უხდებათ შახტის საქმის იმ შეფასების გადაცემა, რომელსაც იძლევა ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა სახელმწიფო. ისინი სცდილობენ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, მიაფუჩეჩონ ის გარემოება, რომ საქმე ეხება მსოფლიო ბურჟუაზიის ბრძოლას პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, და რომ დამაზიანებელი მუშაობა წარმოადგენდა მზადებას ინტერვენციისა და ომისათვის და იმ უფრო ფართო გეგმის ნაწილობრივ განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავდა პროლეტარიატის დიქტატურის დამხობას.

საქმის გარჩევის დროს გამორკვეული ფაქტები არღვევენ ამ ტაქტიკას. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის კორესპონდენტი, რომელიც რამოდენიმედ უფრო ყურადღებით გაეცნო ბრალდების მასალებს, იძულებული გახდა გაკეთებია დასკვნა, რომ მაღაროების ყოფილი მეპატრონეები ალბათ საკუთარ თანხებს კი არ აწვდიდენ დამაზიანებელთა ორგანიზაციას, არამედ პოლონეთის და საფრანგეთის სამხედრო ორგანიზაციების შუამავლებად გამოდიოდნენ და დამაზიანებელთა ორგანიზაციას ამ ქვეყნების სახელმწიფო თანხებს აწვდიდნენ. ეს, იმავე კორესპონდენტის აზრით მტკიცდება მოწმეების მრავალრიცხოვანი სწორი ჩვენებებით და აგრეთვე სუბსიდიების სიდიდით, რომლების გაღება მეტისმეტად სამძიმოა კერძო პირებისათვის.

გერმანიის ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთი ორგანოები წარსულში არაერთხელ სცდილობდნენ გამოეჩინათ ბურჟუაზიულ პრესისათვის შესაძლებელი ობიექტივობისა და მოფიქრების მაქსიმუმი, როდესაც აფასებდნენ საბჭოთა კავშირში მომხდარ ამა თუ იმ მოვლენებს.

ეხლა მათ ამჯობინეს შეერთებიათ თავისი ხმა იმ ცილისწამების კამპანიისათვის, რომელიც მიმართულია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. გერმანელი ჟურნალისტები ანგარიშს არ უწევენ ფაქტებს და აცხადებენ, რომ აღმოჩენილია „უმთავრესად სამოქალაქო ომის დროინდელი საბოტაჟი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება კიდევ არ იყო განმტკიცებული". ამ მტკიცებას მიზნად აქვს რაც შეიძლება უმნიშვნელოდ გამოიყვანოს შახტის საქმე და მიაფუჩეჩოს ამ საქმიდან გამომდინარე პოლიტიკური დასკვნები.

აგრეთვე საკვირველი არ არის ის, რომ გერმანელი მონტიორი ბადშტიბერი, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული, დაუყოვნებლივ გამოაცხადეს „ფსიქოპატოლოგიურ ტიპად". ის ბრალდებები, რომლებიც წაყენებული აქვს გერმანელ ტექნიკოსებს, შეფერი, ისე, როგორც „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატი პაულ ლევიც, სცდილობს წინდაწინვე გამოაცხადოს სრულ უაზრობად. შეფერი ამტკიცებს, რომ მთელი საქმე განისაზღვრება „ჩვეულებრივი" ქრთამებით, რომლებსაც გერმანული ფირმები აძლევდნენ საბჭოთა მოხელეებს. ჩვენ გვგონია, რომ შეფერი ტყუილა იწუხებს თავს, როდესაც ისწრაფვის წინდაწინ განსაზღვროს სამოსამართლო გამოძიების შედეგები და (ტყუილა კისრულობს პასუხისმგებლობას მთელი გერმანიის მრეწველობისათვის, ვინაიდან უკანასკნელს არავინ არ სდებს ბრალს იმის გამო, რასაც სჩადიოდენ ზოგიერთი ფირმების „რუსული განყოფილებები", რომლებიც ავსებულია ჩვენი თანამემამულე თეთრგვარდიელებით). ვიმეორებთ, რომ ვინაიდან საქმე მეტად ნათელია და სამოსამართლო ძიებას ყოველი დღე ადასტურებს საბრალმდებლო დასკვნაში დასახელებულ ფაქტებს, შეფერს დარჩენია მხოლოდ ის, რომ გამართოს ფილოსოფიური მსჯელობა საბჭოთა იუსტიციის შესახებ, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, აშკარად აღიარებს, რომ ის წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის დაცვის ორგანოს (ისმება კითხვა, თუ სად, რომელ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ იცავს სასამართლო არსებულ, ე. ი. ბურჟუაზიულ წესწყობილებას, კერძო საკუთრების და კაპიტალისტურ ექსპლოატაციას?).

ვინაიდან შეფერს არაფერი აქვს სათქმელი არსებითად, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ბრალდებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ამჯობინა მონანიება და სიმართლეს ლაპარაკობს პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე. ის ამაში ხედავს ისევ იმ პოლიტიკური მიმართულების შედეგს, რომელიც მიეცა პროცესს. ამ შემთხვევაში, მისი აზრით ბრალდებულებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო დაეცვათ თავი იმ საშუალებებით, რომლებითაც... (გამოტოვებულია). შეფერს ალბათ შეგნებული არ ჰქონდა, თუ თავისი ასეთი მსჯელობით როგორი სერიოზული არგუმენტი მოშველა სასამართლოს პროცესის იმ გაგების სასარგებლოდ, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირში. თუ პროცესის „პოლიტიკური" მიმართულების დროს ბრალდებულს თითონ შეუძლია უშველოს თავს მთელი სიმართლის აღიარებით, ხოლო თუ პროცესს ასეთი მიმართულება არა აქვს, მაშინ ბრალდებულს შეუძლია „დაიძვრინოს თავი" „კარგი ვექილის" დაქირავებით,—არჩევანი ამ ორ მიმართულებას შორის უკვე ძნელი აღარ არის.

შეფერი სცდილობს ისე მოგვაჩვენოს თავი, რომ მას აინტერესებს შახტის პროცესის წმინდა იურიდიული მხარე. ის მიგვითითებს იმაზე, თუ რატომ არის გამოწვეული ესა და ეს მოწმე და არა ესა და ეხა. ეს, რა თქმა უნდა, ძლიერ საინტერესო თემაა სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტებისათვის, თემა, რომლის შესწავლა ზედმეტი არ იქნებოდა დასავლეთ ევროპის „არაკლასობრივი" და „არაპოლიტიკური" „სამოსამართლო დაწესებულებების" მოღვაწეობის მასალებთან ერთად, მაგრამ ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ ამჟამად პირველ რიგში დგას არა ეს აკადემიური პრობლემა, არამედ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხი. შახტის საქმე მშვენიერი საბაბია მორიგი შებრუნებისათვის ევროპული წოდებული დასავლეთის ორიენტაციისაგან.

გერმანიის პრესის მიერ დაწყებული კამპანია მხოლოდ ნიადაგს მზადებაა ასეთი შებრუნებისათვის.

ასე და მხოლოდ ასე შეიძლება შეფასებულ იქნას შეფერის ფელეტონები და სხვა ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალისტების ანალოგიური გამოსვლები. ამას უნდა დაეთანხმოს ყველა ის, ვინც არა სიტყვიერად, არამედ საქმით არის დაინტერესებული იმ მეგობრულ ურთიერთობის შენარჩუნებაში, რომელიც დღემდე არსებობდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის, როგორც არ უნდა სხდებოდნენ თავს შეფერი და ძმანი მისნი გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ინტერესების „გულმხურვალე დაცვისათვის", მათ გამოსვლებს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი აზრი—საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღმშენებლობის დამაზიანებელთა დაცვა.

„პრავდა", 1 ივნისი.

პეკინი დაცემის წინ

ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა და სტოვოს პეკინი

შანხაი, 31 მაისი. იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობით, **ჩან-ძო-ლინის ბანაკში გამართულ სამხედრო თათბირზე გადაწყდა დაწყებულ იქნეს უკან დახევა.**

შანხაიში მიღებულ ცნობებით, **ჩან ძო-ლინმა გადასწყვიტა მახლობელ დღეებში დასტოვოს პეკინი.** იმავე ცნობების თანახმად, **ჩჟან-ცზუნ-ჩანი ცდილობს დაიწყოს მოლაპარაკება ენ-სი-შანთან სამხრეთელების მხარეზე გადასვლის შესახებ.**

ნანკინის ოფიციალური სააგენტო გომინი იუწყება, რომ **შანსის ჯარები იმყოფებიან 11 კილომეტრის მანძილზე პეკინიდან დასავლეთით.** (ადს).

ტოკიო, 31 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტ. ცნობით, იაპონიის სამხედრო წრეები ფიქრობენ, რომ **სამხრეთელები პეკინს აიღებენ მახლობელ დღეებში სამხრეთელების ხელშია უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი პეკინის მახლობლად—ბაოდინ-ფუ, ჩან-ძო-ლინი უკანასკნელ სამხედრო თათბირზე წინააღმდეგი იყო უკან დახევის. იან-იუ-ტინი, ჩჟან-სიუე-ლანი და სუნ-ჩუან-ფანი საჭიროდ სთვლიდენ უკან დახევას. თათბირზე გადაწყდა, რომ ჩრდილოელები დასტოვებენ პეკინს და გამაგრდებიან ლუდიხში.**

სამხედრო სწავლება ნანკინის სკოლებში

ნანკინი, 31 მაისი. ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა მიმდინარე წლიდან მთავრობის ყველა სკოლებში შემოიღოს სამხ. სწავლების ორწლიანი კურსი, ხოლო საზაფხულო არდადეგების დროს ჩაატაროს მოწაფეთა სამხედრო მომზადების სამკვირეული.

პოლიტიკურ წრეებში სთვლიან, რომ მთავრობის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს მოკლე ვადაში ისეთი არმიის შექმნას, რომელიც იდგომება თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე.

კომუნისტების დევნა.

შანხაი, 31 მაისი. გონკონგის ჩინურ გაზეთების ცნობით, კანტონის ხელისუფლებამ გააძლიერა კომუნისტების დევნა. ქალაქში პოლიცია ახდენს მასიურ ჩხრეკას და დაპატიმრებას. პოლიციის განცხადებით, უკანასკნელი ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ყოველდღიურ გაზეთ „მუშურ გლეხური არმია"-ს ნომრები და ჩინეთის, კომკავშირის მიერ 30 მაისისათვის (შანხაის სისხლის ღვრის წლისთავზე) გამოცემული პროკლამაციები. (ადს).

შანხაი, 31 მაისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო გომინის ცნობით, ცზიანსის პროვინციის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებში გაიგზავნა ორი დივიზია კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთაც დაკავებული აქვთ მთელი რიგი სოფლები. (ადს).

ძეგლი შანხაიში დახვრეტილ მუშებს

შანხაი, 31 მაისი. შანხაიში დემონსტრანტების დახვრეტიდან (1925 წლ. 30 მაისს) სამი წლის შესრულების გამო შანხაის ჩინურ ნაწილში გახსნეს დიდი ძეგლი. (ადს).

პროტესტი იაპონიის რეპრესიების წინააღმდეგ

შანხაი, 31 მაისი. გარეშე საქმეთა კომისარმა შანხაიში იაპონიის კონსულს გადასცა საპროტესტო ნოტა იმ რეპრესიების გამო, რომლებსაც იაპონიის ხელისუფლება მიმართავს იაპონიაში მცხოვრებ ჩინელების წინააღმდეგ. ნოტა აღნიშნავს, რომ ცზინანის ამბების შემდეგ **იაპონიის ხელისუფლება უმიზეზოდ აპატიმრებს ჩინელებს და ხელს უშლის მათ მშვიდობიან შრომას,** მაშინ როცა ნანკინის მთავრობა მფარველობას უწევს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ იაპონელებს. (ადს).

მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ გერმანიაში

ბერლინი, 31 მაისი. იუწყებიან, რომ წინანდელ რეიხსტაგის თავმჯდომარის ლებეს მიერ ჰინდენბურგის ნახვას საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა. ლებემ განუცხადა პრეზიდენტს, რომ შესაძლებელია ვეიმარის კოალიციის შედგენა (სოციალ-დემოკრატებიდან სახალხო პარტიამდე).

შემდგომი მოლაპარაკება მთავრობის შემადგენლობის შესახებ იწარმოებს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას სხდომის შემდეგ. შემდეგ ჰინდენბურგი მიიღებს სოციალ-დემოკრატ გერმან მიულერს, როგორც პარლამენტის უძლიერესი ფრაქციის ბელადს, ხოლო შემდეგ დანარჩენ ფრაქციების ბელადებსაც. (ად).

მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი

პარიზი. 31 მაისი. მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ნიმში მოისმინა კუკის მოხსენება მემაღაროეთა საერთაშორისო კავშირის მოწყობის შესახებ. კუკის მიერ წარდგენილ რეზოლიუციაში გამოთქმულია სურვილი, რომ მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციამ მიიღოს ზომები მსოფლიო კავშირის შესაქმნელად, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ქვეყნის მემაღაროეთა ორგანიზაციებმა თანაბარ საფუძველზე.

გერმანიის დელეგატმა ხუსმანმა გაილაშქრა კუკის რეზოლიუციის წინააღმდეგ და გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირი არ შედის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში. ხუსმანმა განაცხადა, რომ თითქოს „საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირი ყოველთვის შეურაცყოფით, ლანძღვით და ცილისწამებით „უპასუხებდა" ფედერაციას, როდესაც უკანასკნელი წინადადებას აძლევდა მას შესულიყო ფედერაციაში იმ პირობით, თუ დაიცავდა ფედერაციის წესდების დისციპლინას.

შემდეგ ხუსმანმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ. რომ კუკმა დადებითად დაახასიათა მემაღაროეთა შრომის პირობები საბჭოთა კავშირში. დასასრულ, ხუსმანმა მოითხოვა, რომ საბჭოთა კავშირის მაღაროს მუშებმა „მოახდინონ არჩევანი ამსტერდამსა და მოსკოვს შორის", ვინაიდან მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სცნობს ფედერაციის წესდებას და ემხრობა პროფკავშირთა მხოლოდ ერთ საერთაშორისო ფედერაციას.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის დელეგატი კუანი, რომელმაც გაილაშქრა საფრანგეთის კომპარტიის წინააღმდეგ და დასასრულ განაცხადა:

„პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრენი მზად არიან გაუწოდონ ხელი საბჭოთა მემაღაროეთ. თუ უკანასკნელთა ხელში ხანჯალი არ ექნებათ".

ბელგიის დელეგატმა დელატრმა დაიმოწმა რაღაც „დოკუმენტები", რომლებიც მან არ დაასახელა და განაცხადა, თითქოს საბჭოთა კავშირის მემაღაროენი სცდილობენ შევიდენ მემაღაროეთა ინტერნაციონალში იმ მიზნით, რომ მოაწყონ იქ უჯრედების სისტემა და დეზორგანიზაცია შეიტანონ ინტერნაციონალში შემავალ ნაციონალურ ფედერაციებში.

კომპრომისული რეზოლიუციის შედგენა საორგანიზაციო საკითხზე კონგრესმა მიანდო განსაკუთრებულ კომისიას (ადს).

იტალია-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გამწვავება

ანტი-იტალიური დემონსტრაციები სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 31 მაისი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ-სლავიის ბევრ ადგილას კვლავ დაიწყო ანტი-იტალიური დემონსტრაციები. ბელგრადში მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და ჟანდარმერიას შორის. ჟანდარმერიამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. მძიმედ დაიჭრა 30 კაცი. როცა ჟანდარმერია თავს დაესხა დემონსტრანტებს, უკანასკნელებმა ქუჩაში აღმართეს ბარიკადა და ქვები დაუშინეს ჟანდარმერიას. პოლიციის ოფიციალური ცნობა კომუნისტებს სდებს ბრალს „დემონსტრანტების წაქეზებაში". პოლიციამ დააპატიმრა 43 მუშა.

სუშაკში დემონსტრანტები გავიდნენ ქალაქიდან და შეეცადნენ იტალიის ტერიტორიაზე გადასვლას, მაგრამ ისინი სამხრეთ-სლავიის სანაპირო რაზმებმა დააკავა.

იტალიის ელჩმა ბოდრეროამ სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ახალი მკაცრი საპროტესტო ნოტა. ელჩი ბრალს სდებს სამხრეთ-სლავიის მთავრობას იმაში, რომ მან არ მიიღო ზომები დემონსტრაციის წინააღმდეგ.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობა მეტად უკმაყოფილოა დემონსტრაციით, რომელმაც ხელი შეუშალა იტალიასთან შეთანხმებას.

პარიზი, 31 მაისი. სამხრეთ-სლავიის მისიამ პარიზში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამხრეთ-სლავია-იტალიის ახალგაზრდობის მანიფესტაციას არ შეუძლია დაარღვიოს ის კეთილი ურთიერთობა, რომელიც არსებობს იტალიისა და სამხრეთ-სლავიის მთავრობებს შორის. განცხადებაში ნათქვამია, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობა ნეტუნის კონვენციებს დასამტკიცებლად წარუდგენს სკუპშინას, რის შემდეგ ყველა სადავო საკითხები გადაწყდება ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებლად.

მენშევიკები ფაშისტური დემონსტრაციის სადარაჯოზე

მუშათა მასები მენშევიკებისა და „ფოლადის მუზარადის" წინააღმდეგ

ბერლინი, 31 მაისი. ფაშისტურ ორგანიზაცია „ფოლადის მუზარადმა" 3 ივნისისათვის ჰამბურგში დანიშნა აღლუმი. ამასთან დაკავშირებით გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ და წითელ ფრონტელთა კავშირმა გადასწყვიტეს 1 ივნისს ჩაატარონ კონტრ-დემონსტრაცია. ჰამბურგის პოლიციის ხელმძღვანელმა, სოციალ-დემოკრატმა სენატორმა შენფელდმა სრულიად დაუსაბუთებლად აკრძალა მუშათა კონტრ-დემონსტრაცია. გერმანიის კომპარტიამ ჯერ კიდევ რამოდენიმე კვირის წინად მიმართა წინადადებით პროფკავშირებს ხელმძღვანელთ მოეწყოთ საერთო კონტრ-დემონსტრაცია „ფოლადის მუზარადის" გეგმების წინააღმდეგ და გაფიცვის გამოცხადების გზით ხელი შეეშალათ აღლუმის ჩატარებისათვის. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ უარყო ეს წინადადება.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დახმარებას უწევს „ფოლადის მუზარადს", ჰამბურგის მუშათა მასები ენერგიულად ემზადებიან კონტრ-დემონსტრაციისათვის. „ფოლადის მუზარადის" საწინააღმდეგო დემონსტრაციისათვის ემზადებიან აგრეთვე ყველა იმ ქალაქების მუშები, საიდანაც „ფოლადის მუზარადის" წევრები, სარგებლობენ რა მსხვილ მრეწველთა და აგრარიების ფინანსიური დახმარებით, მიემგზავრებიან ჰამბურგისაკენ.

მუშათა მასების შიშით, „ფოლადის მუზარადმა" დემონსტრაცია გადასდო ორშაბათისათვის, 4 ივნისისათვის, როცა მუშები წარმოებებში არიან. ჰამბურგის ბევრ წარმოებებში გაიმართა მუშათა საერთო კრებები, რომლებზედაც მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები „ფოლადის მუზარადის" აღლუმის დაშვებისა და გერმანიის კომპარტიის და წითელფრონტელთა კავშირის კონტრ-დემონსტრაციის აკრძალვის წინააღმდეგ (ადს).

იტალია-თურქეთის ურთიერთობა

პრესა იტალია-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ

რომი, 31 მაისი. ეხება რა იტალია-თურქეთის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ, „ჯორნალე დიტალია" სწერს:

„ახალი ხელშეკრულება თავისი შინაარსით წააგავს ყველა იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დასდო იტალიამ ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია. ხელშეკრულება საბოლოოდ არკვევს და ამარტივებს იტალია-თურქეთის ურთიერთობას და ნიადაგს აცლის ზოგიერთი სახელმწიფოების ცდას ჩამოაგდონ შუღლი იტალიისა და თურქეთს შორის".

როგორც ასეთი ცდის მაგალითს გაზეთი მიუთითებს საფრანგეთის პრესისა და კერძოდ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კამპანიაზე („ტან"-ის წერილი) და ამას წინად „მესსაჯე პოლონე"-ი (პოლონეთის ოფიციოზი) გამოქვეყნებულ წერილზე, რომელშიაც ლაპარაკია იტალიის იმპერიალისტურ გეგმებზე მცირე აზიაში.

„იტალიამ,—სწერს შემდეგ გაზეთი,—დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან პირველმა სცნო ახალი თურქეთის არსებობის უფლება, თურქეთის, რომელმაც წინად მხოლოდ საბჭოთა კავშირთან დასდო ხელშეკრულება. იტალია ამტკიცებს თავის მდგომარეობას ხმელთაშუა ზღვის იმ ზონაში, სადაც არამც თუ ცოცხალია ვენეციისა და გენუის ტრადიციები, არამედ, სადაც მას დღესაც დიდი ინტერესები აქვს, ვინაიდან იტალიას პირველი ადგილი უკავია თურქეთის იმპორტსა და ექსპორტში.

ახალი ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება საბერძნეთის ინტერესებს. იტალიას საბერძნეთთან მეგობრული ურთიერთობა სურს. იტალიას არ მიაჩნია გადაჭრელად იტალიასა და საბერძნეთს შორის წამოჭრილი პრობლემები. კერძოდ დავა რეპატრიანტების ქონების შესახებ. რომი ყოველგვარ ზომებს მიიღებს იტალიისა და საბერძნეთის დასაახლოვებლად".

სტამბოლი, 31 მაისი. საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ თურქეთსა და იტალიას შორის დადებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულება ორივე მხარეს ავალებს არ შეუერთდეს იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც რაიმე ზრახვებს ისახავს რომელიმე მათგანის მიმართ. მხარეები კისრულობენ არბიტრაჟის გზით გადასწყვიტონ მათ შორის წამოჭრილი ყველა გაუგებრობანი.

გარდა ამისა, ორივე მხარე კისრულობს დაიცვას ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა რომელიმე საერთაშორისო კონფლიქტი. (ადს).

მელითონეთა საერთაშორისო ფედერაციის კონფერენცია

ლონდონი, 31 მაისი. ლონდონში შესდგა მელითონეთა საერთაშორისო ფედერაციის კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა მოხსენება საბჭოთა მელითონეების პროფკავშირების შეერთების შესახებ ფედერაციასთან. მოხსენების მიხედვით „საბჭოთა მელითონეების პროფკავშირის ყრილობაზე, გამოირკვა, რომ მას არ სურს შეუერთდეს ფედერაციას".

ნორვეგიის დელეგატები მოითხოვდენ განმარტებას—შეუძლიათ თუ არა მათ „დასდონ ხელშეკრულება საბჭოთა მელითონეებთან და ამავე დროს დარჩენ ფედერაციაში".

კონფერენციამ დაადგინა, რომ ნორვეგიის მელითონეებს „არ შეუძლიათ ერთდაიმავე დროს მიემხრონ მოსკოვსაც და ფედერაციასაც. (ადს).

ამხ. ორლოვი

ქემალ-ფაშასთან

ანგორა, 31 მაისი. შავი ზღვის საბჭოთა ფლოტის უფროსი ორლოვი, რომელიც მეთაურობს სტამბოლში მყოფ საბჭოთა ესკადრას, 30 მაისს ჩამოვიდა ანგორაში, სადაც იგი მიიღო ქემალ-ფაშამ. (ადს).

მუშები და წითელ-ფრონტელები

ბერლინი, 31 მაისი. წითელ ფრონტელთა კავშირის განყოფილებების ბერლინიდან დაბრუნების გამო ადგილებზე გერმანიის ყველა რაიონებში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. ყველგან სადგურებზე ჩამოსულთა შესახვედრათ იკრიფებოდენ დიდძალი მუშები. მრავალ რაიონებში მოეწყო სახელდახელო მიტინგები.

ფეიქართა ინტერნაციონალის კონგრესი

პარიზი, 31 მაისი. ფეიქართა ინტერნაციონალის კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას ყველა საფეიქრო წარმოებებში და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო ბიურო თანახმაა განიხილოს ვაშინგტონის კონვენციის გადასინჯვის საკითხი.

შახტის კონტრ-რევოლიუც. პროცესი

31 მაისის დილის სხდომა

მოწმე გელაჯის ჩვენება

მოსკოვი, 1 ივნისი. 31 მაისის დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა შახტის სამთამადნო ოლქის უფროსი მოწმე გელაჯი.

ამხ. კრილენკოს კითხვაზე გელაჯი იძლევა დაწვრილებითი განმარტებას სამთამადნო მეთვალყურეობის უფლება-მოვალეობათა შესახებ. ამხ. კრილენკოს კითხვაზე ზედამხედველობის მდგომარეობის შესახებ იმ რაიონში, სადაც მუშაობდა **ანტონოვი**, მოწმე უპასუხებს:

„სამთამადნო ზედამხედველობის მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი: არ ექცეოდა ყურადღება მეტად მნიშვნელოვან სამრეწველო დეფექტებს".

ანტონოვის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ ანტონოვის დაკითხვაზე. სახელმწიფო ბრალმდებლის მთელ რიგ კითხვებზე ანტონოვი არ იძლევა პირდაპირ და გარკვეულ პასუხს.

„შეიძლება თუ არა დამტკიცებულად ჩაითვალოს—ეკითხება ბრალდებულს ამხ. კრილენკო,—რომ კრასინის მაღაროში თქვენ არც ერთხელ არ ყოფილხართ და არაფერი იცოდით ამ მაღაროს არარენტაბელობის შესახებ?".

„მე ამას ვადასტურებ"—ამბობს ანტონოვი.

„იცოდით თუ არა თქვენ ნოვოაზოვსკის კომპანიის მაღაროს წყლით ამოვსების ფაქტი?" განაგრძობს დაკითხვას ამხ. კრილენკო.

„მაღაროს წყლით ამოვსების შესახებ მე გავიგე მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ეს უკვე მომხდარი იყო".

ამხ. **კრილენკოს** კითხვაზე—იცოდა თუ არა ბრალდებულმა ბესერგენევის გვირაბის არსებობა,—ბრალდებული უპასუხებს, რომ მას ამის შესახებ თითქმის არაფერი არ ჰქონდა გაგონილი.

ამხ. **კრილენკო** მოითხოვს გამოქვეყნებულ იქნეს ოცი უბედური შემთხვევის გამოძიების აქტი. 18 შემთხვევაში ანტონოვის დასკვნა თავდება ფორმულით:

„უბედურ შემთხვევაში დამნაშავეა თვით მუშა".

ბრალდების შუამდგომლობით სასამართლო აქვეყნებს მაღაროების სამმართველოს სტატისტიკურ ცნობას უბედურ შემთხვევების რაოდენობის შესახებ ვოროვსკის სახელობის მაღაროში. ერთნახევარი წლის განმავლობაში ამ მაღაროში ადგილი ჰქონდა 671 უბედურ შემთხვევას.

„იყავით თუ არა თქვენ,—ეკითხება ბრალდებულს ამხ. **კრილენკო**,—ერთხელ მაინც ვოროვსკის მაღაროში, სადაც აღნიშნულ პერიოდში ამდენ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი".

„ვოროვსკის მაღაროში,—ამბობს ანტონოვი,—არ ყოფილა არც ერთი სიკვდილის შემთხვევა. ასეთი შემთხვევა რომ ყოფილიყო, მე მაღაროს ვინახულებდი".

„თქვენი უმოქმედობა აშკარაა?"

„მე ამას ვერ ვხედავ".

„მაშ, თუ გნებავთ, დაუდევრობა ხომ აშკარაა?".

„შეიძლება, მაგრამ უნებლიე".

„უნებლიე—ამბობს კრილენკო—სწორედ ის, რისთვისაც კალგანოვი თქვენ გაძლევდათ ფულებს?".

„ჩემთვის კალგანოვს ფული არ მოუცია. ეს სიცრუეა".

შემდეგ ბრალდება არკვევს, რომ ბრალდებული **ანტონოვი**, რომელიც განაგებდა ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, ხელს უშლიდა კურს დამთავრებულთა, განსაკუთრებით კომუნისტების, დაწინაურებას მაღაროების გამგეთა თანამდებობაზე. გარდა ამისა ირკვევა, რომ ანტონოვს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

სხდომა წყდება საღამომდე.

31 მაისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე ანტონოვს მთელ რიგ კითხვებს აძლევს საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. **შეინი**. საზოგადოებრივ ბრალმდებელს აინტერესებს საინჟინრო-ტექნიკურ სექციის მუშაობის ხასიათი შახტის რაიონში. ირკვევა, რომ თვით ანტონოვის დაპატიმრებამდე საწარმოო თათბირებზე სექციას არ წამოუყენებია არც ერთი მნიშვნელოვანი საწარმოო საკითხი.

მოიჯარადრე მანსუროვი

მოწმე **რიაბიხი**, რაიონული ტექნიკოსი, სასამართლოს მოუთხრობს კერძო მოიჯარადრე მანსუროვის იჯარით გაცემულ კარიერების ისტორიას. კარიერების იჯარით გაცემის უფლებაზე პრეტენზიებს აცხადებდა ადგილობრივი საბჭო, მაგრამ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ანტონოვმა, რომლის აზრით, ეს უფლება სამთამადნო ზედამხედველობას ეკუთვნოდა. სამთამადნო ზედამხედველობამ იჯარით გასცა კარიერები, თუმცა ამის უფლება არ ჰქონდა.

მოწმე რიაბიხი და აგრეთვე ორი სხვა მოწმე უჩვენებენ, რომ ანტონოვი და მანსუროვი მეგობრები იყვნენ. მანსუროვის ბინაზე ადგენდენ ყოველგვარ აქტებს და ხდებოდნენ გარიგებებს, რომლებიც ჩვეულებრივათ ნადიმით თავდებოდა. სვამდენ „რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ ნიკოლოზისძის" სადღეგრძელოს, მღეროდენ „ღმერთო ფარვიდე მეფეს" და სხვ. ანტონოვი აცხადებს, რომ უკვე სამი წელიწადია არავითარი საქმე არ ჰქონია მანსუროვთან.

სასამართლო გადადის მოწმეების დაკითხვაზე, რომლებიც სასამართლოს მიუთითებენ იმის შესახებ, თუ როგორ ექსპლოატაციას ეწეოდენ მანსუროვის კარიერაზე. მოწმეა ორი გლეხი, რომლებიც ცხოვრობენ გახსნილი კარიერების მახლობლად. ისინი ამბობენ, რომ კარიერაზე წარმოებულ ასაფეთქებელ სამუშაოების დროს მათ კარ მიდამოში ცვიოდა ქვები, წონით ერთნახევარ ფუთამდე. იყო საქონლის მძიმედ დაჭრის შემთხვევები.

მოწმე **პოდგორნი** ამბობს, რომ მან ამის შესახებ შესჩივლა ანტონოვს, მაგრამ უშედეგოთ.

მეორე მოწმე გლეხი **მიხაილიჩენკო** აცხადებს, რომ მან 1927 წლ. 14 თებერვალს სასამართლოში შეიტანა განცხადება, რომელშიაც ითხოვდა გაეუქმებიათ მანსუროვთან დადებული ხელშეკრულება კარიერების იჯარით აღების შესახებ ან ვალდებული გაეხადათ ის (მანსუროვი) გადაეხადა ფული კარიერების მახლობლად მცხოვრებ გლეხების გადასახლებლად. ამ თხოვნაზე აქამდის არავითარი პასუხი არ გაუცათ.

სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ვიშინსკი** ეუბნება მოწმეს, რომ მის განცხადებას მხედველობაში მიიღებს უზენაესი სასამართლო და მის მიერ აღწერილ ბიუროკრატიზმის შემთხვევის გამო დანიშნული იქნება გამოძიება.

მოწმე შიროკოვის ჩვენება

საღამოს სხდომაზე სასამართლომ უკანასკნელი დაჰკითხა მაღაროს კომიტეტის წევრი შიროკოვი. ის ადასტურებს, რომ ბრალდებული ანტონოვი უბედურ შემთხვევების გამოძიების საქმეში დანაშაულებრივ დაუდევრობას იჩენდა.

ანდრეი კოლოდუბის შვილის წერილი

სხდომის დახურვის წინ სასამართლო აქვეყნებს ბრალდებულ ანდრეი კოლოდუბის შვილის წერილს, რომელიც პრესაში უკვე გამოქვეყნდა. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა შესდგება 1 ივნისს დილის 10 საათზე.

იტალიის კომპარტიის ცეკას პროცესი

რომი, 31 მაისი. იტალიის კომპარტიის პროცესზე გრძელდება მთავარ ბრალდებულთა დაკითხვა. დამცველებმა მოითხოვეს ბრალდებულ აძარიოს ფსიქიატრიული ექსპერტიზა. პანამაში ყოფნის დროს აძარიომ სთხოვა იტალიის კონსულს, რომ იგი გაეგზავნა იტალიაში რათა წამდგარიყო სასამართლოს წინაშე სხვა ამხანაგებთან ერთად. იტალიაში გამგზავრების დროს აძარიომ გემზე გამოიჩინა ფსიქიატრიული ავადმყოფობის ნიშნები. სასამართლომ დაადგინა აძარიო გაგზავნოს საავადმყოფოში.

დაკითხვის დროს ნათლად იჩენს თავს დამცველთა სრული პასიობა. ბრალდებული ტერაჩინი თვითონ იცავს თავის თავს და ნაწილობრივ დანარჩენ ბრალდებულებსაც. რამოდენიმე ბრალდებულმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ მათ ბრალი ედებათ ისეთ მოქმედებაში, რომლებიც თითქოს ჩაიდინეს სახელმწიფოს დაცვის შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ.

საბჭოთა კინო-სურათები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 31 მაისი. ნიუ-იორკში აჩვენეს საბჭოთა სურათი „სანკტ-პეტერბურგის აღსასრული". ამერიკული ბურჟუაზიული პრესა შიშს გამოსთქვამს იმ პროპაგანდის გამო, რომელიც შეიძლება იქნას გაწეული ამ ფილმის საშუალებით, მაგრამ ამასთანავე აღიარებს მის განსაკუთრებით მაღალ მხატვრულ ღირსებას. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბრალდებულ ელიაძის დაკითხვა შახტის პროცესზე

მოსკოვი, 1 ივნისი. დღეს უზენაესი სასამართლო შეუდგა ბრალდებულ ინჟენერ ელიაძის დაკითხვას. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს.

დამშვიდებით მოუთხრობს სასამართლოს თავის მუშაობის შესახებ შახტის რაიონში, შემდეგ საქართველოში ტყიბულის რაიონებში. რაც შეეხება კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებას ინჟენერებისა და მაღაროების ყოფილ მეპატრონეების მხრივ, ელიაძემ ეს თითქოს არც იცოდა.

სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ვიშინსკი ეკითხება ბრალდებულს:

— ხომ არ შეგიძლიათ თქვენ, ბრალდებულო ელიაძე აგვიხსნათ, თუ რატომ იყავით აგრე რიგათ მოწადინებული შახტში ყოფნის დროს მიგეღოთ სამსახურში სამთო ტექნიკოსად წოდებული ვინმე კურკინი?

ელიაძე იბნევა. სვამს წყალს. ბუტბუტებს რაღაც გაუგებარ სიტყვებს.

— „მე არაფერი ვიცოდი, მე კურკინს კარგად არ ვიცნობდი, იჯვი არ მეპარებოდა იმაში, რომ მას სურდა მაღაროების აფეთქება"-ო.

კურკინი, როგორც ეს ნათქვამია საბრალმდებლო დასკვნაში და როგორც გამოირკვა სასამართლოს კვლევა-ძიების დროს იყო ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი, რომელიც შახტის რაიონში ჩავიდა სპეციალური დავალებით, რათა აეფეთქებია მაღაროები. კურკინი, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო განათლება არ ქონდა, თავის თავს სამთო ტექნიკოსად ასაღებდა. კონტრ-რევოლიუციონერ ინჟენერთა ჯგუფის ხელმძღვანელები მას მფარველობდნენ და ხელს უწყობდნენ დავალების შესრულებაში.

საუბარი საქართველოს კოლმეურნეობათა დელეგაციასთან

მოსკოვი, 1 ივნისი. გაზეთ „კოოპერატივნაია ჟიზნ"-ში მოთავსებულია საუბარი საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა დელეგაციის ხელმძღვანელებთან. საუბარში ნათქვამია, რომ კოლექტივიზაციის საქმე საქართველოში ჯერ-ჯერობით სუსტად მიმდინარეობს. საკავშირო კომპარტიის უკანასკნელ ყრილობის შემდეგ ამ საკითხს ჩვენშიაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მიწადმოქმედების კომისარიატის და საკრედიტო დაწესებულებათა ორგანოები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცება-გაფართოების საქმეში.

საქართველოს დელეგაციას უდაოდ მიაჩნია, რომ უნდა არსებობდეს კოლექტიურ მეურნეობათა საკავშირო ცენტრი. ჩვენ ერთხმად მხარს დაუჭერთ მის დაარსებას და მოვითხოვთ კოლმეურნეობათა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მუშაობის გაძლიერებას; ცენტრმა ცოცხალი კავშირი უნდა იქონიოს მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა გაერთიანებებთან.

ხელის მოწერა გორკის წიგნზე

მოსკოვი, 1 ივნისი. აქ რამოდენიმე დღე მიმდინარეობს წიგნის ბაზრობა. ამ ხნის განმავლობაში მაქსიმ გორკის დასაბეჭდად ჩაბარებულ წიგნზე ხელი მოაწერა 5.000 კაცმა. ასეთი არაჩვეულებრივი ინტერესი წიგნისადმი პირველი შემთხვევაა მოსკოვის წიგნის ბაზარზე.

მოსკოვის პრესა საქართველოს სახკინმრეწვის სურათის „ბოშური სისხლი"-ს შესახებ

მოსკოვი, 1 ივნისი. მოსკოვში უკანასკნელი დღეების განმავლობაში უჩვენებენ საქართველოს კინომრეწველობის სურათს, „ბოშური სისხლი". პრესაში მოთავსებულია რეცენზია აღნიშნულ სურათის შესახებ. რეცენზიის საერთო დასკვნა ასეთია: მსახიობთა თამაში საუცხოვოა, მაგრამ სიუჟეტი, რეჟისურა და დადგმა შაბლონურია. რეცენზენტების სიტყვით ეს სურათი წარმოადგენს ოპერის ხასიათის, ტრაფარეტულ მხატვრულ ნაწარმოებს. „ბოშური სისხლი" ამერიკის კინო-დრამის უხეირო წაბაძვაა.

უკანასკნელი ცნობები

ხიქსის მომავალი განცხადება

ლონდონი, 1 ივნისი. „დეილი მეილის" პოლიტიკური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჯოინსონ ხიქსმა დაამთავრა საბჭოთა ბანკების საქმიანობის გარშემო დაწყებული გამოკვლევა და მომავალ კვირაში თემთა პალატაში გამოვა განცხადებით გამოკვლევათა შედეგების შესახებ.

თემთა პალატაში გამოსვლამდე ხიქსი თავის მოხსენებას წარუდგენს მთავრობას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხიქსის მიერ შეკრებილი ფაქტებიდან შეიძლება მხოლოდ ერთი ლოღიკური დასკვნის გამოტანა—საბოლოოდ განდევნილი იქნენ ინგლისიდან ყველა საბჭოთა ორგანიზაციები. საქმესთან დაახლოებულ პოლიტიკურ წრეებში ამჟამად დარწმუნებული არიან, რომ ის ფაქტები, რომელთაც ჯოინსონ ხიქსი გააცნობს მთავრობას, აღმოჩნდებიან მეტად საყურადღებო იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს შემდეგი ვადის გაგრძელება. (ადს).

ლონდონი, 1 ივნისი. საბჭოთა საბანკო დაწესებულებების წარმომადგენლები ლონდონში, გამოვიდნენ განცხადებებით „დეილი მეილის" მიერ გამოქვეყნებული ცნობების შესახებ; ეს ცნობები შედეგია შინაგან საქმეთა მინისტრის—ჯოინსონ ხიქსის მიერ დაწყებულ საბჭოთა საბანკო დაწესებულებების საქმიანობის გამოკვლევის.

განცხადებებში აღნიშნულია მთელი რიგი ცილისწამებანი და ბრალდებანი, რასაც რეაქციონური პრესა აყენებს.

„მანჩესტერ გარდიენი" ბეჭდავს თავის ლონდონელი კორესპონდენტისაგან გადმოცემულ საქმის მცოდნე პირის განცხადებას და ამასთანავე არ აღნიშნავს, თუ ვინაა ეს პიროვნება. განცხადებაში, სხვათა შორის ნათქვამია: „არავითარ საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ კომინტერნი ფინანსიურ დახმარებას უწევს ინგლისის კომუნისტურ პარტიას. კომინტერმა ამის შესახებ თითონ განაცხადა საჯაროდ და კომუნისტურმა პარტიამაც დაადასტურა ეს გარემოება ამ ორი თუ სამი თვის წინად. მაგრამ ის მოსაზრება, თითქოს საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციები მონაწილეობას ღებულობდენ ამ ოპერაციაში და ფინანსიურ დახმარებას უწევდენ ინგლისის პოლიტიკურ ორგანიზაციებს—მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს". (ადს).

პროფ. შერვინსკის ჩამოსვლა

სოხუმი, 1 მაისი. ამ დღეებში სოხუმში ჩამოვა ექსპერიმენტალური ენდოკრინოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი შერვინსკი, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევს მაიმუნების ფერმას სოხუმში.

მუკდენელები სტოვებენ პეკინს

პეკინი, 1 ივნისი. მუკდენელებმა შეუდგენ სამზადისს პეკინის უომრათ ჩასაბარებლათ და თავიანთი ჯარების წინდაწინვე გამოსაყვანად.

გოვენის სააგენტოს ცნობით, ანგოცზუნის შტაბმა დაამზადა ცნობა გამოსაქვეყნებლათ პეკინის დატოვების გამო. პეკინის დაცლას მოელიან ამ დღეებში და ანგოცზუნის შტაბის აღნიშნული ცნობა გავრცელებული იქნება რადიოთი.

პეკინში უკვე მიღებულია ზომები წესრიგის დასაცავად. (ადს).

საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებათა შესრულების შემოწმება

მოსკოვი, 1 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას იმ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმების შესახებ, რომლებიც ეხება მუშა-ქალთათვის სამსახურის გაწევას ფაბქარხკომების მიერ. დადგენილებაში აღნიშნულია მუშა-ქალთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გაუმჯობესება, როგორც შრომის, კულტურულ, ყოფა-ცხოვრების, აგრეთვე მათ შორის პროფმუშაობის წარმოების დარგში, მის შემდეგ; რაც აღნიშნული საქმიანობის ხელმძღვანელობა დაეკისრათ ფაბქარხკომებს.

საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციას წინადადება მიეცა გაატაროს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებები: სისტემატიურად აწარმოებდეს პროფორგანიზაციებისა და ფაბქარხკომების მუშაობის შემოწმება იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს თუ რამდენათ კმაყოფილდება მუშა-ქალთა საჭიროებანი პროფმუშაობის ყველა დარგებში; მიეცეს დირექტივები ფაბქარხკომებს, რომ მათ ფართოდ ჩააბან საწარმოო კომისიებისა და თათბირების მუშაობაში მუშა-ქალთა მასები და ხელი შეუწყონ მუშა-ქალთა კვალიფიკაციურ სამუშაოებზე დაწინაურების საქმეს.

გადარჩეულ იქნეს იმ მუშა-ქალთა კადრები, რომლებიც უფრო მომზადებული არიან და პრაქტიკულ საქმიანობაშიაც მეტ უნარიანობას იჩენენ მათი უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკურ კურსებზე და სამრეწველო აკადემიაში გაგზავნის მიზნით. შემოწმებულ იქნეს, თუ როგორ ტარდება მუშა-ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ფონდისათვის 5 პროცენტიანი ანარიცხების შეკრება და ან როგორ სრულდება კოლხელშეკრულებათა ის პუნქტები, რომლებიც ეხება მუშა-ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებას. (ადს).

ციკლონი ასტრახანში

ასტრახანი, 1 ივნისი. ასტრახანზე გადაიარა ციკლონმა და არაჩვეულებრივი სიძლიერის ნიაღვარმა. წყალმა დაფარა მთელი უბნები. ქუჩებში მიმოსვლა ნავებით სწარმოებს, ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა ბაღებს და ნათესებს. (ადს).

რეფორმისტების წინააღმდეგ

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 31 მაისი. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება მუშებისადმი, რომელშიაც განმარტავს პარტიის ახალ ტაქტიკას საარჩევნო კამპანიაში, კერძოთ იმას, თუ რატომ სთვლიან ინგლისის კომუნისტები მუშათა პარტიას კაპიტალისტების მოკავშირეთ და მუშათა კლასის მტრად. მოწოდება იძლევა მუშათა პარტიის მოღალატური მოქმედების სურათს მაკდონალდის კაბინეტის გადადგომის დღიდან.

შემდეგ მოწოდება აღნიშნავს, რომ მუშებმა მთელი თავისი ყურადღება არ უნდა მიაპყრან მხოლოდ საყოველთაო არჩევნებს. მუშათა კლასის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განავითარონ მუშათა ორგანიზაციები პარლამენტის კედლებს გარეთ. (ადს).

კომუნისტ ვილსონის კანდიდატურა

ლონდონი. 31 მაისი. სამხრეთ უელსიდან მიღებულ ცნობით, ქალაქ აისტრედ-მაინასში შესდგა ამომრჩეველ მუშათა კონფერენცია, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატათ წამოაყენა ინგლისის კომპარტიის წევრი ვილსონი. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ჰგმობს ოლქის ეხლანდელ დეპუტატის (თემთა პალატაში)—ჯონს მორგანის პოლიტიკურ მოღვაწეობას. (ჯონს მორგანი ეკუთვნის მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთას).

უნგრეთის პოლიციის განყოფილება ვენაში

ვენა, 31 მაისი. ვენის „როტე ფანე" ადასტურებს ცნობას, რომ ვენაში ამჟამად იმყოფება უნგრეთის პოლიციის 20 საიდუმლო აგენტი, რომლებიც ჩამოვიდნენ კუნის მოტაცების გეგმებით დაკავშირებით. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ვენაში უკვე რამოდენიმე წელიწადია არსებობს უნგრეთის პოლიციის მუდმივი განყოფილება, რომელიც მოთავსებულია კერძო ბინაზე. ავსტრიის ხელისუფლება დახა[illegible]ოვდის განყოფილებას, რომლის განკარგულებაში საიდუმლო ტელეფონის ხაზი.

ბარბიუსის კომიტეტის წარმომადგენლებმა რილერმა და გურდენმა, რომლებიც ვენაში ჩამოვიდნენ კუნის საქმეზე მოსალაპარაკებლად, მიმართეს კანცლერს თხოვნით მათი მიღების შესახებ. კანცლერის სამდივნომ უპასუხა მათ, რომ კანცლერი მათ მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ ითხოვს საფრანგეთის დიპლომატიური მისია. ასეთი პასუხის შემდეგ, ბილერმა და გურდენმა უარი სთქვეს ზეიპელის ნახვაზე. (ადს).

„იტალია"-ს მოსაძებნათ

საბჭოთა ექსპედიცია „იტალია"-ს დასახმარებლად

ლენინგრადი, 1 ივნისი. შესდგა პირველი სხდომა იმ კომისიისა, რომელიც შექმნილია დაკარგულ დირიჟაბლ „იტალია"-სათვის დახმარების აღმოსაჩენად. კომისიამ დაადგინა გაგზავნოს ექსპედიცია ერთი ყინულის მჭრელი გემის და ორი აეროპლანის შემადგენლობით. ექსპედიციას ეყნება 2 თვის საკმაო სათბობი და 3 თვის სურსათი. ექსპედიციას ხელმძღვანელობას გაუწევენ პოლარულ ქვეყნების რუსი მკვლევარები.

დამხმარე ექსპედიცია იტალიიდან

რომი, 31 მაისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„მთავრობამ დაადგინა განაგრძოს დირიჟაბლ „იტალია"-ს ძებნა, რომელიც დაიწყო „ჩიტა დი მილანო"-მ. ძებნა იწარმოებს ადგილობრივ მცხოვრებლებისა და აეროპლანების დახმარებით" (ადს).

დახმარება ნობილეს

ბერლინი, 31 მაისი. გაზეთების ცნობით, საავიაციო ფირმა „დორნიე"-მ განაცხადა, რომ ის მზადაა „იტალიას" დამხმარე ექსპედიციას გადასცეს ორი ჰიდროპლანი.

ლონდონიდან მიღებულ ცნობით, ნორვეგიის მთავრობამ შვეციას მიმართა თხოვნით გაგზავნოს შპიცბერგენზე ყინულის მჭრელი გემი, ვინაიდან ასეთი გემები ნორვეგიას არ მოეპოვება.

ოსლო, 31 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 1 ივნისამდე კინგსბეიგიდან არავითარი ცნობები არ მოსულა „იტალია"-ს შესახებ.

ოსლო, 31 მაისი. ლინკოლნ ელსვორტმა განაცხადა, რომ ფინანსებს მიაწვდის ექსპედიციას „იტალია"-ს დასახმარებლად და მონაწილეობას მიიღებს მასში, თუ კაპიტანი ამუნდსენი შეიმუშავებს ამ ექსპედიციის გეგმას. ამუნდსენმა მიიღო ლინკოლნ ელსვორტის წინადადება. ამუნდსენი ექსპედიციისათვის გამოიყენებს გერმანული კომპანიის ლიუფტ განზის რომელიმე ჰაეროპლანს. იგი ამ საქმეში დაიხმარს აგრეთვე პილოტ დიტრიხს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამუნდსენის და ელსვორტის ექსპედიციაში 1925 წელში. დიტრიხმა განაცხადა, რომ შაბათს იგი გაემგზავრება ფრიდრიხსჰაფენში, რათა შეუდგეს საბოლოო მზადებას.

საჰაერო მიმოსვლის საზოგადოება ექსპედიციას გადასცემს აპარატს. ელსვორტის ჩასვლამდე ექსპედიცია არ გაემგზავრება ოსლოში.

2 ივნისს ჰაეროპლანი ფრიდრიხსჰაფენიდან გაფრინდება ოსლოში და შემდეგ განაგრძობს გზას გრომსეს ნაპირების გასწვრივ კინგსბეიში, რომელიც იქნება ბაზა ექსპედიციისათვის. ექსპედიციის მეთაური იქნება ამუნდსენი.

10 წელი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის პოსტზე

მისალმებები ამხ. ჩიჩერინს

მოსკოვი, 1 ივნისი. ამხ. ჩიჩერინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე მოღვაწეობის ათი წლის შესრულების გამო მიიღო მისალმებანი ივანოვის რაიონისა და კიევის ოლქის გლეხებისაგან, სახალხო კომისარიატების მუშაკებისაგან, სამეცნიერო დაწესებულებებისაგან და გორკისაგან.

მიღებულია აგრეთვე მისალმებანი უცხოეთის ელჩებისაგან, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტრეზემანისაგან და კერძო პირებისაგან. (ადს).

კიევი, 1 ივნისი. კიევის ქალაქის საბჭო კიევის მშრომელთა სახელით მიესალმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ჩიჩერინს [illegible] საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პო[illegible] ყოფნის ათი წლის იუბილეს გამო.

ბერლინი, 31 მაისი. „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი სწერს, რომ ჩიჩერინის სწორმა ალღომ, ტაქტმა და იუმორით სავსე სიტყვის წარმოთქმის მანერამ უეჭველად დიდათ გაადვილა საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან. კორესპონდენტის სიტყვით მეგობრული ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ნაწილობრივ ჩიჩერინის დამსახურებაა, რომელიც ერკვეოდა პოლიტიკურ მდგომარეობაში და რომელსაც შარმიტიული დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიის ელჩთან მოსკოვში.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი

გორკის საპატივცემოთ

მოსკოვი, 1 ივნისი. 31 მაისს გორკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-სამხატვრო მოღვაწეობის აღსანიშნავად დიდ თეატრში გაიმართა მოსკოვის საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა. უზარმაზარი დარბაზი და თეატრის სცენა სავსე იყო მოსკოვის საბჭოს წევრებით, მუშებით, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

დამსწრენი გორკის გამოჩენას მქუხარე და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. ლუნაჩარსკიმ მოკლედ დაახასიათა გორკის ცხოვრება და შემოქმედება.

შემდეგ გორკის მიესალმნენ მოსკოვის რაიონების მუშების წარმომადგენლები.

გორკის საპასუხო სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს დამსწრეებმა და სიტყვის გათავების შემდეგ ხანგრძლივი ტაშითა და „ურა"-ს ძახილით დააჯილდოეს გორკი.

რკინისგზელთა საკავშირო ყრილობა

ამხ. კრუპსკაიას სიტყვა

მოსკოვი, 1 ივნისი. რკინისგზელთა საკავშირო ყრილობაზე ამხ. რუძუტაკის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. კრუპსკაიამ, რომელიც შეჩერდა კულტურულ რევოლიუციის ამოცანებზე.

„მუშები და გლეხები,—სთქვა ამხ. კრუპსკაიამ,—თავის ცოდნას ავსებენ ყოველდღიური მონაწილეობით საბჭოების მუშაობაში, პროფესიონალურ და საზოგადოების ორგანიზაციებში. ჩვენი ამოცანაა ამ ცოდნას მივსცეთ სისტემატიური ხასიათი. აქ უმთავრეს როლს თამაშობს თვითგანვითარება. ჩვენი კლუბები მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ განათლება გაავრცელონ ფართო მასებში. სამწუხაროდ კლუბები აქამდე სხვაროების მიხედვით ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას. ფიქრობენ, რომ კარგია ის კლუბი, რომელიც მეტ ფულს ხარჯავს მოწყობაზე, დრამატიულ დადგმებზე და სხვ. ეს შეხედულება შემცდარია. კარგი არის ის კლუბი, რომელიც ცოდნას ავრცელებს არა ზევიდან, არამედ ეწევა ყოველდღიურ კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას თვითონ მუშათა აქტიური მონაწილეობით".

„რკინის გზელ მუშებს,—ამბობს დასასრულ ამხ. კრუპსკაია,—ახლო დამოკიდებულება აქვთ გლეხურ მოსახლეობასთან. რკინის გზის მუშას შეუძლია და ის უნდა გახდეს პროლეტარიატის გავლენის გამტარებელი საბჭოთა სოფელში".

თათბირი საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაობის შესახებ

მეოთხე დღე

გუშინ დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. აფციაურის მოხსენება საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ემყარებოდა იმ მასალებს, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორთა მიერ ჩატარებულ გამოკვლევით, რომელიც შეეხო საქართველოს და აჭარისტანის 19 სათემო საბჭოს, აფხაზეთის 6 სასოფლო საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ორ სარაიონო საბჭოს.

საქართველოს ძირითად საბჭოების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. აფციაური)

ამ თათბირის მიზანი,—ამბობს მომხსენებელი,—არის ჩვენი საბჭოთა ძირითადი ორგანოების მდგომარეობის შესწავლა, აღნუსხვა და გათვალისწინება იმ მიღწევებისა და ნაკლულოვანებათა, რომლებიც ჩვენს საბჭოთა ორგანოების მუშაობას ახასიათებენ. თათბირის მეორე დანიშნულებას წარმოადგენს წარსული გამოცდილების მიხედვით გამომუშავდეს ღონისძიებები საბჭოთა ძირითადი ორგანოების მუშაობის გასაჯანსაღებლად. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენ ძირითად საბჭოების უკანასკნელი პერიოდის საქმიანობას, დავინახავთ, რომ კამპანიას საბჭოთა გამოცოცხლების შესახებ უნაყოფოთ არ ჩაუვლია. საბჭოები თანდათან ხდებიან სოფლის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელნი. საბჭოებმა რამოდენიმედ შეითვისეს ის ამოცანები, რომლების გატარებასაც მიზნად ისახავს პარტია და ხელისუფლება სასოფლო-მეურნეობის აღორძინების, სოფლის პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურების საქმეში. საბჭოების მუშაობას ბევრი მიღწევები აქვს, მაგრამ უფრო მეტია ნაკლულოვანებანი და, აქ თათბირის ამოცანაც ხშირად ის არის, რომ უფრო მეტად შეეხოს ამ ნაკლულოვანებებს, როგორია საბჭოთა ძირითადი ორგანიზაციების მდგომარეობა?

საბჭოების გამოცოცხლების მაჩვენებელი არის სხვათა შორის დეპუტატების აქტივობა და მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, საბჭოების პლენუმები ყველგან რეგულიარულად არ იკრიბება. ზოგან პლენუმის მოწვევას საჭიროდ არ სთვლიან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პლენუმის მოწვევა, რეგულიარულად შეუძლებელი ხდება ხანგრძლივ უამინდობის გამო. უფრო მეტად, საბჭოების პრეზიდიუმები და თავმჯდომარეები ითვისებენ საბჭოს უფლებებს და იმ საკითხებს, რომლების გადაწყვეტა საბჭოების უფლებას შეადგენს, სწყვეტენ პრეზიდიუმის სხდომებზე, ან სასოფლო კრებებზე. ცუდად არის დაყენებული სხდომებზე დეპუტატების დასწრების აღრიცხვა. საკითხების დამუშავება წინასწარ პლენუმის მოწვევამდე სხვადასხვა ფორმით სწარმოებს. აფხაზეთსა და აჭარისტანში საბჭოების პრეზიდიუმები სრულიად არ ამუშავებენ საბჭოების პლენუმის დღის წესრიგს. ქუთაისის, ლეჩხუმის, რაჭის, ზუგდიდის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში საბჭოს პლენუმის დღის წესრიგი მუშავდება პრეზიდიუმში. არც ერთს საბჭოში შემოღებული არ არის საკითხების წინასწარი დამუშავება სექციებსა და კომისიებში.

საბჭოს დღის წესრიგში ისმება საერთო პოლიტიკური ხასიათის საკითხები: ფასების დაკლება, გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია, გლეხ. მეურნეობის სესხის გავრცელება და სხვ. ამ საკითხის შესახებ (აჭარისტანის, აფხაზეთის, ლეჩხუმისა და ახალციხის მაზრების თემსაბჭოებს გარდა) ყველას მოუსმენია საერთო ხასიათის მოხსენებები. არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ თემსაბჭოებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების და საბჭოს აპარატის რაციონალიზაციის საკითხებისათვის. მშენებლობის, სკოლების აგებისა და შეკეთების, გზების და წყალსადენის გაყვანის, საავადმყოფოს მოწყობის და სხვა ასეთი საკითხები თითქმის ყველა საბჭოების სხდომებზე ისმება და სწყდება. მაგრამ ამავე დროს საბჭოების ყურადღება ხშირად ჩერდება წვრილმან საკითხებზედაც. თუ როგორ მონაწილეობას ღებულობენ დეპუტატები ამა თუ იმ საკითხის განხილვასა და გადასინჯვაში, ამის შესახებ არც ერთ საბჭოს ცნობები არ მოეპოვება.

საბჭოს დადგენილებები, რომელთა გატარება ადგილობრივ სახსარზეა დამოკიდებული, ტარდება 70—80 პროცენტით. დადგენილებები, რომელთა გატარება მოითხოვს სამაზრო აღმასკომების ან უფრო მაღლა მდგომ ორგანოების დახმარებას, ან სრულებით არ ხორციელდება ან ძალიან მცირედ. ყველა თემსაბჭოებს არა აქვს საკუთარი ბიუჯეტები. ან თუ აქვთ უმრავლეს შემთხვევაში დეფიციტიანია. მატერიალური ბაზის უქონლობით აიხსნება ის, რომ სამხრეთ-ოსეთის საბჭოები თავის დადგენილებათა 90 პროცენტის გასატარებლად მოითხოვენ დახმარებას ცენტრიდან. წინააღმდეგ, ის თემები, რომელთაც აქვთ უდეფიციტო ბიუჯეტები, (მაგალითად, ბაღდათის, შინდისის თემსაბჭოები) თავის დადგენილებათა დიდ ნაწილს ახორციელებენ.

საბჭოების უმრავლესობას ჯერ კიდევ გათვალისწინებული არა აქვს გეგმიანი მუშაობის მნიშვნელობა. 27 გამოკვლეულ საბჭოდან მუშაობის გეგმა აღმოაჩნდა მხოლოდ შვიდს. დანარჩენ საბჭოებში არავითარი გეგმიანობა არ არის. გამომუშავებული გეგმები ზოგიერთ შემთხვევაში რეალური არ არის და არ ეყარება საბჭოს ფინანსიურ შესაძლებლობას, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ისინი შედგენილი არიან ამრჩეველთა მიერ მოცემულ ნაკაზის მიხედვით.

საბჭოსა და დეპუტატების მიერ ანგარიშგება ამომრჩეველების წინაშე სუსტად არის დაყენებული. უკანასკნელ საანგარიშო კამპანიამდე მთელ რიგ თემსაბჭოებს არ ჩაუტარებიათ საანგარიშო კამპანია. დღემდე ანგარიშს აბარებდენ უმთავრესად თემსაბჭოს თავმჯდომარეები. დეპუტატების საბჭოებიდან გამოწვევას უკანასკნელ დრომდე ადგილი არ ქონია.

საბჭოები თემის ფარგლებში მყოფ ორგანიზაციებს საკმარის ხელმძღვანელობას ვერ უწევდენ. ამა თუ იმ ორგანიზაციის (გლეხკომი, კოოპერაცია, სკოლა) საანგარიშო მოხსენების მოსმენა ყველა საბჭოში არ შემოღებულა. არასაბჭოს წევრების დასწრებას საბჭოს სხდომებზე შემთხვევითი ხასიათი აქვს. თუ რა მონაწილეობას ღებულობენ ისინი საბჭოების სხდომებზე დასმულ საკითხების განხილვაში, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

რაც შეეხება საბჭოების აღმასრულებელ ორგანოებს, მათი სოციალურ-პარტიული შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია. საბჭოს პრეზიდიუმებში თითქმის არსად ქალები არ შედიან. შრომა პრეზიდიუმის წევრებს შორის ყველგან თანაბრად არ არის განაწილებული.

პრეზიდიუმის სხდომები ყველგან რეგულიარულად არ იწვევა. ამ გარემოების მიზეზი ის არის, რომ გარკვეულ არ არის გამიჯნებული საკითხები, რომლებიც უნდა გაარჩიოს პრეზიდიუმმა, იმ საკითხებისაგან, რომლის გადაწყვეტა საბჭოს პლენუმის უფლებას შეადგენს. პრეზიდიუმებს თავისი დამოუკიდებელი მუშაობის გეგმა არა აქვთ და მუშაობენ იმ გეგმის მიხედვით, რომელიც საბჭოსთვის არის გამომუშავებული.

გამოკვლეულ 27 თემსაბჭოდან საბჭოს პლენუმებს თავისი მუშაობის ანგარიში ჩაუბარებიათ 50 პროცენტს. ანგარიშების ჩაბარებას არა აქვს რეგულიარული ხასიათი. საბჭოების უმრავლესობა მოხსენებებს ღებულობს ცნობად. პრაქტიკული წინადადებების მიღებას—პრეზიდიუმის ანგარიშების მიხედვით, მცირე გამონაკლისით, ადგილი არა აქვს.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლებას ყველა თემ-საბჭო არ იყენებს, სავალდებულო დადგენილებები, რომელსაც ამუშავებენ პრეზიდიუმები და ამტკიცებენ საბჭოები, შეეხებოდენ უმთავრესად წანახდენებს, სანიტარულ წესრიგის შემოღებას, ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, სარწყავ არხებით სარგებლობას და სხ.

წანახდენების და ტყის გაჩეხვის საქმეების გარჩევა ყველგან რეგულიარულად არ სწარმოებს, რაც იწვევს გაურჩეველ საქმეების დაგროვებას. მაგალითად 11 თემში გასარჩევი იყო 2,662 საქმე. აქედან გაირჩა მხოლოდ 938 (36 პროც.).

რაც შეეხება სექციებს, სექციები არსებობს თითქმის ყველა თემსაბჭოსთან. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სექციები მოწყობილია საერთო შაბლონის მიხედვით, თანახმად იმ დებულებისა, რომელიც ამის შესახებ არსებობს. თითქმის ყველა საბჭოები აწყობენ იმ სექციებს, რომელიც დებულებით არის გათვალისწინებული და სრულიად ანგარიშს არ უწევენ იმას, შეეფერება თუ არა ესა თუ ის სექცია ადგილობრივ პირობებს. სექციებში ჩაბმულია დეპუტატების 68 პროცენტი. სექციებს მეტწილად არა აქვთ თავისი მუშაობის გეგმა. მუშაობის ფორმები და მეთოდები სხვადასხვაგვარია. ზოგან საბჭოები საკითხების წინასწარ დამუშავებას ანდობენ სექციებს, ზოგან კი თვით სექციები სვამენ საკითხებს, თვითონვე სწყვეტენ მათ და საბჭ. მიერ დაუმტკიცებლათ ატარებენ ცხოვრებაში. არის შემთხვევები, როცა სექციებს ევალებათ საბჭოს მიერ გადაწყვეტილი საკითხის ცხოვრებაში გატარება. არსებულ სექციებს შორის ჩვენი სოფლის სხ. ნამდვილისათვის უცილოზე შესაფერი გამოდგენ საგზაო, საამშენ., კულტურულ-საგანმანათლებლო და საექიმო-სანიტარული სექციები. გორის მაზრაში სექციების ნაცვლად არსებობს კომისიების სისტემა. თვითეულ თემში საშუალოდ მოწყობილია 25—35-ამდე კომისია. კომისიების მუშაობა შედარებით უფრო ნაყოფიერია. მათ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ, სიმრავლის გამო, შეუძლებელი ხდება საბჭოსა და პრეზიდიუმის მხრივ მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა. საერთოდ ყველა სექციების დამახასიათებელი ნაკლია გლეხობის აქტივის უმნიშვნელოდ ჩაბმა სექციის მუშაობაში, ცალკე სექციების უუნარობა, მათ მუშაობაზე პრეზიდიუმის და საბჭოს ხელმძღვანელობის სისუსტე და სხვა.

გლეხობის მასიური აქტივობის მაჩვენებელია აგრეთვე, სასოფლო, სათემო და სარაიონო კრებები, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში იწვევენ საბჭოს პრეზიდიუმები. სასოფლო კრებების დღის წესრიგს, უმრავლეს შემთხვევაში, ამუშავებენ საბჭოების თავმჯდომარეები და პრეზიდიუმები, იშვიათად საბჭოები. კრებებს ესწრებიან საბჭოს დეპუტატებიც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ განსახილველად დასმულ საკითხების გადაწყვეტაში.

საერთო პოლიტიკური საკითხების გარდა, კრებებზე ისმება საკითხები თვითდაბეგვრის საგზაო ბეგარის, მეველეების დაქირავების, ასისთავების და ოცისთავების არჩევის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, მიწადმოწყობის შესახებ და სხვ. კრებების ოქმებს ზოგიერთ თემებში ამტკიცებენ თემ-საბჭოები და მათი პრეზიდიუმები. აფხაზეთის ერთ თემში კი შემოღებულია საბჭოს დადგენილებების დამტკიცების წესი სასოფლო კრებებზე. წებელდის თემში ხშირად სასოფლო კრების დადგენილებას ამტკიცებს და აუქმებს პერსონალურად საბჭოს თავმჯდომარე. არის შემთხვევები, როცა თემ-აღმასკომები არ ამტკიცებენ სასოფლო კრებების დადგენილებას.

საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების ერთი საშუალებათაგანია საკუთარ სათემო ბიუჯეტების შედგენა. იმ თემებში, რომელთაც შედგენილი აქვთ ბიუჯეტები მტკიცე ეკონომიურ ბაზაზე, საბჭოების მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესებულა იმ მხრივ, რომ მათ საშუალება მიეცათ ცხოვრებაში გაეტარებიათ თავიანთი დადგენილებები, გაეძლიერებიათ მშენებლობა, წინ წაეწიათ ადგილობრივი მეურნეობა და მრეწველობა. სულ სხვა სურათია იმ თემში, რომელთა ბიუჯეტის მთავარ საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს სამაზრო აღმასკომების დოტაცია. აღმშენებლობითი მუშაობა ძალიან სუსტია. მთელ რიგ თემ-საბჭოებს ლეჩხუმში, აჭარისტანში და აფხაზეთში თავიანთი ბიუჯეტი არა აქვთ, თუმცა საშუალება ბიუჯეტის შესადგენად მათ მოეპოვებად (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხები, ადგილობრივი გამონაღები, საიჯარო გადასახადები და სხვა). ბიუჯეტების შედგენაში საბჭოები და სექციები მონაწილეობას არ ღებულობენ. ბიუჯეტს ადგენენ სამდივნოს წარმომადგენელნი საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება თვითდაბეგვრას. თვითდაბეგვრა ერთი მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს ადგილობრივ მშენებლობის განსავითარებლად და მას ხშირად მიმართავს ჩვენი თემ-საბჭოები. უმრავლეს შემთხვევაში შემოღებულია ფულადი თვითდაბეგვრა. თვითდაბეგვრის გატარების წესი ყველგან ერთგვარი არ არის. აფხაზეთში თვითდაბეგვრა ტარდება სასოფლო კრების დადგენილებით, ხოლო რაჭის მაზრაში საბჭოს დადგენილებით. უმრავლეს შემთხვევაში თვითდაბეგვრის ინიციატივას კისრულობს სასოფლო კრებები. პროცენტული შეფარდება თვითდაბეგვრის ჯამსა და სასოფლო სამეურნეო გადასახადს შორის სხვადასხვაგვარია. უმრავლეს შემთხვევაში თვითდაბეგვრის ჯამი აღემატება სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. მეთვალყურეობა, თუ როგორ იხარჯება თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხა, შემოღებულია მხოლოდ ბაღდათის, შინდისის, ლაილაშის თემსაბჭოებში.

დასასრულ მომხსენებელი მოკლედ მიმოიხილავს უკეთესი სოფლად წარმოებულ მშენებლობას და თემის ფარგლებში მდებარე ორგანიზაციების საქმიანობას.

კამათი

ამხ. აფციაურის და ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების გარშემო დილის სხდომაზე დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. კერესელიძე
(რაჭა)

აღნიშნავს, რომ ადგილიდან მოხსენებები იყო ცალმხრივი, რადგან მომხსენებლებმა აღნიშნეს მხოლოდ მიღწევები და არაფერი სთქვეს ნაკლულოვანებებზე. უფრო სრული წარმოდგენა რომ გვქონოდა თემ-საბჭოების მუშაობაზე, საჭირო იყო თანამოხსენებით გამოსულიყვენ ინსტრუქტორები. შემდეგ იგი ამბობს, რომ საჭიროა უფრო მეტი მოვთხოვოთ იმ საბჭოებს, რომელთაც მცირე ბიუჯეტი აქვთ, რადგან ისინი ვალდებულნი არიან გააძლიერონ მუშაობა საბიუჯეტო რესურსების გასადიდებლადო.

ამხ. ჟოჟუა
(სიღნაღის მაზრა)

ეხება ინსტრუქტორების მუშაობას, რომელიც დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია. ინსტრუქტორების გამოკვლევა და რჩევა-დარიგება ატარებს ზოგად ხასიათს და არავითარ პრაქტიკულ-კონკრეტულ მითითებას არ აძლევენ თემ-საბჭოებს იმის შესახებ, თუ როგორ, აწარმოონ მაგალითად ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, აპარატის რაციონალიზაციისათვის და სხვ..

ამხ. ჰუსეინ ზოიძე
(აჭარისტანი)

აღნიშნავს, რომ ინსტრუქტორები თავის მუშაობას განსაზღვრავენ მხოლოდ საბჭოების ოქმების გადასინჯვით. ორატორი მოითხოვს, რომ სექციების ნაცვლად შეიქმნენ ცალკე კომისიები სოფლების მიხედვით. მისი გამოცემით, სრულებით არ შეეფერება ინსტრუქტორების ცნობა, თითქოს აჭარისტანში თემსაბჭოს პრეზიდიუმში არ შედიოდენ ქალები.

ამხ. კვირიკაშვილი
(ინსტრუქტორი)

არ ეთანხმება მომხსენებლებს თემ-საბჭოების დახასიათებაში. მისი აზრით, საბჭოებს უფრო მეტი ნაკლი აქვთ, ვიდრე მიღწევები. თათბირზე საჭიროა ამ ნაკლულოვანებათა გამომჟღავნება და არა დაფარვა.

ამხ. გოგელია
(აფხაზეთი)

თათბირი ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ თანხები ადგილობრივი ბიუჯეტის გასაძლიერებლად იკრიბებოდეს ნებაყოფლობით და არავითარ ძალდატანებას არ ქონდეს ადგილი. ორატორს არ აკმაყოფილებს აგრეთვე გლეხკომების მუშაობა და საჭიროდ სცნობს ღონისძიებების გამომუშავებას გლეხკომების საშუალებათა გასაძლიერებლად.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, საღამოს დამთავრდა თათბირი. საბოლოო სხდომაზე გაგრძელდა კამათი. ილაპარაკეს: ამხ. სუქნიშვილმა (წინანდალი), კაკაბაძემ (ქუთაისი), ტყაბლაძემ (თბილისი), ცინცაძემ (ჩოხატაური), კოზაევმა (სამხრეთ-ოსეთი), რუხაძემ (გორი), ხოშტარიამ (ცაკის ინსტრუქტორი), კოხტაშვილმა (თელავი), ფხიტიძემ და სხვ.

ამხ. სუქნიშვილმა აღნიშნა, რომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სექციების მუშაობის გაცხოველებას, რადგანაც სექციები წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ორგანოებს მთელ საბჭოთა სისტემაში, ორატორის აზრით, საჭიროა მცირერიცხოვან, მაგრამ საუკეთესო მომუშავე სექციების ჩამოყალიბება, რომლებიც შესძლებენ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას. ამხ. სუქნიშვილმა აღნიშნა აგრეთვე, რომ უნდა გაცხოველდეს კავშირი სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და სათემო საბჭოებს შორის.

ამხ. კაკაბაძის აზრით, საბჭოების კომისიების საქმიანობა არ არის დამაკმაყოფილებელი. საანგარიშო კამპანია ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა ტარდებოდეს.

ამხ. ტყაბლაძე აღნიშნავს, რომ სუსტად არის დაყენებული საბჭოების მუშაობაში გლეხობის აქტივის ჩაბმა. აუცილებლად საჭიროა ღონისძიებების გატარება სასოფლო კრებების გასაცხოველებლათ, რადგან, როგორც თბილისის მაზრის მაგალითი ამტკიცებს, რომ სასოფლო კრებებს არ ესწრება მშრომელ გლეხობის საკმაო რაოდენობა. ორატორი მოითხოვს რწმუნებულთა გამოყოფისათვის მეტი ყურადღების მიქცევას.

ამხ. ცინცაძის აზრით საჭიროა მიწის იჯარით გაცემის წესის შეცვლა და ენერგიული ბრძოლის წარმოება მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ.

ამხ. ხოშტარია აღნიშნავს, რომ არის თემები, სადაც საბჭოს სექციებს ადმინისტრატიული განხრა ახასიათებს. ასეთია, მაგალითად, გურჯაანის სათემო საბჭოს საფინანსო სექცია, რომელმაც იკისრა სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფა. სექციების მიერ ადმინისტრატიულ ფუნქციების მითვისებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, როგორც ადგილობრივ, ისე სამაზრო და ცენტრალურ ორგანოების საშუალებით. გლეხობის აქტივს საბჭოები ვერ იყენებენ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობისთვის, მაშინ, როცა ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის ჩაბმა საბჭოს საქმიანობაში წარმოადგენს საბჭოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. სარევიზიო კომისიების მუშაობა, საერთოდ ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად: არის თემები, სადაც სარევიზიო კომისიები ერევიან საბჭოს და აღმასკომის საქმეებში, იმ მხრივ, რომ აუქმებენ საბჭოს დადგენილებებსაც. ასეთი მოვლენები საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას, რადგანაც არ შეიძლება სარევიზიო კომისიას მიენიჭოს ადმინისტრატიული უფლებები.

ამხ. კოხტაშვილი შეეხო ბიუროკრატიზმის საკითხს. მან მიუთითა, რომ ბიუროკრატიული მოვლენები სოფლად მომუშავე ორგანიზაციებშიაც არის ფეხმოკიდებული, და ამის საწინააღმდეგოდ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც საბჭოს წევრები, ისე სოფლის მშრომელ გლეხობის აქტივი.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც შემდეგი აზრი გამოსთქვა საბჭოთა ძირითადი ორგანოების მუშაობის შესახებ:—ჩვენ საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაობას, საერთოდ, ადგილისა და რაიონის განურჩევლად, დიდი წინსვლა ეტყობა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან დღეს საბჭოთა ხელისუფლების მერვე წლის თავზე საქართველოში საკმაოდ მომზადებულია ნიადაგი საბჭოთა მუშაობის გასაცხოველებლად. ჩვენს საბჭოებს, რომ დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული ამის დამამტკიცებელია თუნდაც ეს თათბირი, სადაც ძირითად ორგანოების მუშაკნი ასეთი საქმიანი მიდგომითა და შეკითხვებით გამოდიან. მომხსენებლების ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ისინი უმთავრესად საბჭოთა მუშაობის დადებით მხარეებს ეხებოდენ. ზოგს აშკარად კაზიონური მიდგომა ემჩნეოდა. ეს კი მავნე განხრაა, რადგან სწორი შეფასების გარეშე ვერ გავაუმჯობესებთ სასოფლო და სათემო საბჭოებს, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენ ორგანიზაციებს წარმოადგენენ სოფლად. რა უნდა მოვთხოვოთ მომხსენებლებს ძირითადი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ? მათ უნდა მოგვცენ დღევანდელი ჩვენი სოფლის მდგომარეობის, მისი ყოფა-ცხოვრების სრული სურათი. ჩვენ გვაინტერესებს ის ძირითადი ცვლილებები, რომელიც მოხდა ჩვენ სოფელში. ჩვენ გვაინტერესებს, თუ საით მიდის სოფელი, როგორ შეისისხლხორცა მოსახლეობამ საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა, რა ეკონომიური და კულტურული მიღწევები აქვს სოფელს.

როგორც სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, სოფლის მეურნეობის წინსვლა, მისი კულტურული წარმატება ყველგან ერთნაირი არ არის. საბჭოთა ძირითად ორგანოებმა თავის მუშაობის გეგმაში უნდა შეიტანონ სოფლის ეკონომიკის შესწავლაც. ორატორები ნაკლებად შეეხენ აგრეთვე იმას, თუ როგორია საბჭოთა ძირითად უჯრედების მიდგომა გლეხობისადმი. აუცილებლად საჭიროდ კი არის გავითვალისწინოთ და შევისწავლოთ ის მეთოდები, რომლის საშუალებითაც ვიზიდავთ და მუშაობაში ვაბამთ გლეხკაცობას. ჩვენ გვაქვს ბევრი მაგალითი იმისი, რომ გლეხობის მიზიდვის საქმე ყველგან არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენი ვალია ისეთი პირობები შევქმნად, რომ გლეხობამ სავსებით ისარგებლოს საბჭოთა დემოკრატიული წესით და საქმიანი მუშაობით გვერდში ამოუდგეს ხელისუფლებას. ორატორებმა თითქმის უყურადღებოთ დასტოვეს საკითხი, თუ როგორ ტარდება რევოლიუციონური კანონიერება სოფლად. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რევოლიუციონური კანონიერების გატარებაზე დიდათ არის დამოკიდებული სოფლად ხელისუფლების განმტკიცება.

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძე ჩერდება საბჭოებიდან დეპუტატების გამოწვევაზე. ჩვენს კონსტიტუციაში შეტანილი იყო მუხლი დეპუტატების გამოწვევის შესახებ, მაგრამ როგორღაც ამ მუხლს არ მივმართავდით. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში შემოვიღეთ ამ მუხლის გამოყენება პრაქტიკაში, მაგრამ ირკვევა, რომ დეპუტატების გაწვევის დროს ზოგან გაუგებრობას აქვს ადგილი, მაგალითად ნიკორწმინდის თემში დეპუტატი გაუწვევიათ იმიტომ, რომ მას საჯაროთ გაუკრიტიკებია აღმასკომის საქმიანობა. შინდისის თემში გაუწვევიათ დეპუტატი მიუხედავათ იმისა რომ ღარიბთა ჯგუფი დეპუტატის მხარეზე ყოფილა. საბედნიეროდ სამაზრო აღმასკომს გამოუსწორებია ეს შეცდომა.

სექციების და კომისიის შესახებ ამხ. ფილიპე მახარაძე ამბობს, რომ კომისია სექციის ადგილს ვერ დაიჭერს, სექციამ უნდა იარსებოს, თუმცა მათ სიმრავლეს უნდა ვერიდოთ. ამავე დროს ადგილებს უნდა ექნეს სრული უფლება გამოჰყონ კომისიები, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

ერთ-ერთი ამხანაგი მოითხოვს, რომ გაზეთში გამოსაგზავნი წერილები წინასწარ შეამოწმონ ადგილებზე იმ პირებმა, ვისაც ეხება წერილი) და მხოლოდ შემდეგ დაიბეჭდოს. ცხადია, ასეთ ალვირს ჩვენს კრიტიკას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოვდებთ. აქ აღნიშნეს, რომ ჩვენი სათემო დებულებით თითქოს თემაღმასკომების უფლებები შეზღუდული იყოს. ეს არ არის მართალი. რუსეთთან და უკრაინასთან შედარებით ჩვენი დებულება საბჭოებს უფრო მეტ უფლებას ანიჭებს. ყოველ შემთხვევაში ახალი დებულების გამომუშავების დროს ხელახლა იქნება განხილული ეს საკითხი და სათანადო შესწორებაც იქნება შეტანილი.

დასასრულ, ამხ. ფილიპე შემდეგ დასკვნას უკეთებს თავის სიტყვას: „ჩვენ უნდა ავაშენოთ ახალი სოფელი. ამისათვის საჭიროა სოფლად მომუშავე ამხანაგებმა ისარგებლონ წარსული გამოცდილებით, ზედმიწევნით შეისწავლონ წინანდელი მუშაობა და კრიტიკული თვალით შეხედონ თავის ნამუშევარს. მხოლოდ ამ გზით აშენდება ახალი სოფელი, რომლისთვის ნიადაგი უკვე მომზადებულია.

—:—

ამხ. ფილიპეს შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. აფციაურმა, რომელმაც დასკვნა გაუკეთა კამათის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს საბჭოთა მომავალი მუშაობის შესახებ. დასასრულ, თათბირმა მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა ძირითად ორგანოების ამოცანებზე.

ამით ამოიწურა თათბირის დღის წესრიგი.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

განვამტკიცოთ მიღწეული შედეგები

უმთავრესი მუშაობა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გასავრცელებლად უკვე დამთავრებულია. არასრული ცნობებით, 1928 წლის 1 მაისამდე გასაღებულ იქნა 120.000.000 მანეთის ობლიგაციები.

ეს ციფრი ნათლად ამტკიცებს იმას, თუ რამდენად შეიგნეს გლეხთა ფართო მშრომელმა მასებმა სესხის როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის და მისი სარგებლობა ჩვენი გლეხობისათვის. გლეხთა მშრომელმა მასებმა თითქმის ყველა რაიონებში თავის მოვალეობის სრული შეგნებით გადასცეს სახელმწიფოს სესხად თავისი თავისუფალი თანხები. ამასთან ერთად, როგორც უკვე იყო აღნიშნული ამხ. რიკოვის წერილში და ამხ. კალინინის სიტყვაში ცაკის უკანასკნელ სესიაზე, ზოგიერთ რაიონებში ადგილი ქონდა პარტიის და მთავრობის დირექტივების დამახინჯებას სესხის გავრცელების საქმეში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიაში ასეთ შემთხვევებს თითქმის არ ქონია ადგილი.

მთელ რიგ დაბრკოლებათა გამო, სესხის რეალიზაცია ბევრ რაიონში ფაქტიურად დაიწყო დაგვიანებით, თებერვალში. ამიტომ აუცილებელი იყო სესხის რეალიზაციის ტემპის დაჩქარება. ამის გამო სესხის რეალიზაციის კამპანიას მიეცა დაკვირთი ხასიათი. ყოველ დიდ საქმეში,—150.000.000 მანეთის სესხის რეალიზაცია კი რომ უეჭველად დიდი საქმეა,—შეცდომები აუცილებელია.

საკითხი ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ კამპანიის დროს დაშვებული ნაკლულოვანებანი და შეცდომები დაუყოვნებლივ იქნას გამოსწორებული. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ გლეხს დაუმტკიცოთ სესხის ობლიგაციის სარგებლობა, დაუმტკიცოთ, რომ ობლიგაციებში დაბანდებული თანხა საგრძნობ სარგებლობას მოუტანს მას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგებათა ტირაჟებს. ტირაჟები მოხდება საბჭოთა კავშირის 55 პუნქტში.

ტირაჟები უნდა გახდეს გამოსავალ მომენტად იმ საგიტაციო მუშაობისათვის, რომელსაც მიზნად ექნება სესხის პოპულარიზაცია. ტირაჟები საუკეთესო მაჩვენებელია იმის, თუ რამდენად სისწორით და ბეჯითად ასრულებს საბჭოთა მთავრობა თავის ვალდებულებებს მშრომელ გლეხთა ფართო მასების წინაშე.

ვინაიდან ტირაჟები ამიერ-კავკასიაში დაიწყება ივნისის პირველი რიცხვებიდან, ამიტომ აუცილებელია ეხლავე შეუდგეთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობას როგორც სესხის სარგებლობის, ისე ტირაჟის მნიშვნელობის გარკვევისათვის. საჭიროა, რომ გლეხობამ არა მარტო იცოდეს ტირაჟის შესახებ, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში. 10 გლეხის გარდა, რომლებიც შეყვანილ იქნებიან სატირაჟო კომისიაში, გლეხობა ექსკურსიებისა და დელეგაციების საშუალებით უნდა დაესწროს ტირაჟს, რათა ნათლად დარწმუნდეს იმაში, თუ რამდენად სისწორით ტარდება ეს ტირაჟები, დარწმუნდეს იმაში, რომ მოგება არ არის ზღაპარი, არამედ სავსებით რეალური საქმეა.

ტირაჟის დამთავრების შემდეგ მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას შესუსტებული: გლეხობას სისტემატიურად უნდა განემარტოს, თუ რამდენად სასარგებლოა მისთვის ობლიგაციის შენახვა უფრო ხანგრძლივი ვადით; უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გლეხებმა უკან არ დაუბრუნონ ობლიგაციები სახელმწიფოს და ამით არ დაჰკარგონ ის სარგებლობა, რომელსაც მიიღებენ ობლიგაციის შენახვით.

მთელი ამ მუშაობისათვის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ყველა ძალები. სხვათა შორის, საშეფო საზოგადოებებმა და სოფლად შვებულებაში მიმავალ მუშებმა ფართე კამპანია უნდა გასწიონ.

მხოლოდ ყველა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ენერგიული და ხანგრძლივი მუშაობით შევძლებთ საგლეხო სესხის დარგში მიღწეულ წარმატებას.

ვ. ა.

დაზღვეულთა დახმარების ახალი წესი

არსებული დებულებით, დაზღვეულმა, რომელიც სამუშაოდან განთავისუფლებულია ბიულეტენით ან რომელსაც აქვს უფლება მიიღოს რაიმე სხვა სახის დახმარება სოცდაზღვევის სალაროდან, უნდა მიმართოს დამზღვევი სალაროს ერთ-ერთ პუნქტს. დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ დაზღვეული ფულის მისაღებად უნდა გამოცხადდეს მესამე დღეს.

ამის გამო დამზღვევი სალაროს პუნქტებში იქმნება რიგები, და დაზღვეულმა დრო უნდა დაჰკარგოს ორჯერ მისვლით და რიგში დგომით.

სოცდაზღვევის საქართველოს კომიტეტმა ამჟამად შეიმუშავა მსხვილ წარმოებათა (სადაც მუშაობს 100 მეტი კაცი) მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დახმარების მიცემის ახალი პროექტი. დოკუმენტების ჩაბარება და ფულის მიღება დაზღვეულთა მიერ, ამ პროექტით გადატანილია დამზღვევი სალაროს პუნქტიდან წარმოების შენობაში.

ეს მოხდება შემდეგნაირად. ყოველმა დაზღვეულმა, რომელსაც ხელთ აქვს ექიმისაგან მიღებული ბიულეტენი, ეს ბიულეტენი უნდა წარუდგინოს კანტორას სამუშაო ხელფასის სხვა ცნობების ჩასაწერად. ამგვარად, საჭირო აღარ იქნება დაზღვეულის სიარული დამზღვევ სალაროში დოკუმენტების ჩასაბარებლად.

დამზღვევი სალაროს სპეციალური მოლარეები წარმოებებს შემოივლიან განსაზღვრულ დღეებში, კვირაში ორჯერ, წაიღებენ ამ დოკუმენტებს და აგრეთვე გასცემენ ფულს წინედ წაღებული დოკუმენტების გასანაღდებლად.

ამგვარად, დაზღვეულს აღარ მოუხდება დამზღვევი სალაროს პუნქტში მისვლა ფულის მისაღებად, ვინაიდან დამზღვევი ორგანოები თვითონ მიუტანენ ფულს სამუშაო ადგილას.

ეს პროექტი საბოლოო შესათანხმებლად წარედგინა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს.

პარტიული ცხოვრება

საგიტ.-საპროპ. განყ-ის მუშაკთა თათბირი

მოსკოვი, 1 ივნისი. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაკთა საკავშირო თათბირზე მოხსენებით აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანების შესახებ კულტურულ მშენებლობის დარგში გამოვიდა ამხ. კრინიცკი. იგი შეეხო მასიური მუშაობის დეფექტებს და აღნიშნა, რომ ამ მუშაობის მთავარი ნაკლია არასაკმაოდ მკაფიო კლასობრივი გეზი.

— აგიტაცია—სთქვა მან—უმეტეს შემთხვევებში კმაყოფილდება ლოზუნგებით, შაბლონებით და არ არკვევს კლასობრივი მტრის სახეს. ჩვენ ვხედავთ, რომ მოდუნებული და პასიური მასიური მუშაობა ბრძოლაში იმ მტრული გავლენების წინააღმდეგ, რომლებიც იჭრებიან ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, ბრძოლაში რელიგიურ ცრუმორწმუნეობისა ლოთობისა, შოვინიზმისა, ანტისემიტიზმისა და გულგატეხილობის წინააღმდეგ. მეორე დეფექტია—ჩვენი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის მოწყვეტა მასების დარაზმვის ამოცანებიდან. როდესაც აგიტატორი ამავე დროს მასების ორგანიზატორი არ არის, აგიტაცია უნაყოფოა. საბჭოთა პრესა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დაკავშირებული მასებთან. თვითკრიტიკის გატარების დროსაც კი გაზეთებმა ვერ შესძლეს საკმაოდ აემოძრავებიათ მშრომელთა ქვედა ფენები. გამომჟღავნებითი მუშაობა სათანადოთ არ ბოლოვდება, ამასთანავე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ამ მხრივ სუსტ დახმარებას უწევენ ჩვენს გაზეთებს.

კარგად ვერ არის დაყენებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. აქაც საჭიროა კლასობრივი მიდგომა, ვინაიდან სოფლად წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი ყველგან განსაკუთრებით მაღალია ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეების შორის.

გაფართოებული ბრძოლა ძველსა და ახალს შორის სწარმოებს აგრეთვე ყოფა-ცხოვრებაშიაც. საჭიროა ფართო შეტევის დაწყება წარსულის მავნე ნაშთების:—ლოთობის, ანტისემიტიზმის, ქალთან უდიერად მოპყრობის, ხულიგნობის, სექტობრივი ალვირახსნილობის, შრომისადმი დაუდევრად მოპყრობის წინააღმდეგ.

შემდეგ ამხ. კრინიცკი დაწვრილებით ჩერდება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე და აღნიშნავს, რომ ანტირელიგიური მუშაობა ჩვენ [illegible], რის გამოც საკვირველი არ არის, რომ ცალკე მუშურ რაიონებშიაც კი ადგილი აქვს ეკლესიის გავლენის რამოდენიმედ ზრდას.

ეხება რა სკოლების მდგომარეობას, ამხ. კრინიცკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განათლების სახალხო კომისარიატში ხშირად ადგილი აქვს კომუნისტური ხაზისა და რევოლიუციონურ ალღოს შესუსტებას ჩვენი კლასობრივი მტრების მიმართ.

ყველა სკოლებში, დაწყებული პირველი საფეხურის სკოლებიდან და გათავებული უმაღლესი სასწავლებლებით, მუშათა, ღარიბ გლეხთა, კომუნისტების და კომკავშირელების პროცენტი სულ უფრო და უფრო მცირდება იმის მიხედვით, რაც უფრო უახლოვდებით უკანასკნელ კურსებს. ცუდი მდგომარეობა არის საზოგადოებათ-მეცნიერების სწავლების დარგში. მოსკოვშიაც კი, სადაც პარტიის 200.000 წევრია, საზოგადოებათ-მეცნიერების მასწავლებელთა შორის პარტიულია მხოლოდ 27 პროცენტი. ანტირელიგიური აღზრდის მაგივრად სკოლებში განათლების სახ. კომისარიატის დირექტივების თანახმად სწარმოებდა მხოლოდ რელიგიის გარეშე აღზრდა.

შემდეგ ამხ. კრინიცკის მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ იმას, რომ კომუნისტები და უპარტიო მარქსისტები გულგრილად და პასიურად ეპყრობიან ბურჟუაზიულ გადამახინჯებას მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. მარქსიზმის საწინააღმდეგო იდეოლოგიური მოძღვრების შეტევამ განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი აგრარულ საკითხში, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დარგში.

ჩამოსთვლის რა პოლიტგანათლების ნაკლულოვანებანი პარტიაში და კომკავშირში ამხ. კრინიცკიმ აღნიშნა, რომ მთელი აგიტპროპ. მუშაობა გადატანილ უნდა იქნას საწარმოებში და სოფლად. აგიტაციისა და პროპაგანდისათვის საჭირო მუშაკთა კადრების შერჩევისა და გადამზადების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ აგიტპროპ. მუშაობა უნდა დაუკავშირდეს მასების დარაზმვას, რათა გადამწყვეტი ბრძოლა იქნას წარმოებული პარტიის ამოცანების გადამახინჯების წინააღმდეგ კულტურულ მშენებლობაში. (ადს).

ზერელე ფრაზებიდან კონკრეტულ წინადადებისაკენ

(წერილი სიღნაღიდან)

ამ ორი თვის განმავლობაში სიღნაღის მაზრაში ტარდებოდა ღარიბთა ჯგუფების თათბირები. ეს თათბირები იხილავდენ სოფლად მუშაობის ყველა ძირითად საკითხებს, როგორიცაა: საკრედიტო პოლიტიკის გატარება, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია, ღარიბთა შეკავშირება კოოპერაციაში და სხ.

თავის-თავად ცხადია თათბირების მუშაობას ჰქონდა მრავალი დადებითი მხარე, მაგრამ იგი არ იყო თავისუფალი არც ნაკლულოვანებებიდან. აი მაგ.: ბაკურციხის სათემო თათბირი იხილავს საკითხს სოფლად მუშაობის შესახებ, და კონკრეტიულ წინადადების მიღების ნაცვლად ადგენს: „მოვისმინეთ რა მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, ალფრთოვანებით ვეგებებით მე-15 პარტყრილობის ყველა დადგენილებებს და ხელს შეუწყობთ მათ გატარებას ცხოვრებაში". „ალფრთოვანებით შეგებება" რასაკვირველია კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენი აზრით მასზე უკეთესი პრაქტიკული ღონისძიებების მიღება უნდა იყოს.

დაახლოვებით ასეთივე რეზოლიუცია გამოაქვს აფენის სათემო თათბირსაც:

„ჩვენ. აფენის რაიონის ღარიბ გლეხთა თათბირი ღრმა რწმენას გამოვსთქვამთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული ხაზის მიყოლებით საბოლოო გამარჯვებამდე, შრომის სამეფო—სოციალიზმისაკენ. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს .. და სხვა".

ასე: გაუმარჯოს და კიდევ გაუმარჯოს .. ნამდვილი საქმე კი ვინ გააკეთოს, როგორ უნდა გატარდეს საბჭოთა ხელისუფლების ხაზი—ამაზედ თათბირი არაფერს გვეუბნება.

არის კიდევ ასეთი მაგალითი: თათბირი ისმენს საკრედიტო ამხანაგობის ანგარიშს და ადგენს: „ამხანაგობის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, დაევალოს გამგეობას განაგრძოს მუშაობა ასეთივე ხაზით", გამოდის, რომ გამგეობის მუშაობას არ ჰქონია რაიმე გამოსასწორებელი ნაკლი, რაც ყოვლად დაუჯერებელი ამბავია.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ საკითხების პრაქტიკულად გადაჭრა, რის გამოც ხშირად ზერელე რეზოლიუციების მიღებით ვკმაყოფილდებით.

ღარიბთა ჯგუფების თათბირების მოწვევა შედარებით ახალი საქმეა ჩვენი ორგანიზაციებისათვის, ამიტომ გასაგებია ის დეფექტები, რომლებიც თან ახლდა ამ პირველ ნაბიჯს. მომავლისათვის საჭიროა მთელი ძალ-ღონით ვეცადოთ, რომ ღარიბთა ჯგუფების მუშაობას მიეცეს უფრო პრაქტიკული ხასიათი.

ვ. ხატიაშვილი.

ნაკლი, რომელიც უნდა გამოსწორდეს

(საგარეჯო)

სოფ. საგარეჯოს კომუჯრედი და კომკავშირის უჯრედი თითქმის ყოველკვირეულად მართავენ ღია სხდომებს, სადაც ესწრება უპარტიო გლეხები და გლეხ-ქალების საკმაო რიცხვი. უჯრედების სხდომებზე ირჩევა სოფლის მტკივნეული საკითხები, რომლის ირგვლივაც ორგანიზაციის წევრებს უპარტიო ღარიბ გლეხებთან ერთად, გამოაქვთ პრაქტიკული ხასიათის დადგენილებები. უჯრედები მხურვალე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში.

სამწუხაროდ, საგარეჯოს უჯრედების მუშაობას ხელს უშლის ერთი ადვილად გამოსასწორებელი ნაკლი: კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის სხდომები ხშირად ერთ და იმავე დროს ინიშნება, კომკავშირის წევრი, რომელიც ითვლება პარტიის წევრადაც გარკვეულობაში ვარდება; არ იცის კომუჯრედს დაესწროს თუ კომკავშირის უჯრედს. ხშირად ხდება, რომ ერთი და იგივე ამხანაგი ერთსა და იმავე დროს ორი სხდომის ესწრება და საფუძვლიანად კი არც ერთის. მას აღარ აქვს ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის საშუალება. ეს მდგომარეობა აუცილებლად ცუდათ მოქმედობს უჯრედის წევრის აქტივობაზე. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ბ—ლი.

ყარასახკალის არხი

გამარჯვება აღმშენებლობის ფრონტზე

აზერბეიჯანის მშრომელი მასები ზეიმობენ განჯის მაზრაში (აზერბეიჯანი) გაყვანილი დიდი სარწყავი სისტემის—ყარასახკალის არხის გახსნას.

ყარასახკალის სარწყავი არხის გაყვანა აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაიწყო 1926 წლის ზაფხულზე.

წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად პირველ რიგში მორწყული უნდა ყოფილიყო ყარასახკალის ველის ერთი დიდი ნაწილი, სივრცით 500 დესეტინა. სულ კი ამ ველზე მოსარწყავი მიწების რაოდენობა უდრის 5.000-მდე დესეტინას.

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობებით ველზე სარწყავი სისტემის გასაყვანათ ჯერ-ჯერობით გაწეული ხარჯები არ აღემატება 1 მილიონ მანეთს. სულ უახლოეს 5 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 1.500.000 მანეთი. აღნიშნული თანხით შესრულებული იქნება სამუშაოები ათასზე მეტი დესეტინა მიწის მოსარწყავათ.

ყარასახკალის ველზე გადასახლებული იქნებიან გლეხები აზერბეიჯანის სხვადასხვა კუთხეებიდან, არხის საზეიმო გახსნისათვის ველზე უკვე დასახლებული იყო 147 კომლი. ახლად დასახლებული გლეხები შეუდგებიან ბამბის მოშენებას. ბამბის პლანტაციების დასათესად გლეხებს მიეცემა ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ყარასახკალის სარწყავი სისტემის საბოლოო გამოცდა და მისი ოფიციალურად მიღება მოახდინა თბილისიდან წასულმა სპეციალისტ-ჰიდრავლიკოსების კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ აგრეთვე აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლები.

სარწყავ სისტემის არხებში წყლის სანიმუშო გაშვება მოხდა 26 მაისს.

ამხ. მ. ცხაკაიას დეპეშა

გუშინ ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ცხაკაიამ განჯის აღმასკომს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ვსწუხვარ, რომ არა მაქვს საშუალება დავესწრო ყარასახკალის არხის გახსნას. გადაეცით ჩემი უმხურვალესი სალამი განჯის რაიონისა და მთელი წითელი აზერბეიჯანის მცხოვრებთ, რომელთაც ვუსურვებ ჩქარა დამთავრებით სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისათვის უდიდესად საჭირო სარიგაციო სამუშაოები, რაც ასე აუცილებელია ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა განსავითარებლათ. ახალი არხების გაყვანა უთუოდ ხელს შეუწყობს ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცებას პროლეტარიატთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის სიმტკიცით აღჭურვილი საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტია.

გაუმარჯოს აზერბეიჯანში აგრიკულტურულ და კულტურულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს თურქების, სომხების და ამიერ-კავკასიის სხვა ხალხების ძმურ კავშირს.

კიდევ მივესალმები განჯისა და მთელი საბჭოთა აზერბეიჯანის მშრომელ მოსახლეობას და ულოცავ მორიგ გამარჯვებას ყარასახკალის არხის გახსნის გამო.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

ამხ. კასიანის დეპეშა

„სამწუხაროთ ვერ ვახერხებ პირადათ დავესწრო და მივესალმო აზერბეიჯანის მშრომელთა მორიგ გამარჯვებას კულტურულ და სამეურნეო ფრონტზე. განჯის მშრომელი გლეხობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ათასეული დესეტინების მორწყვას, რომელიც ემატება აზერბეიჯანის სახნავ მიწათა ფონდს, რაც მეტ გასაქანს აძლევს გლეხური მეურნეობის აღორძინების საქმეს.

გთხოვთ განჯის რაიონის მშრომელთ გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი, ასეთი უდიდესი შრომის გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ა. კასიანი".

ავღანისტანის ფადიშახის შესახვედრათ

სპარსეთის რწმუნებულის გამგზავრება

თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის რწმუნებულის მოადგილე საბჭოთა კავშირში გულამ-ნურზად-ხანი. მისი ჩამოსვლის მიზანია ავღანისტანის ფადიშახის შეხვედრა თბილისში. ვინაიდან გამოირკვა, რომ ფადიშახი ბათომში ჩამოვა მხოლოდ 2 ივნისს. გულამ-ნურზად-ხანი ბათომში გაემგზავრა ფადიშახის შესახვედრათ.

ავღანისტანის ელჩის მოადგილის ჩამოსვლა

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა აეროპლანით და ბათომში გაემგზავრა ავღანისტანის ელჩის მოადგილე მოსკოვში ალი-აკბერი.

ნიაღვარი თბილისში

გუშინ, საღამოს თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა, რის გამო ქალაქის ქუჩებში დიდი ნიაღვარი მოვარდა.

ქალაქის ზოგიერთ ქუჩების, როგორც შუანაწილი, ისე ფილაქნები სავსებით დაიფარა წყლით.

ნიაღვარმა მოსილა რუსთაველის პროსპექტზე დავითის მთიდან ჩამომავალი ქუჩები, რიყე, დიდუბე და ლენინის რაიონის და ავლაბრის ზოგიერთი ქუჩები.

ნიაღვარი იმდენად ძლიერი და დიდი იყო, რომ სილითა და ხრეშით ამოავსო ტრამვაის თითქმის ყველა ხაზები. ამის გამო ტრამვაის მოძრაობა შეწყდა ნახევარი საათით. საბჭოთა ქუჩაზე დაზიანებულ ტრამვაის ხაზის შესაკეთებლად სასწრაფოდ გამოიწვიეს ოსტატები ტრამვაის სახელოსნოდან. ტრამვაის მოძრაობა საბჭოთა ქუჩაზე განახლდა გუშინ ღამით.

ნიაღვარი გაგრძელდა დაახლოვებით 20 წუთს.

ნიაღვარმა ჩამორეცხა ქალაქის მახლობელი ფერდობები და დააზიანა ზოგიერთ ადგილას გაშენებული ახალი ტყეები. საბჭოთა ქუჩაზე ნიაღვარმა წალეკა ტრამვაის ახალი ხაზის ნაწილი. გარდა ამისა, ამავე ქუჩაზე (სახლი № 77 პირდაპირ) ახალი ლიანდაგის დასაგებათ გამზადებული ადგილი ჩავარდა დაახლოვებით 1-ნახ. საჟენის სიგრძეზე და 1 საჟენის სიღრმეზე. როგორც გამოირკვა, ამ ადგილას მიწის ქვეშ გაყვანილი ყოფილა თხრილები.

მუხრანის ქ. (№ 2-ში) მდებარე მუშკოოპის საწყობი წყლით აივსო. ზარალი დიდია. წყალი შეიჭრა აგრეთვე კროპოტკინის ქუჩაზე (№ 13) მდებარე სარდაფში.

დანიელ ჭონქაძის ქ. (№ 2-ში) მდებარე სახლის სახურავიდან წყალი ჩავიდა ჭერში. ჭერი და ორი ოთახი ჩამოინგრა. წყალით აივსო კომუნალურ ქუჩაზე (№ 29) მდებარე სარდაფი. ა. ჩხეიძის ქ. (№ 14) ჩამოინგრა სამი ოთახი; გ. ხუციშვილის ქუჩაზე (№ 1-ში) 5 ოთახიანი სახლში წყალი შეიჭრა. მდგმურები იძულებული შეიქნენ ნივთები სხვაგან გადაეტანათ, რომ გაფუჭებიდან დაეცვათ.

წყალი შეიჭრა აგრეთვე შაუმიანის ქ. № 26-ში მდებარე სარდაფში, მარტყოფის შესახ. № 25 მდებარე სახლში და შაუმიანის ქ. № 35 მდებარე გოგილოს აბანოში. სასწრაფოდ გამოძახებულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმებმა გუშინ, ღამის 12 საათისათვის მილებით ამოქაჩეს ხსენებული ბინებსა და სარდაფებში შეჭრილი წყალი.

გუშინ, ღამის 11-ნახ. საათისათვის ქალაქის მთელ რიგ ბინებში და სარდაფებში დაგუბებული იყო წყალი, რომელთა ამოსაქაჩავად მუშაობას აწარმოებდენ სახანძრო რაზმის თანამშრომლები.

ნიაღვრით გამოწვეული ზარალის რაოდენობა ირკვევა.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ორთაჭალის ხიდის დაზიანება

მოვარდნილმა ნიაღვარმა გუშინ საღამოს წაიღო ორთაჭალის ხიდის ნაწილი.

ორთაჭალის ბაღების მცხოვრებნი დაახლოვებით 200-კაცამდე, რომლებსაც ხსენებული ხიდი აკავშირებს ქალაქთან—ამჟამად მოწყვეტილი არიან ქალაქს.

მიღებულია სასწრაფო ზომები დაზიანებული ხიდის აღსადგენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრ. საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

სალამი წითელ ფიზკულტუროსნებს

მხურვალე პროლეტარული სალამი დღესასწაულის მონაწილეთ!

დღესასწაულის დღეებში საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეებიდან ჩამოსული წითელი ფიზკულტუროსნები გვიჩვენებენ თავის სიძლიერეს.

მაზრებიდან, თბილისის გამოკლებით, ჩამოვა 400 წითელი ფიზკულტუროსანი.

სვანეთი, ბორჩალო, რაჭა, ახალქალაქი და სხვა მაზრები გზავნიან თბილისში თავის საუკეთესო ძალებს, რომლებიც გვაჩვენებენ თავის მუშაობას და ბევრ რაიმეს შეიძენენ თბილისის ფიზკულტუროსნებისაგან.

ეს დღესასწაული უნდა ჩატარდეს მთელი ქვეყნის მუშათა სასპორტო მოძრაობასთან სოლიდარობის ლოზუნგით.

ბურჟუაზიას იერიშები მიაქვს წითელ სპორტინტერნის სექციებზე, მაგრამ ბურჟუაზიული უღლიდან განთავისუფლებული პროლეტარული ფიზკულტუროსნები მხურვალე სალამს უძღვნიან დაჩაგრულ პროლეტარიატს და კიდევ უფრო მაღლა სწევენ განთავისუფლების დროშას, კომუნიზმის დროშას.

დეე, იცოდეს ბურჟუაზიის მიერ ჩაგრულმა პროლეტარიატმა, რომ საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატი მტკიცედ და ფხიზლად სდგას წითელ ოქტომბრის მონაპოვარის სადარაჯოზე.

თბილისის ფიზკულტუროსნებმა მეგობრული კავშირი უნდა დაამყარონ მაზრის ფიზკულტუროსნებთან, ამ დღესასწაულზე ადგილი არ უნდა ექნეს სპორტიულ ანტაგონიზმს, ყველა ფიზკულტუროსნები უნდა შემჭიდროვდენ როგორც ერთი პროლეტარული ოჯახი და დღესასწაულის შემდეგ, ყველგან უნდა აანთონ კულტურისა, ახალი ყოფა-ცხოვრებისა და ახალი ადამიანისათვის ბრძოლის ჩირაღდნები.

საბჭოთა საქართველოს ყველა ფიზკულტუროსნებმა მძლედ უნდა შეუძახონ მთელი ქვეყნის სპორტსმენ მუშებს:

„ჩვენ თქვენთან ვართ, მაღლა ბრძოლის დროშა, გაუმარჯოს ჩეხო-სლოვაკიის მე-2 მუშურ სპარტაკიადას“.

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს წითელ სპორტინტერნს!

ს. კვინიხიძე.

საბჭოთა ფიზკულტურა

ფიზკულტურა ჩვენში თანდათან ძლიერდება. ფიზკულტურის წრეების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ფიზიკური გაჯანსაღება და განვითარება თანდათანობით ღრმავდება მოსახლეობაში. სხვადასხვა გამოსვლებსა და შეჯიბრებს, რომლებიც წინად იშვიათი მოვლენა იყო, ეხლა უკვე მასიური ხასიათი ეძლევა.

მასიურ მოვლენად იქცა აგრეთვე საექიმო შემოწმებაც. საექიმო კონტროლის გარეშე წარმოუდგენელია საბჭოთა ფიზკულტურა.

საბჭოთა ფიზკულტურას, არ აინტერესებს ცალმხრივი განვითარება და სარეკორდო გამარჯვება, რაც ბურჟუაზიულ ფიზკულტურას ახასიათებს,—ის მიზნად ისახავს ცხოვრებისათვის საჭირო ფსიქო-ფიზიკური თვისებების ყოველმხრივ განვითარებას. ჩვენ მიზანს შეადგენს არა რეკორდების აღება, არამედ ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება. ბუნებრივია, რომ საექიმო-სამეცნიერო კონტროლმა ფიზკულტურაზე პასუხი უნდა მოგვცეს არა მარტო ფიზიკური ვარჯიშობის დანიშნულებაზე, არამედ ასეთი კონტროლი საჭიროა აგრეთვე მიღწევებისა და ნამდვილი გამარჯვებულის გამოსარკვევად შეჯიბრში.

ამიტომ ტექნიკური მიღწევები ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით უნდა შეუფარდდეს სამეცნიერო კონტროლის ცნობებს. გამარჯვებული ის კი არაა, ვინც საუკეთესო ტექნიკური მიღწევა მოგვცა, არამედ ის, ვინც ამასთანავე ერთად საექიმო-სამეცნიერო კონტროლის საუკეთესო ჩვენება მოგვცა.

სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სააგიტაციო საშუალებას მასების ფიზკულტურაში ჩასაბმელად. გარდა ამისა, დღესასწაული მოგვცემს ფიზიკური ვარჯიშობის მიღწევების აღრიცხვას.

გრ. კუჭაიძე.

სასპორტო თამაშობანი საქართველოში

საქართველოში 1927 წლამდე უმთავრესად გავრცელებული იყო ფეხბურთი.

შეჯიბრი პირველობაზე ტარდებოდა ფეხბურთში და დანარჩენი არა ნაკლებ საინტერესო დარგები, როგორიც, მაგალითად, კალათბურთი, ჩოგბურთი და სხვა მივიწყებული იყო. სპორტ-თამაშის ამ დარგებს მხოლოდ თბილისი აქცევდა ყურადღებას და აწყობდა საქალაქო შეჯიბრებს. პროვინცია კი ამ მხრით სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა.

1927 წელმა გვაჩვენა, რომ პროვინცია არა ნაკლებ ითვისებს ფიზკულტურის ახალ სახეებს. შარშან გაიმართა საქართველოს შეჯიბრი კალათბურთში და მიუხედავად იმისა, რომ კალათ-ბურთი თბილისში 1924 წლიდან გავრცელდა, თბილისის კალათბურთის გუნდს „სინათლე“-ს, რომელიც ამიერ-კავკასიის შეჯიბრში გამარჯვებული გამოვიდა, გაუჭირდა აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდების დამარცხება. ამ შეჯიბრის შემდეგ ძალიან გაიზარდა კალათბურთის გუნდების რიცხვი საქართველოში, მან ბევრი რამ მისცა პროვინციას ტექნიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით ეს სჩანს ქუთაისში, სადაც ჩატარებულ იქნა შეჯიბრი. ეხლა საქართველოს პროვინციებში არის რამდენიმე გუნდი, რომელთაც შეუძლიათ შეეჯიბრონ თბილისის გუნდებს, ასეთებია— ქუთაისის, სოხუმის და ბათომის გუნდები. ეს გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფიზკულტურის შეჯიბრში და სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ თბილისს. შეჯიბრება მოხდება აგრეთვე ვოლეიბოლშიაც. ეს სასპორტო თამაშის ახალი სახეა, რომელიც თბილისში ჯერ კიდევ საკმაოდ არ გავრცელებულა, ხოლო პროვინცია მას სრულიად არ იცნობს. წელს ეს თამაში არ იქნება საინტერესო. ეს თამაში ტარდება იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის შეჯიბრებაში საქართველოს ჰყავდეს გუნდი. საქართველოს შეჯიბრი ხელს შეუწყობს არა მარტო სპორტ-თამაშობას, არამედ ფიზკულტურის ისეთი სახეების განვითარებასაც, რომლებსაც შედარებით ნაკლებად იცნობს პროვინცია, გამოცდილი ინსტრუქტორების უყოლობის გამო.

ინსტრუქტორი საყვარელიძე.

ფ.-ტ. მუშაკთა კავშირის ფიზკულტურის წრე,—ქალთა რბენა

დღესასწაულის პროგრამა

2 ივნისი: ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში 9 საათ. საარბიტრაჟო კომისიის სხდომა; 11 საათზე — კოლექტივების გასინჯვა თავისუფალ ვარჯიშში; პირველ დარბაზში—(ლენინის სახ.) 9—2 საათ. საექ. კონტროლი ყველა მონაწილეთათვის ძალოსანთა და მოფარიკავეთა გარდა; ლენინის მოედანი საღ. 5 ს.—საერთო თავისუფალი ვარჯ. რეპეტიცია.

3 ივნისი: ა.-კ. სკოლის მოედ. (პლეხანოვის პროსპ. № 148.) 8 საათზე შეკრება დღესასწაულის ყველა მონაწილეთა; 10—12 ს. ალლუმი ქალაქში; ლენინის მოედანზე 12—1 ს. მოწყობა და მიტინგი; 1—2 ნახ. ს. მისალმებანი; 2 ნახ.—3 საათ. თავისუფალ ვარჯიშობისათვის მოწყობა; 3—5 პიონერთა, მოწაფეთა, წითელი ჯარის და ფიზკულტუროსანთა საერთო თავისუფალი ვარჯიში; დინამოს მოედანზე 4 ს. ფეხბურთი: ბათომი - გორი (კუზნეცოვი); 6 ს. ფოთი - სოხუმი (მდივანი).

4 ივნისი. ლენინის მოედანი 9 — 2 ს. ტანვარჯიშ. შეჯიბრი პირველობაზე; 9 ს. კალათბ. შეჯიბრი ბათომი-თბილისი (ქალები), მსაჯი იოსავა; 10 ს. კალათბ. შეჯიბრი ფოთი - ქუთაისი (ვაჟები), მსაჯი იოსებაშვილი; 11 საათზე ბათომი-თბილისი (ვაჟები), მსაჯი იოსავა. საღ. 6 საათზე ფეხბურთი—ბათომი-სოხუმი (მდივანი); ლენინის სახ. დარბაზი, საღ. 6—10 საათ. საექიმო კონტროლი ძალოსანთა და მოფარიკავეთა. დინამოს მოედანი საღ. 4 საათ. ფეხბურთი: თბილისი-გორი (კრავჩენკო); ჩოგბურთის კლუბი—დილის 10—2 ს. და 6—8 საათ. შეჯიბრის დაწყება ჩოგბურთში; ცირკი — 5 ს. ცილობა ქართულ ჭიდაობაში; ჭადრაკის კლუბი 9—2 ს. შაშის ცილობა, 5—12 შაშის და ჭადრაკის ცილობა. მილ. სკოლასთან (საბურთალო) 5 ს.—30 კილომეტრიანი ველო—გარბენი (შემდეგ მოსვლა ველოდრომზე); ველოდრ.—6 საათზე შეჯიბრი ფარიკაობაში.

5 ივნისი: ლენინის მოედანი. 9 — 2 ტანვარჯიში შეჯიბრი. მაღალ თოწრიგში; 9 ს. კალათბ. ბათომი-სოხუმი. (ქალები), მსაჯი იოსებაშვილი: 10 საათზე კალათბ. ბათომი - სოხუმი, (ვაჟები) მსაჯი იოსებაშვილი; 11 ს. თბილისი-ფოთი (ვაჟები), იოსავა. 5—8 შეჯ. კომპლექსში და მძლეოსნობაში. ლენინის დარბაზი—7 — 12 ს. შეჯიბრი ძალოსნობაში; დინამოს მოედანი 4 ს. ფეხბურთი: გორი სოხუმი (ორეხოვი), 6 ს. ფოთი-თბილისი (იოსავა); ცირკი 5 — 12 ს. ქართული ჭიდაობა; ჩოგბურთის კლუბში 10 — 2, 6 — 8 შეჯიბრი ჩოგბურთში. ჭადრაკის კლუბი — 9—2 შაშის ცილობა; 5 — 12 შაშის და ჭადრაკის ცილობა.

6 ივნისი: ლენინის მოედანი 9—2, 5—8 ს. შეჯიბრი კომპლექსში და მძლეოსნობაში; 9 ს. კალათბ. სოხუმი-ქუთაისი (ქალები), მსაჯი იოსებაშვილი: 10 ს.—ბათომი-ფოთი (ვაჟ.). იოსავა; 11ს. სოხუმი-ქუთაისი (ვაჟ.) იოსებაშვილი. დინამო ფეხბურთი — 4 საათ. თბილისი - სოხუმი — (გალპერინი), 6 საათზე. ბათომი-ფოთი (იოსავა). ცირკი—5—12 საათ. ქართული ჭიდაობა; ჩოგბ. კლუბი 5—8 ჩოგბურთის ცილობა. ჭადრ. კლუბი 9 — 2 ს. საშაშო ცილობა; 5 — 12 საჭადრაკო ცილობა; ა.-კ. სკ. ბანაკი 9—2 ს. გასამხედროებული გადარბენი; ველოდრომი 6—8 ს. ფარიკაობა. ლენინის დარბაზი 7 — 12 საათ. ცილობა ძალოსნობაში. თავისუფლ. მოედანი 10 საათზე მოტოგადარბენი (თბილისი-ფასანაური).

7 ივნისი: ლენინის მოედანი — 9 — 12, 5 — 8 ს. შეჯიბრი მძლეოსნობაში და კომპლექსში. ლენინის დარბაზი 7 — 12 ს. შეჯიბრი ძალოსნობაში. ცირკი — 5 — 12 ქართული ჭიდაობა; ტენის - კლუბი 5 — 8 შეჯიბრი ჩოგბურთში. საჭ. კლუბი 9 — 2 საშაშო ცილობა, 5 — 12 ს. საჭადრაკო და საშაშო ცილობა. სასრ. მოედანი ვაკეში 10—2 შეჯიბრი სროლაში; ველოდრომი 5 — 8 შეჯ. ხიმტით ფარიკაობაში (კენჭაობა). მეორე დარბაზი (არსენალი) 4 — 8 ფინიში მოტო - გადარბენისა (თბილისი-ფასანაური), 10 — 2, 5 — 10 შეჯიბრი კრივში; ორჯონიკიძის სახ. კლუბი. (მუშტაიდი) 4 ს. კალათბურთი ბათომი-ქუთაისი (ქალთა), იოსებაშვილი. 5 ს. თბილისი-სოხუმი (ქალთა), იოსავა. 6 ს. ბათომი-ქუთაისი (ვაჟთა), იოსებაშვილი, 7 ს. თბილისი-სოხუმი (ვაჟთა), იოსავა.

8 ივნისი. ლენინის მოედანი 9 — 2 საათ. მძლეოსნობა და ბაგირის მიმოჭიმვა. 4 ფეხბ. ფოთი-გორი (ბლანკმანი); 6 საათ. ბათომი-თბილისი (იოსავა): კალათბურთი 4 ს. თბილისი-ქუთაისი (ქალები), 5 საათზე თბილისი-ქუთაისი (ვაჟები). 6 ს. სოხუმი-ფოთი (ვაჟები). იოსებაშვილი; საჭ. კლუბი 9 — 2 ს. საშაშო ცილობა, 5 — 12 ს. საჭადრაკო ცილობა. ფ. კ. უ. საბჭ: —2 — 4 საათ: სხდომა საარბიტრაჟო კომისიისა: სახ ოპერის თეატრში 8 ს. საერთო კრება და ტანვარჯ. საღამო. შედეგების გამოცხადებით.

დემონსტრაციის გეგმა

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომისიის მორიგ სხდომაზე შემუშავებული იქნა სრულიად საქართველოს ფიზკულტურის 1-ლ დღესასწაულში მონაწილეთა დემონსტრაციის გეგმა.

გეგმის თანახმად, კვირას, 3 ივნისს, დილის 10 საათზე დღესასწაულში მონაწილე ფიზკულტუროსნები თავს იყრიან ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლის ეზოში. იქ, ეწყობიან კალონებად და პლეხანოვის პროსპ., ყორესის ქუჩის, ელბაქიძის დაღმართის, რუსთაველის პროსპექტის და კომინტერნის ქუჩის გავლით ჩერდებიან თავისუფლების მოედანზე.

იქედან, პუშკინის ქუჩის, კარლ მარქსის მოედნის და პლეხანოვის პროსპექტის გავლით ბრუნდებიან ამ. კავკასიის ქვეითა ჯარის სკოლის ეზოში.

მოსწავლეთა და პიონერთა შეკრება

ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 2000 მოწაფე და 500 პიონერი. მათი შეკრება ხდება კვირას, 3 ივნისს, დილის 10 საათზე რუსთაველის პროსპექტზე—ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში. პიონერები და მოწაფეები ეწყობიან კალონებად და უცდიან ფიზკულტუროსნების გამოსვლას, რუსთაველის პროსპექტზე. ფიზკულტუროსნების კალონების გავლის შემდეგ პიონერთა და მოწაფეთა კალონები გამოდიან ყ. სამხედრო ტაძრის ეზოდან და უკან მიჰყვებიან ფიზკულტუროსნების კალონებს.

მიტინგი და გამოსვლები

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ, დღის 1-ლ საათზე ფიზკულტუროსნები, მოწაფეები, პიონერები და წითელი არმიის ნაწილები (სულ 3500 კაცამდე) ეწყობიან ლენინის მოედანზე, სადაც იმართება მიტინგი და ხდება დღესასწაულის საზეიმო გახსნა. მისალმებათა დამთავრების შემდეგ ნაშუადღევს 2 ნახ. საათზე ეწყობა ფიზკულტუროსნების გამოსვლა თავისუფალ ვარჯიშში.

აფხაზეთის ფიზკულტუროსნების ჩამოსვლა

სრულიად საქართველოს ფიზკულტურის 1-ლ დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებათ, გუშინ, დილით, თბილისში ჩამოვიდნენ აფხაზეთის ფიზკულტუროსნები, რიცხვით 50 კაცი.

მუშაობა პროფკავშირთა ახალი სტადიონის მოსაწყობათ ვაკეზე

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მდგომარეობა

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის ფოთის რაიონის სამუშაოებზე მომუშავე მუშებს, ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა. განსაკუთრებით ტყეში, შეშის დამზადებაზე მომუშავეები აუტანელ პირობებში იმყოფებიან; უკანასკნელები სამუშაოზე გამოდიან დილის 5 საათზე და მუშაობენ საღამოს 5 საათამდე. არც პროფკავშირი, არც დაზღვევა, არც შრომის კანონმდებლობა, არც კოლექტიური ხელშეკრულება და არც სხვა რაიმე საშუალება შრომის პირობების გასაუმჯობესებლად მათთვის არ არსებობს. ტყეში მუშაობა სახიფათოა. ადვილი შესაძლებელია მოხდეს რაიმე უბედური შემთხვევა, მაგრამ აქ არამც თუ არ არსებობს ამბულატორია, სადაც მუშებს შეეძლებათ მიიღონ საექიმო დახმარება, არამედ არ არის საშუალება უბედურ შემთხვევების დროს აღმოუჩინონ მუშას პირველი დახმარება მაინც.

ასეთივე მდგომარეობაში არიან სადგურ ხეთასა და სოფ. ხორგას შუა მომუშავე მუშებიც, რომლებსაც გაჰყავთ რკ. გზის ვიწრო ლიანდაგი თორმეტი ვერსის მანძილზე. არც ესენი არიან დაზღვეულები და უზრუნველყოფილი საექიმო დახმარებით. ესენიც ისეთ აუტანელ პირობებში მუშაობენ, როგორც შეშის დამზადებაზე მომუშავე მუშები.

გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მუშებს თავიანთი კუთვნილი ხელფასი თავის დროზე მიეღოთ. ჯამაგირები, 5—6 თვეში ერთხელ ძლივს რიგდება. ეს გარემოება უფრო აუარესებს ისედაც აუტანელ პირობებში მომუშავე მუშების მდგომარეობას.

კულტურული და პროფესიონალური მუშაობა ხომ სრულებით არ სწარმოებს. მუშები მონატრული არიან ჟურნალ-გაზეთებს და სხვა კულტურულ მუშაობას. ადგილკომის თავმჯდომარე, ბოქ. კ. შელია, უქმად ზის სოფ. ლარჩვაში. იგი არავითარ ზომებს არ ღებულობს მუშების ხელფასის თავის დროზე დასარიგებლად, მათ დასაზღვევად, კულტურული და პროფესიონალური მუშაობის გასაცხოველებლად და საერთოდ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ადგილკომის თავმჯდომარეს ერთხელაც არ დაუთვალიერებია სამუშაოები და არ გაცნობია მუშაობის პირობებს. ასეთი ადგილკომი და მისი თავმჯდომარე რასაკვირველია, რომ ვერაფერს გააკეთებს ვერც მუშებისა და ვერც წარმოების სასარგებლოდ.

სატყეო ტრესტმა და ხეზე მომუშავეთა პროფკავშირმა უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯი აღნიშნულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ადგილობრივი მუშა.

—:—

დაუდევრობის ბრალია

(აგურის ქარხ. № 7)

№ 7 აგურის ქარხნის ინსტრუქტორი პეტროვი, გულგრილად ეკიდება საქმეს. იგი თავის დროზე არ ცხადდება ქარხანაში; მოდის მაშინ, როდესაც მუშაობა უკვე დაწყებულია, ან იწყება. ქარხანაში ვერაფერს ვერ ნახავ თავის ადგილზე. ყველაფერი გაფანტულია; საცრები და სხვა ხელსაწყო იარაღი, ურომლისოდაც ქარხანაში მუშაობა შეუძლებელია ქარხნის ეზოში, ღია ცის ქვეშ ჰყრია და ოხრდება. ქარხანაში წასვლის დროს, ინსტრუქტორი არ ათვალიერებს ქარხანას და არ ზრუნავს იმისათვის, რომ ყველაფერი წესრიგზე და თავის ადგილზე იყოს.

ინსტრუქტორის ასეთმა დაუდევრობამ და გულგრილობამ ქარხანას საკმაოდ დიდი ზარალი მოაყენა: ამას წინად მოქ. პეტროვმა მუშებისაგან მიიღო გამომწვარი და გამოსაწვავი აგური ქურაში ჩასაწყობად. აგური არ დაეტია ქურაში. საჭირო იყო დარჩენილი აგურის დახურულ შენობაში მოთავსება, მაგრამ ინსტრუქტორმა თავიც არ შეიწუხა აგურისათვის შესაფერ შენობის მოსაძებნად. მან იმიტომ, რომ ჩქარა განთავისუფლდეს სამუშაოდან, გამომწვავი აგური დააწყო ქარხნის ეზოში ღია ცის ქვეშ, იმ დროს, როდესაც ფორმულები ცალიერი იყო. 24 მაისის კოკისპირულმა წვიმამ ეს 200 მანეთის აგური მთლად გაანადგურა. განადგურდა აგრეთვე კამერებში დაწყობილი 1000 მანეთის აგური და სხვ.

ინსტრუქტორს შეეძლო აგური გადაერჩინა განადგურებისაგან, მაგრამ მან თავი არ შეიწუხა სახელმწიფო ქონების დასაცავად და მოსალოდნელ ზარალის თავიდან ასაცილებლად.

არაგვისპირელი

—:—

მუშებს ტყავს აძრობს

(ჭიათურა)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველი მუშები კარგად იცნობენ სისია ლეჟავას, უკანასკნელი მარგანეცის მაღაროების ერთი ყოფილი მეპატრონეთაგანია, რომელიც უსაზღვროდ აძრობდა ტყავს მუშებს. ამჟამად მას აღარ აქვს ეს სიმდიდრე, მაღაროებს მშრომელი ხალხი პატრონობს, მაგრამ აქვს კიდევ ისეთი ხელმოსათბობი საქმე, სადაც ამუშავებს მუშებს და ისეთივე ექსპლოატაციას უწევს, როგორც მისი მაღაროების მეპატრონეობის დროს.

ლეჟავა აწარმოებს ქვის დამუშავებას, რისთვისაც დაქირავებული ჰყავს, 40-დან 60 კაცამდე. მუშები მუშაობენ ყოველგვარ შრომის კოდექსის გარეშე. მათთვის არ არსებობს არც 8 საათის სამუშაო დღე, არც დასვენება და არც სხვა შეღავათი. დამქირავებელი ს. ლეჟავა, მუშების ასეთ ექსპლოატაციით მაინც არ კმაყოფილდება; ის ოდნავადაც არ იწუხებს თავს მუშებზე ჯამაგირის თავის დროზე დასარიგებლად. არის შემთხვევა, როდესაც მუშები 6 თვის განმავლობაში არ ღებულობენ ხელფასს.

მუშებს გასული წლის 20 დღის ნამუშევარი დღესაც არ მიუღიათ. ლეჟავა ყოველ დღე ატყუებს მათ და პირდება, რომ ამერიკელებიდან მიიღებს ფულს და დაარიგებს, მაგრამ ეს დაპირება 7-8 თვის განმავლობაში ვერ შეასრულა. სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ზომები ექსპლოატატორ სისია ლეჟავას პასუხისგებაში მისაცემად და მუშების ხელფასის ასანაზღაურებლად.

მნახველი.

—:—

სანაგვეთ გადააქციეს

კარკის ქუჩაზე, საბჭოთა და სავაჭრო კავშირის მუშათა კლუბის გვერდით არის საბავშვო ბაღი. კლუბის საზაფხულო სეზონის გახსნამდე საკითხი იყო აღძრული ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინაშე, რათა საბავშვო ბაღი დაეთმოთ კლუბისათვის ეზოს გაფართოების მიზნით.

ამხ. მარიამ ორახელაშვილმა და საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა კავშირის განათლების გამგემ ამხ. ორჯონიკიძემ დაათვალიერეს ადგილობრივი საბავშვო ბაღი. ბოლოს ამხ. მ. ორახელაშვილი თანახმა გახდა ბაღის კლუბზე გადაცემაზე იმ პირობით, რომ კლუბის გამგეობას საბავშვო ბაღისათვის უნდა ეშოვა დიდი ეზოიანი ბინა, სადაც შესძლებდნენ ბავშვები ვარჯიშობას.

საკითხი ამით დამთავრდა, მაგრამ გამგეობას საბავშვო ბაღისათვის შესაფერი ბინა ჯერაც არ აღმოუჩენია. ბავშვებს არ აქვთ სავარჯიშო მოედანი, ურომლისოდაც საბავშვო ბაღი არაფერად ვარგა. ამჟამად არსებული ეზო კი აღნიშნულ კლუბის ბუფეტის სანაგვეთ არის გადაქცეული. ბუფეტიდან ნაგავს ამ ეზოში ყრიან, რის გამო შეუძლებელი ხდება ვარჯიშობა.

ჩვენის აზრით ბუფეტის გამგე განგებ ყრის ნაგავს საბავშვო ბაღის მოედანში, რათა აიძულოს საბავშვო ბაღი დასტოვოს მოედანი, ბუფეტის თანამშრომლების ასეთი საქციელი გარდა იმისა, რომ უშლის ბავშვების აღზრდის საქმეს, ანტისანიტარულ მდგომარეობასაც ჰქმნის კლუბში. ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც კავშირმა, ისე განათლების კომისარიატმაც.

იმაიდა.

—:—

მატარებლებს არ აჩერებენ

(ზაჰესი)

15 მაისიდან, მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლასთან დაკავშირებით ზაჰესის მეორე უბნის ბაქანი (276 ვერსი) გადატანილი იქნა ახლად დაწესებულ ზემო ავჭალის—(235 კილომეტრი) მცირე სადგურზე. ამ შეცვლამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ზაჰესის მუშა-მოსამსახურენი.

ხშირად მატარებლები: №№ 4, 3, 11, 13 სრულიად არ ჩერდებიან ახლად დანიშნულ გასაჩერებელ ადგილზე. დამატებითი მატარებლები კი, ისევ ძველ ბაქანზე ჩერდებიან.

მგზავრებმა არ იციან სად დახვდენ მატარებელს, სად გაჩერდება იგი.

ეს არ ვიცით მემანქანეების დაუდევრობას მიეწერება, თუ რას, მაგრამ ერთი კი ნათელია: მატარებლები დანიშნულ ადგილზე არ ჩერდებიან, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მგზავრებს. მართალია არის შემთხვევები, როცა მატარებლები ჩერდება, მაგრამ ეს ამ გაჩერებებს თითო მგზავრს თბილისში ჩასვლა 4 მან. 50 კაპ. უჯდება. 20 მაისს ზაჰესის ერთი მუშა ცოლ-შვილით დაუგვიანდა დილის მატარებელ № 13-ს. მუშას იმ წამსვე მოსთხოვეს ბილეთი, მაგრამ საიდან ექნებოდა მას ბილეთი, როდესაც [illegible] მისთვის. სადგურ ავჭალაში ერთ წუთსაც არ გაჩერებულა მატარებელი, რის გამო მუშამ ცოლ-შვილით ვერ მოასწრო გადასვლა. ამის შედეგად მოჰყვა ის, რომ მუშას 9 მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს. ასეთი ბედი კიდევ ბევრს ეწვია და ეწვევა კიდევაც თუ ასე გასტანა.

საჭიროა რკინის გზების სამმართველომ მიიღოს ზომები, მომავალში ასეთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და მატარებლების დანიშნულ ადგილზე გასაჩერებლად.

საყვავისტელი.

მუშკორთა წერილებიდან

ხულიგანი ცოლ-ქმარი. მალაკის ქ. № 27-ში სცხოვრობს ვინმე ფ. ჩიხლაძე, რომელიც თავის ცოლთან ერთად მოსვენებას არ აძლევენ მდგმურებს. ისე დღე არ გავა, რომ ხულიგანი ცოლ-ქმარი არ მოუვარდნენ რომელიმე მდგმურს და არ დაუწყონ უმიზეზოდ ჩხუბი და უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება. გარდა ამისა ეს ვაჟბატონები არც სახლს უფრთხილდებიან. ისინი მესამე სართულზე რეცხავენ სარეცხს და წყალს პირდაპირ ეზოში ღვრიან. მეზობლები უჩივიან ამის მაგრამ ისინი მათ ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებიან. 31 მაისს, მოქ. ჩიხლაძე თავისი ცოლით წაეჩხუბა ქარუმიძის ქვრივს და უპირებდა ცემასაც, მაგრამ მეზობლებმა არ დაანებეს. მილიციავ, მოგვაშორეთ ხულიგანი ცოლ-ქმარი.

ბორითელი.

მასწავლებლები არ ჩერდებიან. (ბათომი). ბათომის საუდის მოწაფეებს გაუხსნეს თეორიული სასწავლებელი, სადაც მოწაფეები ღებულობდნენ თეორიულ ცოდნასაც, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მასწავლებლები რატომღაც არ ჩერდებიან. ადგილკომი ბევრი ეცადა დაეტოვებია ისინი სასწავლებელში, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ხაჟუდის ჭრიჭინა.

კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წინადადების თანახმად, იწყებს კოლმეურნეობათა მშენებლობის შემოწმებას სოფლად. გამოკვლევის ამოცანას შეადგენს იმის გამორკვევა, თუ რა გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა მშენებლობაზე ის ეკონომიური ღონისძიებები, რომლებიც ტარდება მათ გასაძლიერებლად. გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს კოლმეურნეობათა მშენებლობის სიდიდე, ფორმები და ხასიათი, აგრეთვე შეამოწმოს კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელ საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატის მუშაობა და გამოარკვიოს ამ მუშაობის დეფექტები. გამოკვლევამ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად არის მომზადებული ჩვენი საბჭოთა და კოოპერატიული აპარატი იმისათვის, რომ სრული ორგანიზაციული და სამეურნეო ხელმძღვანელობა გაუწიოს კოლმეურნეობათა მშენებლობას.

გამოკვლევა უნდა დამთავრდეს 10 ივლისისათვის.

ტყეების გადაცემა გლეხებზე

გლეხებზე ტყეების გადაცემა სავსებით დამთავრებულია, მთელ საქართველოში ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სახით სახელმწიფო სატყეო ფონდიდან სულ გამოყოფილია 218.000 დესეტინა ტყე. ამ ტყეებით ღარიბ და საშუალო გლეხებს შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთ საჭიროების მიხედვით.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დასაცავად და მათი წესიერი ექსპლოატაციის მიზნით საქართველოს ცაკმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალით ის გლეხები, რომლებიც სათანადოთ არ მოუვლიან მათზე გადაცემულ ტყეს, დაკარგავენ ტყით სარგებლობის უფლებას და ტყე გადაირიცხება სახელმწიფო სატყეო ფონდში,

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე დასაყენებლად საქ. მიწათმოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა მათ მოწყობას თავის ხარჯზე, რისთვისაც გადადებულია 60.000 მანეთი.

კომისარიატმა შეადგინა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობის, მათი დაცვისა და სარგებლობის გეგმა.

ტყის მოწყობაზე ამჟამად მუშაობს 18 კაცი, მ. შ. შორის 6 ტაქსატორი, 8 მიწისმზომელი და ორი სპეციალისტი,

მოწყობის დამთავრების შემდეგ შედგენილი იქნება ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის წესები, რომლის მიხედვით ყოველ ცალკე ნაკვეთზე იწარმოებს ხეების მოჭრა, ახალი ტყეების გაშენება და სხვ. ტყის მომწყობი ჯგუფები გადაიღებენ ტყით გაშენებულ ნაკვეთების რუკა-ნახაზებს და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებს გამიჯნავენ სახელმწიფო ტყეებიდან.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები უმთავრესად მდებარეობს დასახლებულ რაიონის ახლო.

ტყეების მოწყობასთან ერთად გლეხებში სწარმოებს შესაფერი აგიტაცია ტყეების მნიშვნელობისა და მათი დაცვის შესახებ.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საბჭოთა დემოკრატიის გატარების შემოწმება

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. ზელკის ინფორმაციული მოხსენება საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის გატარების შედეგების შემოწმების შესახებ საქართველოში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა დემოკრატიის გატარების გამოკვლევა ჩატარდა თბილისის, ბათომის და ჭიათურის ქალაქის საბჭოებში, ბორჩალოს, სიღნაღის და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომებში, 3 თემსაბჭოში, 2 სოფსაბჭოში, 19 ხელმძღვანელ და ადგილობრივ პროფორგანიზაციებში და 8 კოოპერატიულ ორგანიზაციაში. საბჭოთა დემოკრატიის განხორციელების შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუშათა და გლეხთა ფართო მასების ინტერესის გაღვივების გამოკვლევისათვის.

მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილი იყო 7 გამომკვლევი კომისია, რომელიც დაყოფილი იყო 20 ჯგუფად. მათ შორის 4 კომისია მუშაობას აწარმოებდა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 3 კი დასავლეთ საქართველოში. კომისიების საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა 101 კაცი, რომელთა შორის 32 კაცი დაზგის მუშებია.

გამოკვლევამ საბჭოების საქმიანობაში აღმოაჩინა დადებითი და უარყოფითი მხარეები. სოფლის საბჭოების წევრთა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი თემსაბჭოების, არავითარ ვალდებულებას არ კისრულობენ და ერთგვარ უმოქმედობას იჩენენ. ქალაქის საბჭოების სექციების კრებებზე საბჭოს წევრების დასწრების პროცენტი გამოიხატება 45 - დან 56-ში. არ სწარმოებს აგრეთვე ორგანიზაციული და გეგმიანი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში მუშათა და გლეხთა ახალი კადრების ჩაბმა და მათი დაწინაურება საერთოდ საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. ქალაქის საბჭოების შემადგენლობის განახლება უმთავრესად ხდება ამ ახალი კადრების ხარჯზე.

ფეხსაცმელების ფაბრიკის მოწყობა

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა თბილისში ფეხსაცმელების მექანიკური ფაბრიკის მოწყობის საკითხი. ტყავტრესტის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისში ამჟამად არსებული ფაბრიკა მუშაობას აწარმოებს წინამრეწველური საშუალებით და ამის გამო უძნელდება ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ქარხნის მუშაობის გაძლიერებლად და ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ტყავტრესტის ფეხსაცმელების ფაბრიკის გაფართოება და იქ ფეხსაცმელების მექანიკურად მკერავ მანქანების დადგმა.

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, გარდა ახალი მანქანების შეძენისა და ფაბრიკის გაფართოებისა, გათვალისწინებულია აგრეთვე ქარხანაში მომუშავე მუშების მომზადება იმისთვის, რომ მათ შესძლონ ახალ მანქანებზე მუშაობა. ამ მიზნით ს.მ.უ.ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებას დავალებული აქვს შეიმუშაოს წესი მუშების გაგზავნისა ლენინგრადში ფეხსაცმელების ფაბრიკებში, სადაც ისინი შეისწავლიან ახალ მანქანებზე მუშაობას.

ამასთანავე პრეზიდიუმმა დაავალა ტყავტრესტს საზღვარ-გარეთიდან მოიწვიოს სპეციალისტი, რომელიც უხელმძღვანელებს ქარხანაში ახალი მანქანების დადგმას და მეთვალყურეობას გაუწევს პირველ ხანებში მანქანების მუშაობას.

ფაბრიკის მოწყობა-გაფართოება დამთავრებულ უნდა იქნეს მომავალი საოპერაციო წლისათვის.

ბორჯომის სატყეო-ქიმიური ქარხანა

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მომავალ წლიდან შეუდგეს სატყეო-ქიმიური ქარხნის აგებას ბორჯომში. ქარხანაში გადამუშავებული იქნება ტყის ფისი, ზოგიერთი ქიმიური სალებავები და მცენარეთა ექსტრაქტები.

ქარხნის პროექტის დამუშავება მინდობილი ჰქონდა სპეციალისტ ქიმიკოს-ინჟინერს—ტურვეცს, რომელმაც უკვე დაამთავრა პროექტის დამუშავება და იგი წარადგინა ს.მ.უ. საბჭოში განსახილველათ.

ს.მ.უ. საბჭომ პროექტი მოიწონა და გადასწყვიტა საბოლოო დასამტკიცებლათ და შესამოწმებლათ იგი გადაგზავნოს საკავშირო ს.მ.უ.ს. სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოში.

პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ იგზავნება ინჟ. ტუროვეცი.

ქარხნის ასაგებათ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებული იქნება შემოდგომაზე, ხოლო საამშენებლო სამუშაოებს შეუდგებიან 1929 წლის გაზაფხულზე.

ებრაელ მოსახლეობის გამოკვლევა სახ.-ოსეთში

საქართველოს ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიამ დაამთავრა ებრაელ მოსახლეობის ცხოვრების პირობების გამოკვლევა სამხრეთ-ოსეთში. შეკრებილი და დამუშავებული მასალებიდან გამოირკვა, რომ ებრაელები სამხრეთ ოსეთში სცხოვრობენ მარტო ქალ. ცხინვალში, სადაც ისინი შეადგენენ ქალაქის მთელი მოსახლეობის 34 პროცენტს, ანუ 2.080 სულს.

ეკონომიურათ ცხინვალელი ებრაელები დიდ სივიწროვეს განიცდიან. უკანასკნელი წლების განმავლობაში ებრაელების ერთმა ნაწილმა ხელი მოჰკიდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. სულ ცხინვალში აღრიცხულია 69 ბაღის მეპატრონე ებრაელი.

კულტურულათ ცხინვალის ებრაელები ძალიან ჩამორჩენილი არიან. მთელ ცხინვალში პროფკავშირის წევრ-ებრაელთა რიცხვი არ აღემატება 31 კაცს, კოოპერატივის წევრად ითვლება მხოლოდ 127 კაცი და ებრაელთა სკოლაში სწავლობს მხოლოდ 111 ბავშვი.. ებრაელ მასწავლებელთა რიცხვი უდრის 11 კაცს.

ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიის დასკვნებში სამხრეთ-ოსეთის ებრაელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნაგულისხმევია: ებრაელებთან შრომის არტელების მოწყობა, სახ. განათლებისა და საექიმო დახმარების ქსელის გაუმჯობესება, ღარიბ ებრაელებისათვის ქალაქის დაგეგმვის დროს ჩამორთმეული ბაღების სამაგიეროთ ახალი მიწის ნაკვეთების მიცემა და ებრაელ მოსახლეობის შეტანა ახალ მიწებზე დასახლების საერთო გეგმაში.

არაპირდაპირი გადასახადები

არაპირდაპირი გადასახადების შესახებ საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადების განყოფილების გამგემ ი. ჩხაიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

სახელმწიფო გადასახადებში საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს კლასიურ პრინციპს. ეს პოლიტიკა უფრო თვალსაჩინოა პირდაპირ გადასახადებში. არაპირდაპირ გადასახადებში კი ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, უფრო შეუნიშნავი რჩება ფართო მასისათვის. ხელისუფლებას აღებული აქვს ხაზი არაპირდაპირი გადასახადების თანდათანობით შემცირებისაკენ.

მიუხედავად ამისა ამ გადასახადებით მიღებული მატერიალური ეფექტი მაინც საგრძნობლად უნდა ჩაითვალოს.

1924—25 წელში ამ გადასახადებით შემოსულია 6.630.450 მან., 1925—26 წელში—8.445.156 მან., 1926—27 წელში—8.691,781 მან. და 1927—28 წლის პირველ ნახევარში—3.623.838 მან. გადასახადების ამ რაოდენობაში არა ფართო მოხმარების და ფუფუნების საგნების გადასახადი შეადგენს 1924—25 წელში—53.33 პროც. 1925—26 წელში 55,5 პროცენტს, 1926—27 წელში—57,74 პროც. და 1927 28 წ. პირველ ნახევარში 80,13 პროც.

აქედან სჩანს, რომ საქციზო გადასახადი ფართო მოხმარების საგნებზე თანდათანობით მცირდება, ხოლო არა ფართო მოხმარების და ფუფუნების საგნებზე კი იზრდება, რითაც ხორციელდება ამ გადასახადისადმი კლასიური მიდგომა.

მაგნიტური რკინა-ქვიშის მადნების გამოკვლევა

ს. მ. უ. საბჭომ აცნობა აფხაზეთის სახკომსაბჭოს, რომ მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში დაწყებული იქნება მაგნიტური რკინა-ქვიშის მადნების გამოკვლევა სუფსასა და ნატანებს შუა და შემდეგ სოხუმიდან გაგრამდე.

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში შეკრებილი ცნობებით, რკინა-ქვიშის მადნების დიდი მარაგი უნდა მოიპოვებოდეს სუფსიდან ნატანებამდე და სოხუმ-გაგრის ზოგიერთ რაიონებში. რკინა-ქვიშის მადნების დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ამიერ-კავკასიაში ლითონის მრეწველობის განსავითარებლათ, განსაკუთრებით ტყვარჩელში სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით.

რკინა-ქვიშის მადნების გამოსაკვლევათ გაგზავნილი იქნება ექსპედიციები, რომლებმაც მთელი დაკისრებული სამუშაოები (რკინა-ქვიშის მადნის მარაგის გამოკვლევა, ქიმიური ანალიზი და სხ.) უნდა დაამთავრონ 3 წლის განმავლობაში. 1932 წლისათვის ს. მ. უ. ს. გეგმის თანახმად დამუშავებული უნდა იქნეს რკინა-ქვიშის მადნების გადასამუშავებელი ქარხნის პროექტი.

რკინა-ქვიშის მადნების მარაგის გამოკვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სოხუმ-გაგრის რაიონში, ვინაიდან იქვე მახლობლათ იწარმოების ტყვარჩელის ქვა-ნახშირიდან კოქსის დამუშავება და ამგვარად გაადვილდება ლითონის მრეწველობის შექმნა ხსენებულ რაიონში. რკინა-ქვიშის მადნებიდან და კოქსიდან შესაძლებელია დამზადებულ იქნეს პირველხარისხოვანი ფოლადი რკინა და ლითონებში შეხარევი სხვა მასალები.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ საქმეთა სამმართველოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებული იქნა შემდეგი ახალი კოოპერატივები: ქუთაისის სატრიკოტაჟო სამრეწველო კოოპერატივი ნადი „ქალთა შრომა“, ქუთაისის პურის მცხობელთა კოოპერ. ნადი „ჩვენი შრომა“; სიღნაღის მაზრის, სოფ. ფიჩხო-გორის სამანქანო ამხანაგობა „შრომის კოლექტივი“; სიღნაღის მაზ. სოფ. აფენის სამანქანო ამხანაგობა „პირველი აფენი“; ბორჩალოს მაზრ. სოფ. სარვანის „მეორე სამანქანო ამხანაგობა“; ბორჩალოს მაზ. სოფ. „კურტლიალის სამანქანო ამხანაგობა“; ბორჩალოს მაზ. სოფ. აგამამედლოს სამანქანო ამხანაგობა „იმედი“; თბილისის მაზრ. თიანეთის თემის სოფ. კვერნაულის და ჯაფანაიანების სამანქანო ამხანაგობა „არხალი“; სიღნაღის მაზ. სოფ. ბოჭვის სამანქანო ამხანაგობა „ყმირათი“; სიღნაღის მაზ. სოფ. აფენის სამანქანო ამხანაგობა „გლეხის შეგნება“; სიღნაღის მაზ. სოფ. არაშენდის სამანქანო ამხ. „ერთობა“; სიღნაღის მაზ. სოფ. ლენინის „ფილიპე მახარაძის სახელობის სამანქანო ამხანაგობა“; სიღნაღის მაზ. სოფ. აფენის სამანქანო ამხ. „შრომის კოლექტივი“; სიღნაღის მაზ. სოფ. ფოდაანის სამანქანო ამხანაგობა „სიმართლე“; სიღნაღის მაზ. სოფ. ბოდბეშის სამანქანო ამხანაგობა „სიმართლის ხმა“; სიღნაღის მაზ. სოფ. ბოდბეშის სამანქანო ამხანაგობა „ნაპერწკალი“; თბილისის მაზრის სოფელ თიანეთის სამანქანო ამხანაგობა „გორ-მაღალი“; თბილისის მაზრის სოფ. საგარეჯოს „ვანო სტურუას სახელობის სას. სამეურნეო არტელი“; ოზურგეთის მაზ. სოფ. ხვარბეთის სას.-სამ. არტელი „ჩვენი კულტურა“; სიღნაღის მაზ. სოფ. ველისციხის სას.-სამ. არტელი „ოქტომბრის 10 წლის თავი“; შორაპნის მაზ. სოფ. ფარცხანაყანევის სას.-სამ. არტელი „ფარცხნალის ფუტკარი“; სენაკის მაზ. სოფ. დიდი-ჭყონის „მიხა ცხაკაიას სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა“; თბილისის მაზ. სოფ. გომბორის, „სტალინის სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა“; სენაკის მაზ. სოფ. ზანის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ფრთოსანი“; ახალციხის მეპურეთა სამრეწველო კოოპ. ნადი „პური“; ქუთაისის მაზ. ხონის რაიონის მეფრინველეობის სამრეწველო კოოპ. ამხანაგობა „ფრთოსანი“; თბილისის მაზ. სოფ. ყარა-თაფის სას.-სამ. არტელი „რონა“; ქუთაისის მაზ. პატრიკეთის თემის სას.-სამ. არტელი „ძმური კავშირი“; ოზურგეთის მაზ. სოფ. სამების სას.-სამ. არტელი „წინსვლა“; ოზურგეთის მაზ. სოფ. გორა-ბერეჟოულის სას.-სამ. არტელი „გლეხი“; სიღნაღის მაზ. სოფ. ჩუმლაყის სას.-სამ. მევენახეთა არტელი „ახალი შრომა“; სიღნაღის მაზ. სოფ. კავშირის სამანქანო ამხანაგობა „კავშირი“; ბორჩალოს მაზ. ქალ. შაუმიანის რაიონის სოფ. სიონის ნახშირის გამომწველი სარეწ. კოოპ. ნადი „ნახშირი“; ქალ. ოზურგეთის და მისი რაიონის სამკერვალო სარეწ. კოოპ. ნადი „ქალთა კავშირი“; ოზურგეთის მაზ. სოფ. შუხუთის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „გლეხის წინსვლა“; შორაპნის მაზ. საჩხერის თემის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ცოლიკაური“; ოზურგეთის მაზ. ნინოშვილის თემის სოფ. ბულუხაურის „ფ. მახარაძის სახ. სას.-სამ. არტელი“; ოზურგეთის მაზ. სოფ. ბასილეთის სას.-სამ. არტელი „ჯანი“; ოზურგეთის მაზ. სოფ. ახალშენის სას. სამ. არტელი „საქსონი“; ქუთაისის მაზრ. სოფ. ვარციხის სას.-სამ. არტელი „წინსვლა“; შორაპნის მაზ. სოფ. ზორეთის სას.-სამ. არტელი „ზოგრითი“; შორაპნის მაზ. სოფ. დილიკაურის მევენახეთა კოლექტივი „დილიკაური“; თელავის მაზ. სოფ. მატანის სამანქანო ამხანაგობა „პირველი [illegible]“; სიღნაღის მაზ. სოფ. ცოდნისკარის სამანქანო ამხანაგობა „გლეხის ცხოვრება“; დუშეთის მაზ. სოფ. ბაზალეთის სამანქანო ამხანაგობა „პირველი ნაბიჯი“; ბორჩალოს მაზ. სოფ. კალაშის „სამანქანო ამხანაგობა“; გორის მაზ. სოფ. კოშკის ტეზერის და სახუტის სამანქანო ამხანაგობა „წითელი ვარსკვლავი“; თბილისის მაზ. სოფ. პატარძეულის სამანქანო ამხანაგობა „განთიადი“; ბორჩალოს მაზ. სოფ. ვარდისუბნის „1-ლი სამანქანო ამხანაგობა“; ბორჩალოს მაზ. სოფ. კაპანახის „სამანქანო ამხ-ბა“; ბორჩალოს მაზ. სოფ. ილმაზლოს „სამანქანო ამხანაგობა“; ბორჩალოს მაზ. სოფ. სარვანის „1-ლი სამანქანო ამხანაგობა“; რაჭის მაზრ. სოფ. ღარის სამანქანო ამხანაგობა „სოფელი ღარი“; სიღნაღის მაზ. სოფ. საქობის მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „საქობოს მაგალითი“; „ბოდბის ხევის სას.-სამ. საკრ. ამხანაგობა“, ქუთაისის მეტყავეთა არტელი „გორელი“; თბილისის ბეჭდვითი სასაწერმოო სარეწ. კოოპ. ნადი „რაბოტნიკი“; თბ. მაზრ. დიდი ენაგეთის არჩილ ჯორჯაძის სახელობის სამანქანო ამხანაგობა; გორის მაზრის სოფ. მაჯარწყლის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „თაფლი“; გორის მაზ. სოფ. მაჯარწყლის სას.-სამ. არტელი „მწვანილი“; ოზურგეთის მაზრის სოფ. გალმა-დვაბზუს მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „გლეხის იმედი“; თელავის მაზ. სოფ. ახალ გავაზის საზ. შრომის დამმუშავებელი ამხანაგობა „განთიადი“; გორის მაზ. სოფ. სვენეთის მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „სვენეთი“; გორის მაზ. სოფ. ახალსოფლის მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „კომუნის გზა“; ქუთაისის მაზ. სოფ. გვიშტიბის კულტურულ ჯიშიან ღორების და მეწველ საქონლის მომშენებელი სას.-სამ. არტელი „გლეხთა ძმობა“; თბილისის მაზ. ყარაიის თემის სოფ. კარატაფას მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ფუხარა“; გორის მაზ. სოფ. პატარა გარეჯვარის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „მომავალი კომუნა“; გორის მაზ. სოფ. ატენის და გარდატენის მიწის საზ. შრომის დამმუშავებელი ამხანაგობა „წითელი ოქტომბერი“; გორის მაზ. სოფ. ნაწრეტის მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „კომუნის გზა“; გორის მაზ. სოფ. ზეღდულეთის მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „წითელი კოლექტივი“.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

დახმარება ხანძრით დაზარალებულებს

ქუთაისი, 31 მაისი. წითელი ჯვრის საკვ. პუნქტი ყოველდღიურად 800-ზე მეტ უფასო სადილს აძლევს უღარიბეს პირებს ხანძრით დაზარალებულთა რიცხვიდან. ყოველ კვირაში ერთხელ ხანძრით დაზარალებულები უსასყიდლოთ სარგებლობენ აბანოთი.

ვინაიდან დაზარალებულების მიერ დაკავებულ დარაბებში დიდ სივიწროვეს აქვს ადგილი, რაც შეუძლებლად ხდის სისუფთავის დაცვას, დაზარალებულთათვის დახმარების აღმომჩენმა კომიტეტმა შეუდგა მათ გადასახლებას უფრო ფართო დარაბებში ქალაქის სხვა ნაწილში.

„კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

ავთანდილ რობაქიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ოთარ ფიცხელაურს, მერი ჭირაქაძეს, მიშა არჯევანიძეს, ლეილა თათეიშვილს, თამაზ თენეიშვილს, ქეთო კანდელაკს, ოთარ ქაროსანიძეს, გივი ყუფიძეს, ოთარ ჯაფარიძეს და მერიკო კავკასიძეს.

გოგმანა გორგიაშვილი.

—

მედეია ყანჩელის გამოწვევით. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვატო ჯორჯიკიას. ირაკლი ხაბურზანიას, ფარნაოზ მჭედლიშვილს, ანიკო ლომთათიძეს, შალიკო სალარიძეს, თინა ყაუხჩიშვილს და ლავრიკა მამულაშვილს.

ფალიკო იმედაშვილი.

—

ლამარა წერეთლის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლუტუნია და კუკური ჭანტურიას, ბუტყუ და თეზიკო ესებუას, დუშა ცაავას, შოთიკო რონტიაშვილს, შალიკო ცაავას, ვლადიმერ ელიავას, ვახტანგი ცაავას და გრიშა გამცემლიძეს.

კუჭუჯია ცაავა.

—

ირინე ძოძუაშვილის გამოწვევით ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ქუთაისიდან—კატო ძოწენიძეს, ეფროსინე ტორაძეს, ეკატერინე გრიგოლაშვილს, რაჟდენ ჭირაქაძეს; ქ. ფოთიდან—ვლადიმერ ნარაკიძეს.

ტერეზია ძოწენიძე.

—

ამხ. პოლია ხეცურიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ავდიდო ჩარკვიანს, ელიზა ხეცურიანს, ვეტია (ლავრენტი) ლეკიშვილს, სეით ხეცურიანს და ტატიანა კაბულაშვილს.

დონიკო ხეცურიანი.

—

ქუთაისის დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლიალიკო ირემაძეს, შურა სიხარულიძეს, ეთერი თავზავაძეს, ცატუ ფანცულაიას, გუდიკო გუდავაძეს, ვლადიმერ ჟორჟოლაძეს, რეზიკო გიორგაძეს.

ლამარა მეიფარიანი.

—

კოკა ხინთიბიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ თეიმურაზ, რევაზ და ნინა მოხლოკელს და კუკლა და გურამ ლომთათიძეს.

ვალია მელიავა.

—

შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ერთი მანეთი და ვიწვევ: თბილისიდან: დალი ჭანტურიას, ნელი ჩიქოვანს; სენაკიდან: ნოდარი იოსელიანს, ბებე ბარქაიას, რევაზ წულეისკირს, ციალა გაბელიას, ნორა კანდელაკს.

დემნა ჭანტურია.

—

დოდიჩა კლდიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ფოთიდან ვარლამ პაჭკორიას, ლეო გორგილაძეს, ჭიჭიკო ქორჩილავას, გიორგი მანუკიანცს, ანდრო სიხარულიძეს, შოთა სარჯველაძეს, გრიშა კუტალეიშვილს და გრიგოლ ბიგვავას.

მოწ. ვახტანგ ქადიეშვილი.

—

ამხ. იუსუფ აბაშიძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ:: მიხაკო ჩხეიძეს, ლევან ღლონტს, კარპეზ ღლონტს, საშა ჯაყელს, ილიკო ჯაყელს, რაფიელ შარაშიძეს, ანტონ ძნელაძეს, კოწია ერისთავს, სოსიკო ერისთავს და გრიშა ღლონტს.

ჟორჟიკა ბარამიძე.

—

შემომაქვს ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ათი მანეთი.

პ. ხურცილავა.

—

ამხ. ჰაიდარ აბაშიძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ: [illegible] დაძეს, დიმიტრი ჯიბაძეს, დემიდე ვეგეშიძეს, ჟორჟიკა კიკნაძეს, გოგუცი მაჭავარიანს, სავლე ამულაძეს, ჟორჟიკა ბარამიძეს, ვალერიან მავგუდიძეს და ნესტორ ბაბილეიშვილს.

იუსუფ აბაშიძე.

—

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჭიათურიდან: თინიკო ქუთათელაძეს, გუგუ ხაინდრავას, ნათელა დარაბეგოვს; ქუთაისიდან: ნინიკო ჭირაქაძეს, ნაზიკო და ციალა ქაცარავეებს; თბილისიდან: ჯამალ ჯამს.

ცეცილია ჭირაქაძე.

—

ელგუჯა ლორთქიფანიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: კუკური ელიავას, რეზიკო ლალიძეს, ქეთინო კაკაბაძეს, ოთარ ვერულაშვილს, ბეჟიკო და რუსიკო კაპანაძეებს, ნოდარ უნაფქოშვილს და დედიკო და ბიჭიტა გვანცელაძეებს.

რეზიკო მელიქიშვილი.

—

ქუთაისში ხანძრისგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ეთერი მეშვილს, თინა ცომაიას, თინა ჩხეტიას, თინა გვასალიას, მარგალიტა ფალავას, ვალენტინა ძიძაგურს, ბორისი ტიურინს, ვახტანგი გოგოლაძეს, ალექსანდრე შურღაიას.

მოწაფე ანტონინა კალანდარიშვილი.

—

ვახტანგ კალაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კოწია მუზლაძეს, ალექსი ჩოგოვაძეს, ლენა სირბილაძეს, ტანია ბელოუსოვას, ზაზა სიხარულიძეს, კუკური გაბაშვილს, ქეთო ფერაძეს, ლაძიკ დულკიწს, ლამარა ჩოგოვაძეს, გოგა დოგრაშვილს.

შოთა კობახიძე.

—

ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: კლარა [illegible], როზა ჯანჯღავას, ნოდარ [illegible], დემნა ჭანტურიას და შოთა არჩაიას.

ციალა უხანიშვილი.

—

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის აღსანიშნავად თბილისის განათლების განყოფილების პიონერთა ახალშენის პიონერებს (დუშეთიდან) ქუთაისში ხანძრისაგან განადგურებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემოაქვთ ცხრა მანეთი და იწვევენ ალბულაღის, ვაშლოვანის და კოჯრის მე-2 ახალშენებს.

პიონერების დავალებით ახალშენის გამგე სოსო მელიქიშვილი.

—

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოგვაქვს: კალანდაძე ჯარისკან—5 მანეთი, პარმენ ლომთათიძე—5 მ., ნიკო ლომთათიძე—2 მან., კალანდაძე ივანე—1 მან., გრიგოლ კუტუბიძე—2 მან., ვარდენ ფიცხიშვილი—1 მან., შალვა კალანდაძე—2 მან., დათიკო წიტაიშვილი—1 მან., ლუკა მეგრელიძე—3 მანეთი., ვარლამ კოპლატაძე—2 მან., არტემ სიხარულიძე—5 მან., ირაკლი მეგრელიძე—2 მან., თეოფილე კუტუბიძე—2 მანეთი, ერმალო ცხოიძე—2 მან., იასონ კალანდაძე—3 მანეთი, ჭიჭიკო ბურჭულაძე—5 მანეთი, თომა ჯაში—1 მანეთი, ერმალო ფიცხიშვილი—1 მან. 50 კაპ., ერმილე კალანდაძე—2 მანეთი და დათიკო ნესტორის ძე კალანდაძე—1 მან. სულ 48 მანეთი და 50 კაპ.

გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 94 მან., სულ წინათ შემოსულთან ერთად 14.132—09.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფიზკულტურის სასახლე

ბათომი, 1 ივნისი. სამხედრო უწყებამ აჭარისტანის პროფსაბჭოს გადასცა დიდი შენობა ზღვის პირად (ბულვარზე). შენობა შეკეთებული იქნება და გადაკეთდება ფიზკულტურის სასახლედ. სასახლის შეკეთება და სავარჯიშო დარბაზების მოწყობა დაჯდება 10.000 მანეთამდე. სასახლის გახსნა მალე მოხდება.

„სიტყვა ტრიბუნიდან“

ბათომი, 1 ივნისი. ბათომში გამოსაცემად მზადდება სალიტერატურო-სამხატვრო კრებული „სიტყვა ტრიბუნიდან“, რომელსაც აჭარისტანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია უშვებს.

ბათომის იახტ-კლუბის რეორგანიზაცია

ბათომი, 1 ივნისი. აჭარისტანის პროფსაბჭოს იახტ-კლუბი გადაკეთებული იქნება წყლის სპორტის ცენტრალურ სადგურად. სადგური გაფართოებული იქნება და შეივსება ახალ საცურაო საშუალებებით. ოდესადან მიღებულია დიდი მოტორიანი ნავი, რომელიც 60 კაცს დაიტევს. შემუშავებულია სადგურის მუშაობის გეგმა ზაფხულის სეზონისათვის.

წერილები

ნათესების მდგომარეობა თბილისის მაზრაში

მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრის გამო თბილისის მაზრაში შეფერხდა მუშაობა. შემოდგომის ნათესების სივრცე წინა წელთან შედარებით ნაკლები იყო, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში, მაგრამ სამაგიეროდ გაზაფხულის ნათესების სივრცემ მოიმატა და ამრიგად საერთოდ ნათესების სივრცე უთანაბრდება გასული წლის ნორმას.

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების ცნობების მიხედვით, ნათესების სივრცის რაოდენობა თბილისის მაზრაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: შემოდგომის ხორბალი 29,6 ათასი დესეტინა; ქერი 1,8 ათასი დესეტ.; გაზაფხულის ხორბალი—8,4 ათასი დესეტ.; ქერი 6,4 ათასი დესეტ.; სიმინდი—4,6 ათასი დესეტ.; ასლი—1,6 ათასი დესეტინა.

მოსავლის მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია, რაც გამოიხატება შემდეგ ნიშნებში: შემოდგომის ხორბალი—3,5; ქერი—3,4; გაზაფხულის ხორბალი—3,3; ქერი—3,3.

აღსანიშნავია თბილისის საბჭოს მიერ მაზრაში თესვის კამპანიის ჩატარება, რამაც გაამხნევა და აამოქმედა მშრომელი გლეხობა და გაუადვილა შეერთებული ძალებით ამ კამპანიის ჩატარება. დაარსებულ იქნა თემებში თესვის კომისიები, ხოლო სოფლებში ქვეკომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ თესვის კამპანიას.

მაზრის აგრონომიული პერსონალიც მთელი თავისი შესაძლებლობით ჩაბმული იყო ამ მუშაობაში.

შეკეთებულ იქნა მაზრაში არსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მაზრა განიცდიდა როგორც სათესლე მასალის, ისე უმთავრესად საქონლის საკვების სიმცირეს. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც რამოდენიმე ფუთი ბზის სამაგიეროდ ღარიბ გლეხს გადაუცია კულაკისათვის ნაკვეთი მიწა მთელი წლის ვადით სასარგებლოთ.

თბილისის საბჭომ ამ მდგომარეობასაც თავის დროზე მიაქცია სათანადო ყურადღება და მიიღო ზომები როგორც სათესლე ხორბლეულით, ისე საქონლის საკვები მასალით დახმარების აღმოსაჩენად. ამ მიზნით განაწილებულ იქნა მაზრაში—თივა—9.099 ფუთი; ქერი—4.100 და სიმინდი 1.500 ფუთი.

ჯაფარ-ფაშა.

—:—

აუტანელი შრომა

ს. კუმისი, თბილისის მაზრა

სოფ. კუმისის ოთხწლიან შრომის სკოლას გამგეთ ითვლება იროდიონ დოლიძე, რომელიც აუტანელ შრომას აკისრებს ამავე სკოლის დარაჯს ვასო ხუნძახიშვილს. ხშირია შემთხვევა, როდესაც გამგე დარაჯს ამუშავებს ზედმეტ საათებს. ეს კიდევ არაფერი. დოლიძე სკოლის დარაჯს ამუშავებს თავის კერძო საქმეზე, აზიდვინებს ფქვილს თბილისიდან და სხვა. იყო ასეთი შემთხვევაც. დარაჯი ხუნძახიშვილი ავადმყოფობის გამო განთავისუფლებული იყო ორი კვირით. დოლიძემ არ მისცა მას საშუალება შვებულებით ესარგებლა და აიძულა ემუშავნა შვებულების გათავებამდე.

დარაჯ ხუნძახიშვილს, რომელსაც თემაღმასკომი აძლევს თვეში ჯამაგირს 15 მანეთს, ავალებენ მოუაროს კუმისში არსებულ სამ სკოლას, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია თითო ვერსით და როდესაც ისინს ვეღარ სწვდება, იძულებულია მოხუცი დედა მოიშველიოს დასახმარებლად სრულიად უსასყიდლოდ.

ნუ თუ დასაშვებია, რომ ასეთი მცირე ჯამაგირის პატრონს კიდევ ზედმეტს ამუშავებდნენ ყოველგვარ გასამრჯელოს გარეშე და ისევ ზოგჯერ სკოლის გამგის კერძო საქმეზე?

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს განათლების მუშაკთა პროფკავშირმა და არ მისცეს უფლება მოქ. დოლიძეს სკოლის დარაჯის დაჩაგვრისა.

კუმისელი.

—:—

ველისციხე, სიღნაღის მაზრა

მიწის რეფორმის გატარების დროს, 1923-24 წლებში ჩამოერთვათ მიწები და ვენახები ვაჭრებს და საერთოდ არამშრომელ ელემენტებს. ზოგიერთ მათგანმა ისურვეს პატიოსანი შრომა და დასდეს პირობა საადგილ-მამულო კომისიის წინაშე, რომ არავითარ შემთხვევაში არ ივაჭრებდნენ და იცხოვრებდნენ თავიანთი პატიოსანი შრომით, რის გამო ასეთებს დაუტოვეს ნორმაში მამულები.

გავიდა რამოდენიმე წელი და ყოფილ ვაჭრებმა დავიწყებას მისცეს თავიანთი დაპირებები. აიღეს პატენტები ძმებისა და ახლო ნათესავების სახელზე; ზოგი მათგანი ამხანაგად გაუხდა სხვას და ისევ გააჩაღეს ვაჭრობა. მიმართეს სხვადასხვა მახინაციებს, რომ დატოვებული მამულები შეენარჩუნებინათ.

ამავე დროს თემში იყვნენ ღარიბები, რომელთაც არ გააჩნდათ სახნავ-სათესი მიწები, ამის გამო თემსაბჭომ მიმდინარე წელს გამოიტანა დადგენილება ჩამორთმეოდათ მამულები ისეთ პირებს, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებენ. ვაჭრები დაფაცურდნენ მამულების კვლავ შესანარჩუნებლად, მაგრამ ვერას გახდნენ.

ამ დადგენილების თანახმად ვაჭრებს ჩამოერთვა 48 დესეტინა ვენახები და 20 დესეტინამდე სათესი მიწა. ჩამორთმეული მამულები გადაეცა კოლმეურნეობას და აღმასკომს, ხოლო მეტი წილი კი გაუნაწილდა ღარიბ გლეხებს, რითაც დაკმაყოფილდა 75 კომლი.

გლეხკორი შ.

გლეხკორთა წერილებიდან

კულტმუშაობა მოისუსტებს

კოჯორის თემი, თბ. მაზრა

კოჯორში მრავლად მოიპოვებიან კულტურული ძალები, ამიტომ აქ კულტმუშაობაც გაჩაღებული უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე როდია, გაზეთების ხმამაღლა კითხვა იშვიათი მოვლენაა, არც წარმოდგენები იმართება სისტემატიურად, ლექცია-საუბრებს ნაკლები ყურადღება ექცევა, მოჯამაგირეები ხომ სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. საჭიროა თემპოლიტგანმა გააცხოველოს კულტმუშაობა.

გ. გარსიაშვილი.

დროა მოგვარდეს ეს საკითხი

დ. მარტვილი, სენაკის მაზრა

სამი თვეა, რაც მარტვილის უბნის სახალხო სასამართლოს თანამშრომლებს არ მიუღიათ შრომის ხელფასი. ასეთი შემთხვევები აქ ხშირია, რაც აუტანელ მდგომარეობაში აყენებს მათ. საჭიროა ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს.

ემ. მარტვილელი.

ქრონიკა

უმუშევართა ფონდის განაწილება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა უმუშევრობასთან საბრძოლველად ადგილებს შორის მესამე კვარტალისათვის გაანაწილა 101.400 მანეთი.

აქედან თბილისს მიეცა 51.000 მანეთი, ბათომს—5.000, სოხუმს—4.000, ქუთაისს—27.000 (ამ თანხით მოწყობილი იქნება საზოგადოებრივი სამუშაოები გადამწვარ უბანში). სამტრედიას—2.000, ჭიათურას—5.000, ზუგდიდს—2.000, სამხრეთ-ოსეთს—2.000, სპეციალურ დანიშნულებისათვის—1.500 და დემობილიზაციაქმნილი სამუშაოზე გასაგზავნად—1.500 მანეთი.

მოგებათა გაცემა

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების ცნობით, მესამე საგლეხო სესხის მეორე ტირაჟით სენაკის მაზრის მცხოვრებმა ერთმა გლეხმა მოიგო 500 მანეთი.

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ გუშინდელი დღის განმავლობაში გასცა ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟის 112 მოგება. მოგებათა გაცემა გრძელდება.

სამუშაო დრო სამკურნალო დაწესებულებებში

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილებამ 1 ივნისიდან შემოიღო სამკურნალო-სანიტარულ დაწესებულებებში სამუშაო დროის აღრიცხვა.

აღრიცხვის მიზანია შრომის პირობების მოწესრიგება, შრომის შესაფერისად გამოყენება და დისციპლინის დაცვა.

აღრიცხვა იწარმოებს სპეციალურ ფორმების საშუალებით. პირველ რიგში აღრიცხული იქნება მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე მოსვლის და წასვლის დრო, დაგვიანება, დაწესებულ დრომდე წასვლა, ზედმეტი ნამუშევარი საათები და გაცდენილი სამუშაო დღეები.

ის თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრაციაში არ გატარდებიან და ისე შეუდგებიან მუშაობას ჩაითვლებიან სრულებით გამოუცხადებლად.

აღრიცხვაში უნდა გატარდენ ყველა თანამშრომლები, იმათ გარდა, რომელთა სამუშაო დრო არ შეიძლება მოთავსდეს ნორმალურ სამუშაო დღის ფარგლებში (აღრიცხვა არ ეხებათ: დაწესებულებათა გამგეებს, მათ მოადგილეებს, მთავარ ექიმებს, მნეებს და სხვ.).

ესპერანტისტების საქალაქო კონფერენცია

კვირას, 3 ივნისს, დილის 11 საათზე პროფკავშირთა ახალ დარბაზში მოწვეულია ესპერანტისტების საქალაქო კონფერენცია. კონფერენციაზე გარდა ესპერანტისტებისა, მოწვეული არიან პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კონფერენცია მოწვეულია ესპერანტისტების თბილისის კომიტეტის ინიციატივით.

„საბჭოთა ფიზკულტურა“ № 9

გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 9. ჟურნალი მიძღვნილია სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულისათვის.

პენსია დ. დადვანის ოჯახს

სვანეთიდან ახლად ჩამოსულმა სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარემ, სვანეთის მილიციის უფროსმა და სვანეთში მომუშავე სხვა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა გუშინ ინახულეს საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. კ. ხომერიკი და სთხოვეს სვანეთის აღმასკომისათვის სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარებლად საჭირო თანხის გაღება და პენსიის დანიშვნა კომუნარ დავით დადვანის ოჯახისათვის, რომელიც მენშევიკური ავანტიურისტული გამოსვლების დროს დაიღუპა საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე. ამხ. კ. ხომერიკმა დადვანის ოჯახს 1 ივნისიდან დაუნიშნა პენსია და ამასთანავე ერთად ჩამოსულ ამხანაგებს აღუთქვა შესაძლებლობის ფარგლებში საჭირო თანხის გაღება სოც. უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარებლად.

თბ. აღმასკომში

◆ **სახლების აღება.** თბ. აღმასკომმა დაადგინა აიღოს ქალაქის დაუგეგმავი რაიონებში უნებართვოდ აგებული სახლები.

◆ **ახალი აბრები.** თბ. აღმასკომის დადგენილებით კერძო ვაჭრები ვალდებული არიან თავიანთი სავაჭრო აბრები შესცვალონ აღმასკომის მიერ გამომუშავებულ ახალი ფორმის მიხედვით.

მიწსახკომში

◆ **მეფუტკრეობა.** მიწსახკომმა გადასწყვიტა შორაპნის მაზრაში მოაწყოს მეფუტკრეობის საჩვენებელი პუნქტი.

◆ **ტრაქტორები.** მიწსახკომის ცნობით, გორის აღმასკომმა დამატებით შეიძინა 6 ტრაქტორი. ამჟამად გორის მაზრაში სულ მუშაობს 21 ტრაქტორი.

◆ **საბეითლო ამბულატორიები.** მიწსახკომის ცნობით ხაშურში, სურამში, გორში და ბორჯომში გაიხსნა ახალი საბეითლო ამბულატორიები.

სოცდაზღვევის კომიტეტში

◆ **ავადმყოფების გაგზავნა.** 12 ივნისს აბასთუმან-არაზინდოში გაიგზავნება ავადმყოფების ახალი პარტია 79 კაცის შემადგენლობით.

◆ **დამზღვევ ხალართს** ანგარიშის გამასწორებელი პუნქტები თბილისში, 1 ივნისიდან მუშაობენ დილის 10 ს. ნაშუადღევის 4 ს.

სხვადასხვა

◆ **ლუდხანა.** „ზაკტპო“ პლეხანოვის პროსპექტზე ხსნის ლუდხანას, სადაც ლუდი გაიყიდება დაკლებულ ფასებში.

◆ **ფ.-ტ. კომისარიატმა გადასწყვიტა** საააგარაკო ადგილებზე გახსნას ახალი საფოსტო კანტორები და განყოფილებები.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** აბაშიდან—ჩიქოვანს, ჭიათურიდან—ანციფეროვს, ახალქალაქიდან—ბოგდანოვს, ლენინაკანიდან—არუთინიანს, სადმელიდან—ტყეშელაშვილს.

ხელოვნების ქრონიკა

ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ხსოვნის საღამო

რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავად ორშაბათს, 4 ივნისს რუსთაველის თეატრში გამართება დიდი ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ მცირე თეატრის მსახიობები, საქართველოს სახ. აკადემიურ დრამის და ოპერის მსახიობები და სხ.

საღამოზე აგრეთვე მონაწილეობს მუსიკალურ საზ-ბის სიმფონიური ორკესტრი დამსახ. მსახიობის ი. ფალიაშვილის მეთაურობით.

სუმბათაშვილ-იუჟინის შესახებ მოგონებით გამოვლენ: დამსახ. მსახ. ა. ა. იაბლოჩკინა, ვ. გუნია, კ. მარჯანიშვილი და ვ. აქსენოვი.

— სახ. კონსერვატორიის გამგეობამ მოიწვია პროფ. ბუცკოი, რომელიც რამდენიმე ლექციას წაიკითხავს მუსიკის პედაგოგიკაზე.

— მედსანშრომის მუშაკთა კლუბში დღეს ჩერნიახოვსკის დირიჟორობით გამართება დიდი სიმფონიური კონცერტი.

— მცირე თეატრის მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჭიქა წყალი“; რუსთაველის თეატრში—„უკანასკნელი მარგალიტი“ და „იბლიან ადგილებზე“.

— საზაფხულო კინო. ოპერის ბაღში გაიხსნა საზაფხულო კინო-თეატრი: „ეთერი“.

შემთხვევები

მკვლელობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობების თანახმად, ამას წინად სოფ. ახალსოფლის (თიანეთის სამილიციო რაიონი) მცხოვრებს წანდირო მათეს ძე ნიბლოშვილს ღამით თავს დაესხა 6 შეიარაღებული პირი. თავდამსხმელებმა ვინტოვკით მოკლეს ნიბლოშვილი. თიანეთის მილიციამ მკვლელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ილალო სოლომონის ძე ხეთური, სიმონ გიორგის ძე აბრამაშვილი, გოგა ისიდორეს ძე ოთარაშვილი, თედო სვიმონის ძე ყაყიჩაშვილი, კიტო პაპას ძე დავითაშვილი და ლატო ალექსის ძე ოთარაშვილი. როგორც გამოირკვა, მკვლელობა ჩადენილია შურისძიების ნიადაგზე.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა სიმონ თედორეს ძე ალექსეევი, იოსებ სოლომონის ძე გიორგანაშვილი, ივანე კონსტანტინეს ძე კალაშნიკოვი და ვასასი იოანეს ასული ლებედევა.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ბინების და მაღაზიების გაქურდვა.

ქურდობა

გუშინ, დღისით გაქურდეს ნიკოლოზ ვოლკოვის ბინა (მაჩაბლის ქ. № 12); წაიღეს 100 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ალექსანდრა ჰანტურიას ბინა (ბაქოს ქ. № 13), წაიღეს 204 მ. საოჯახო ნივთები. გარდა ამისა, გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის ხუთ შემთხვევას. დაპატიმრებულია სამი ქურდი.

სასამართლო

დამნაშავე სულ სხვა აღმოჩნდა

დიდ ხანს საიდუმლოებით იყო მოცული ეს ამბავი.

ძმამ ყელი გამოიჭრა. და კი მკვდარი ნახეს იმავე დღეს თავის ოთახში.

გახდა ეს თბილისში, როსტოვის ქუჩაზე № 8. ყელგამოჭრილი ივანე აპრესოვი უკვე გრძნობა დაკარგული იყო, როცა საავადმყოფოში წაიყვანეს.

ყველა დაინტერესდა ამ უბედური შემთხვევის მიზეზით. შეიქნა მითქმა-მოთქმა. ვინ რას ლაპარაკობდა, ვინ რას!

— საწყალი ქეთო! მაგ მურტალი ძმის მსხვერპლი გახდა! ხომ ატყობდით, რომ ქალიშვილი ქალი ფეხმძიმედ იყო!

— არ მჯერა! მაგას არასოდეს არ ვიფიქრებ. ივანე ამ მხრივ ძალიან გულგრილი და აუჩქარებელი კაცი იყო.

— მაშ, რად გამოიჭრა ყელი, სწორედ მაშინ, როგორც კი მისი და მკვდარი დაუხვდა? ქალო, რამდენ ძმას მოკვდომია და, ყველას რომ ყელი გამოეჭრა, ეს ქვეყანა გადაშენდებოდა. ალბად ვეღარ გაუძლო სინიდისის ქენჯნას!

ეს ვერსია მოეწონა მეზობლებს. არავის ეჭვი არ შეუძლოდა, რომ ივანე აპრესოვი გათახსირებული კაცი იყო და რომ მან დაარისხულა თავისი და ქეთო.

საქმეს ხელი მოჰკიდა სისხლის სამართლის მილიციამ.

გაჩხრიკეს ბინა, ნახეს ივანე აპრესოვის წერილი, რომელიც ასე თავდებოდა: „ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთ!“.

ეს წერილიც არავითარ მასალას არ იძლეოდა საქმის ვითარების გამოსარკვევად. პირიქით, ამან კიდევ უფრო გააძლიერა ერთხელ აღებული ეჭვი.

უცდიდენ ივანე აპრესოვის ბინაზე მოსვლას. როგორც კი აპრესოვი ოდნავ მოჯობინდა, დაუწყეს მისი დაკითხვა. ჯერ კიდევ არ ასახელებდა ამ უბედურების მიზეზს, ხოლო როცა ყურში ჩასცდა ასეთი საზიზღარი ცილისწამება, ივანე აპრესოვმა ყველაფერი დაწვრილებით ილაპარაკა.

— მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, ვისგან დაორსულდა ჩემი და, მხოლოდ ფაქტი ის არის, რომ იგი ფეხმძიმედ იყო. ეს საიდუმლოება მე გამანდო საწყალმა ქეთომ და მთხოვა რომ მუცლის მოშლაში დავხმარებოდი. მუცლის მოსაშლელად მასთან დადიოდა ერთი ქალი გვარად გალიშვილი, რომელმაც იმსხვერპლა ჩემი და. მე ისედაც გული აცრუებული მქონდა ცხოვრებაზე და როცა ეს უბედურებაც ზედ დაერთო, გადავსწყვიტე თავის მოკვლა...

გაჩხრიკეს ივანე აპრესოვის მიერ დასახელებული ქალი ეკატერინე გალიშვილი, რომელიც აღმოჩნდა ძველი ექიმბაში. მისი საარსებო წყარო ყოფილა მუცლის მოშლა არალეგალური გზით. უნახეს დაჟანგული ხელსაწყოები, სთხოვეს საექიმო დიპლომი. აღმოჩნდა, რომ გალიშვილის ქალს დიდედას „კურსები“ აქვს მხოლოდ დამთავრებული! დადასტურდა, რომ აპრესოვის ქალი მისი უვიცი ხელსაწყოების მსხვერპლი გამხდარა. გულშემატკივარ ძმაზე ამას დიდათ უმოქმედნია და მას განუზრახავს თავის მოკვლა.

ეკატერინე გალიშვილი გაასამართლა მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით.

—:—

ქურდი მუშკოოპის მაღაზიაში

მუშკოოპის მაღაზიაში (ყოფილ. ზემელის აფთიაქის პირდაპირ) აუარებელი ხალხია. უეცრად გაისმა ყვირილი:

— მიშველეთ, დავიღუპე! ფული ამომაცალეს!

ამ ყვირილის გაგონებაზე ერთი ძალიან კოხტად ჩაცმული მოქალაქე უეცრად მოწყვეტით გახტა განზე და კინაღამ შეასკდა მეორე მოქალაქეს.

—რამდენი ამოგაცალეს?

240 მანეთი.

— ვინ იყო თქვენს მახლობლად?

იმაზანოვს გაუძნელდა იმის დასახელება, ვინც განზე გახტა ამ ყვირილის დროს.

შეცდომით რომ შეურაცყოფა მივაყენო ამ „ინტელიგენტ“ კაცს, ხომ სიკვდილია? კაცი დიდებულად გამოწყობილია. მშვენიერი გალსტუკი, ახალ-გარეცხილი პერანგი! „ზნაჩოკიც“ აქვს გულზე!

გაჩხრიკეს ყველანი და მათ შორის საეჭვო გალსტუკიანიც. აღმოჩნდა ორი საფულე ორივე ცალიერი.

რას იტყვით! ხომ ვერ უსაყვედურებთ, რომ ფული არ აქვს. მაგრამ ეს ორი საფულე რათ უნდა ჯიბეში! არც ერთში ფული არ აქვს.

ვინაობის გასაგებად მიიყვანეს მილიციაში დიდი მორიდებით. **იზოლ სტერლინი?** ეს ხომ გაქნილი ჯიბგირია, რომელსაც ხუთი წლით გადასახლება აქვს მისჯილი!—სთქვეს სისხლის სამართლის მილიციაში.

სტერლინი გაასამართლეს მიუსაჯეს 6 თვის თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით გადასახლება საქართველოს ფარგლებიდან.

გერ.

რკინისგზაზე

აბანო და საავადმყოფო ხაშურში

თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს განსატვირთავად და აგრეთვე საექიმო დახმარების მუშათა მასებთან დაახლოვების მიზნით, საქართველოს სახ. კომ. საბჭომ საჭიროდ სცნო აგებული იქნეს ხაშურში საავადმყოფო 30 საწოლით.

ამჟამად რკ. გზათა გამგეობა შეუდგა ხარჯთაღრიცხვის შედგენას საავადმყოფოს ასაგებად. შენობისათვის საჭირო თანხები გამოთხოვილი იქნება გზათა სახალხო კომისარიატისაგან. მუშაობა საავადმყოფოს ასაგებათ განზრახულია დაიწყოს მიმდინარე საამშენებლო სეზონში. გარდა ამისა მიმდინარე წელში ხაშურში აშენებული იქნება რკინის გზელებისათვის აბანო. კრედიტები აბანოს ასაგებათ საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით გაცემული იქნება კომუნალურ ბანკიდან.

30 ახალი სახლი

მიმდინარე წელში მთელს ა. კ. რკ. გზის ხაზზე დასრულდება 30 ახალი სახლის აგება რკინის გზელებისათვის. მუშაობა ამ სახლების ასაგებათ დაწყებული იყო გასულ წელში. მათ დასამთავრებლად მიმდინარე წელში გადადებულია 676.489 მანეთი.

საერთო ღირებულება ხსენებული სახლებისა შეადგენს—1.290.549 მანეთს. მიმდინარე წელში მიღებულია ზომები მშენებლობის ღირებულების გასაიაფებლად.

ახალი ინჟინრები

მიმდინარე წელში თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო საექსპლოატაციო დარგი დაასრულა 8 მსმენელმა. ახალგაზრდა ინჟინრები სტაჟის მისაღებათ გაგზავნილი იქნებიან ა. კ. რკინის გზებზე.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 2 ივნისი

დღეს, 2 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.
საგლეხო რადიო გაზეთი № 1 ქართულ ენაზე.
პოლიტიკური მიმოხილვა— ქართულ ენაზე.
რა უნდა გააკეთოს შევებულმა სოფელში—მოხსენება რუსულ ენაზე.
მოსწავლეთა საზაფხულო მუშაობა—რუსულ ენაზე.
მაგერამის წარმოშობა—მოხსენება თურქულ ენაზე.
გაზ. „ენიკენდ“-ი—თურქულ ენაზე.
საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.
კვირეული ცხრილის გადაცემა.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ამ. კავკასიის დეპეშათაა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.
მოხსენების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 2 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ბათლომე კილაძე, ნოდარ აბასოვი, გიორგი დონაევი, ალექსი სიმონიანცი, ირაკლი ხუბერი, ვლადიმერ ოსკანოვი და კონსტანტინე მატინოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: პავლე კალატოზიშვილი, ალექსანდრა მესხი, ბართლომე შენგელია, ნადეჟდა სულაძე, მიხეილ ნოსეკო, მიხ. კუროჩკინი, მიხეილ ხატიაშვილი, ნადეჟდა ღვდელაძე, ბიქტორ მელაძე, ვლადიმერ გველესიანი, ალექსანდრა კუდრიავცევა, ევა ღვთისავრიშვილი, ალექსი ივანიშვილი, რუბენ კაჩაროვი, არ. ტატოიანი, ევგენია მანუჩაროვა, იერემია სარმაკეშიანი, ნიკოლოზ პოლიუჟაევი, ივანე ნაკაიძე, ემილე კუცია, ერმილე ჭკადუა და კონსტანტინე ნანეიშვილი.

შავ მუშათა მეხუთე სექციიდან: სიმონ თითბერიძე, ნერსეს ვარდიანი, სტეფანე მაღალაშვილი, გიორგი მელიქაშვილი, ნიკოლოზ ჭიჭილაშვილი, ვლადიმერ სკოლასელოვი, გიორგი სალაძე, ე. აირაპეტოვა, მოსეს მარტიროსოვი, ნადეჟდა კოტენკო, ლიზა მასეევიჩი, მარიამ პეტრიაშვილი, ანნა დებიუკიანცი, ანა გოგინავა, სოფიო სინანოვა, თეკლე დევანელოვა, სოფიო რომანოვსკაია, აიკ პარუმანოვა, ნინო ჩაუსოვა, არმაის ზალინოვი, ივანე სიჩკიანი, იმამ აზურიანი, არუთინ სარქისოვი, გიორგი ბუკნიაშვილი, ალექსანდრე თვაური, სარქის ალგატანი, დავით გველესკაშვილი, ოგან ტერდავიდოვი, სარქის ავეტიკოვი, არტაშეს დავიტიანი, თედო ციხისელი, არშაკ ეგიაზაროვი, ნესტორ ხამატურიანი და თედო ცინცაძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ივანე სოგანაშვილი, აირაპეტ იაკუნინი, სპირიდონ ხატოვი და ევა არუთინოვა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს 1928 წლის ივლისის 25-სა საქართველოს სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრები. საკონტროლო ციფრების მოცულობა, პროგრამა და შედგენის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრკ და ა. კ. სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიების მოთხოვნებთან.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას შეადგინონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საკონტროლო ციფრები იმ პროგრამით და იმ ვადაზე, რასაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეიმუშავებს.

3. საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო მუშაობის წარმატებით განხორციელებისათვის უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიიწვიოს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების საკონტროლო ციფრების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად წინა მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა პასუხისმგებელი წარმომადგენელნი და აგრეთვე მოსთხოვოს აღნიშნულ დაწესებულებათ, მის მიერვე დადგენილი ფორმით და ვადაზე, საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო სტატისტიკური ცნობები და ყოველგვარი სხვა მასალა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს ხოლმე ყოველთვიურად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს მოხსენება საკონტროლო ციფრების შედგენისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობისა და ამ მუშაობის წარმატებით მსვლელობის შემაფერხებელ დაბრკოლებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მაისის 16.
თბილისი—სასახლე.

—:—

დადგენილება № 36

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სიღნაღისა და თელავის მაზრების გაერთიანების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სიღნაღისა და თელავის მაზრები გაერთიანებულ იქნენ მომავალი სამეურნეო წლიდან ერთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულად ცენტრით სოფ. გურჯაანში.

2. იმ საკითხების მოსამზადებლად და განსახორციელებლად, რაც აღნიშნულ მაზრების გაერთიანებასთან არის დაკავშირებული, დაარსებულ იქნეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: ამხ. ამხ. შალვა მაღალაშვილი (თავმჯდომარე), მოსე ვარამაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ივანე ბაბალაშვილი, არტაშეს გევორქოვი და ალექსი მაისურაძე.

3. საორგანიზაციო კომიტეტს დაევალება: ა) შეიმუშაოს გაერთიანებული მაზრების ადმინისტრატიული დაყოფის პროექტი; ბ) შეადგინოს პროექტი გაერთიანებული ადგილობრივი ბიუჯეტისა; გ) შეადგინოს სამაზრო დაწესებულებათათვის საჭირო სადგომების გურჯაანში აშენების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და გამონახოს ამისათვის საჭირო სახსარი, დ) მოამზადოს და მოიწვიოს საბჭოთა ყრილობა.

4. დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებისათვის საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს: ა) მოსთხოვოს ყველა დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც კი გაერთიანებული მაზრების ტერიტორიაზე მოქმედებს, ყოველგვარი საჭირო ცნობები და მასალები, ბ) მოიწვიოს გაერთიანებული მაზრების ტერიტორიაზე მომქმედი დაწესებულებათა და საწარმოთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები იმ საკითხების ერთად განსახილველად და შესათანხმებლად, რაც საორგანიზაციო კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის; გ) შეიტანოს საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებში განსახილველად სხვადასხვა საკითხები, რაც აღნიშნულ მაზრების გაერთიანებას შეეხება; დ) იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა ყველა ცენტრალურ დაწესებულებასთან იმავე საკითხების გამო; ე) მოიწვიოს თათბირები საორგანიზაციო კომიტეტის ქვემდებარე საკითხების შესახებ და ვ) მოიწვიოს ხოლმე საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები იმ საკითხების გამო, რაც მათთან შეთანხმებულ უნდა იქნეს, აგრეთვე სხვა პირებიც კომიტეტის შეხედულებისამებრ.

5. საორგანიზაციო კომიტეტი მისი მოქმედების სფეროში დაექვემდებარება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სსრ. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წლ. მაისის 30.
თბილისი—სასახლე.

—:—

დადგენილება № 37

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

რაჭისა და ლეჩხუმის გაერთიანების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები გაერთიანებულ იქნენ მომავალი სამეურნეო წლიდან ერთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულად ცენტრით სოფ. ქრებალოში.

2. იმ საკითხების მოსამზადებლად და განსახორციელებლად, რაც აღნიშნულ მაზრების გაერთიანებასთან არის დაკავშირებული, დაარსებულ იქნეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: ამხ. ამხ. სიმონ ჯულელი (თავმჯდომარე), პარმენ წულუკიძე, (თავმჯდომარის მოადგილე), გრიგოლ ჭელიძე, ანდრო ხიამაშვილი და ივანე გულბანი.

3. საორგანიზაციო კომიტეტს დაევალება: ა) შეიმუშაოს გაერთიანებული მაზრების ადმინისტრატიული დაყოფის პროექტი; ბ) შეადგინოს პროექტი გაერთიანებული ადგილობრივი ბიუჯეტისა; გ) შეადგინოს სამაზრო დაწესებულებათათვის საჭირო სადგომების ქრებალოში აშენების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და გამონახოს ამისათვის საჭირო სახსარი; დ) მოამზადოს და მოიწვიოს საბჭოთა ყრილობა.

4. დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებისათვის საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს: ა) მოსთხოვოს ყველა დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც კი გაერთიანებული მაზრების ტერიტორიაზე მოქმედებს, ყოველგვარი საჭირო ცნობები და მასალები, ბ) მოიწვიოს გაერთიანებული მაზრების ტერიტორიაზე მომქმედ დაწესებულებათა და საწარმოთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები იმ საკითხების ერთად განსახილველად და შესათანხმებლად, რაც საორგანიზაციო კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის; გ) შეიტანოს საქართველოს ს. ს. რ. საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად სხვადასხვა საკითხები, რაც აღნიშნულ მაზრების გაერთიანებას შეეხება; დ) იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა ყველა ცენტრალურ დაწესებულებასთან იმავე საკითხების გამო; ე) მოიწვიოს თათბირები საორგანიზაციო კომიტეტის ქვემდებარე საკითხების შესახებ, და ვ) მოიწვიოს ხოლმე საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები იმ საკითხების გამო, რაც მათთან შეთანხმებულ უნდა იქნეს, აგრეთვე სხვა პირებიც კომიტეტის შეხედულებისამებრ.

5. საორგანიზაციო კომიტეტი მისი მოქმედების სფეროში დაექვემდებარება საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სსრ. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წლ. მაისის 30.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე სტუდენტთა კლუბში შესდგება სოციალ. ეკონომიურ ფაკულტეტის მე-3-მე და მე-4 კურსის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის სხდომა.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 2 ივნისს, დღის პირველ საათზე მოწვეულია სახელ. უნივერ. სოც. ეკონომიური ფაკულტეტის კომ-უჯრედის ბიუროს მორიგი სხდომა. კურსის პარტკოლექტივის და ა.ლ.კ.კ. ორივე უჯრედის მდივნების დასწრება აუცილებელია.

უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკ. არსებულ პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 2 ივნის, საღამოს 5 საათზე მოწვეულია პარტ-კოლექტივის (უჯრედის) კრება;

პარტიის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკ. არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 2 ივნისს, საღამოს 7 საათზე შესდგება აღნიშნულ უჯრედის კრება; წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 2 ივნისს, დღის 3 საათზე მოწვეულია ბიუროს სხდომა. დასწრება ბიუროს წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა. აგრეთვე სხდომაზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

ჯღამაძე ანტონ, შეკრელიძე ეგნატე, ჯაფარიძე სერგო, ცინცაძე სერგო, აფრიდონიძე ივანე, კენჭაძე ნიკოლოზ და გაბაშვილი გიორგი.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 2 ივნისს, საღამოს 5 საათზე ახ. ლ. კ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20) მოწვეულია **თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.**

კომისიის წევრთა და აგრეთვე იმ პირთა დასწრება, რომელთა ანკეტები დასამტკიცებელია თბილისის კომიტეტის მიერ სავალდებულოა.

მე-6 ქართულ ლეგიონის 1 ათასეულის კომ უჯრედში შემოვიდა ამხ. თედო პავლესძე მამისურაძის, შუშანიკა პორფირის ასული ნადირაძის, გიორგი პეტრესძე ზანდუკელის, ვასო ქიტესძე ხუციშვილის, არჩილ შიოსძე კაიშაურის და ვასილ იოსებისძე კანდელაკის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

ვთხოვთ ამხანაგებს, თუ აქვთ რაიმე ამ პირთა მიღების საწინააღმდეგო აცნობონ უჯრედის ბიუროს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 2 ივნისს, დღის 1-ლ საათზე არსრაიკომის შენობაში შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის პარტკოლექტიურის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 2 ივნისს, დღის 1-ლ საათზე ბიუროში უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

ნინო ბერიძე, მარიამ ბახტაძე, ლავრენტი გალდავა, ნინო მაზანაშვილი, ანტონ კაპანაძე, ვასილ კაპანაძე, დავით რატიანი, ელენე ჯიბლაძე, გიორგი ხარატიშვილი, დავით ბერძენიშვილი და ნოე კობიაშვილი.

ვინ არის წინააღმდეგი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელი ქვე-განყოფილება ამით იუწყება, რომ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მისაღებად. ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს, წერილობით შეატყობინონ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელ ქვე განყოფილებას არა უგვიანეს 4 ივნისისა, დღის 3 საათ.

პირველი რაიონი (ლენინის): ალექსანდრე ვასილისძე ჭელიძე, სოლომონ ვენიამინისძე პეტრიკო, ილარიონ თადეოზისძე სირაძე, სევერიან ექვთიმესძე ნუცუბიძე, ბარნაბ მიხეილისძე ასათიანი, სერგო გიორგისძე დავითაშვილი, ანდრო სოლომონისძე ბიბინეიშვილი.

მეორე რაიონი (ორჯონიკიძის). ავთანდილ თავბერიძე, არშაკ იაგორისძე ნანიკოვი, მარგალიტა მიხეილის ასული ორე, სარქის მიხეილისძე კირაკოსოვი, (შაქრო ნავთლუღელი), ვარვარა ნიკოლოზის ასული კულგინა, ლიუდვიგ ოსიპისძე კოკოიანცი, ნოდარ კონსტანტინესძე ამაშუკელი, ნიკოლოზ ლაზარესძე ლიჩელი, იოსებ ფარნაოზისძე ქელბაქიანი.

მესამე რაიონი (ავლაბარ-ხარფუხის). ლიდია თედორეს ასული საბეკია, ეკატერინე პეტრეს ასული ლეკიშვილი, აპოლონ ილიასძე ჯორბენაძე. კონსტანტინე მიხეილისძე ტროფიმოვი, მიხეილ ივანესძე ტაბიძე, ზაქარია ილიასძე ჩერქეზიშვილი, კირილე ივანესძე ეფრემიძე, მელქომ მხითარისძე მეგრაბიანი, გურგენ ავეტიკასძე კარაპეტიანი, პოლიკარპე ნესტორისძე კიკვაძე, ალექსანდრე ვასილისძე ბირიუკოვი, ვასილ ივანესძე კობახიძე, შალვა ივანესძე შარიქაძე, მირიან ივანესძე გეგენავა. ქრისტეფორე კ. იპოლიტოვი, ლიდია ვასილის ასული ლაპინა, ანტონ კონსტანტინესძე ალიხანოვი, ალექსანდრე აბრამისძე ბაღდადიშვილი, ერიკა ალექსანდრეს ასული საყვარელიძე, აბრამ ივანესძე მალხაზოვი და ბორის იოსებისძე ძნელაძე.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა რაჟდენ, დედა კატუშა, დაი ვენერა, ბიძა პარმენ თავის ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი შვილი

ოთარ რაჟდენის-ძე ესებუა

გამოსვენება კვირას, 3 ივნისს, ბინიდან—პლეხანოვის პრ. № 118. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე: ტერეზი შვილებით: ლეო და ბორია, დედა მართა, ძმები: ვიქტორი და ილარიონი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებული მემანქანე

მელიტონ სტეფანეს-ძე ცქიფურიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დიდუბის სასაფლაოზე, კვირას, 3 ივნისს, ნაშუადღევის 12 საათზე. 2537

დამწუხრებული ნინო დიმიტრის ასული, შვილები ლიზა და შალვა, და სოფიო ჩერქეზიშვილისა, სიდედრი მარიამ და ცოლის ძმა ილიკო აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 4 ივნისს, დღის 12 საათზე, ვერის ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

გიორგი (გოლა) სუთიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2538

სამუდამოთ გულდათუთქულნი და უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ელენა, მამა გაბრიელი საბას-ძე, დები: ნადო და ჩინო გოგავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ცეცხლში ტრაგიკულად დაღუპულის ერთად-ერთი ვაჟის და საყვარელ ძმის ოცი წლის

ალექსანდრე (ბიჭე) გაბრიელის-ძე გოგავას

ხსოვნის აღსანიშნავად 3 ივნისს, დღის 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2534

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო ეთერი	კარმენ ბონი და ვალტერ სლეზაკი უცხოეთის მხატვრულ სურათში მშვიდობით ახალგაზრდობავ
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი პიერ ბენუას რომანის მიხედვით კენიგსმარკ
საზაფხულო პალასი	საინტერესო კინო-რომანი 3 სერიათ „ზღვის გმირი“ 1 და 2 სერია ერთად
აპოლო	დიდის წარმატებით მიდის კომედია იმერეთის ცხოვრებიდან სამანიშვილის დედინაცვალი დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით რეჟისორი—კ. მარჯანიშვილი, ოპერატორი—ვ. ენგელსი
სოლეი	
მინიონი	ჟენი პორტენ ახალ მხატვრულ დრამაში დედა და შვილი
ოდეონი	დიდის წარმატებით მიდის „ორი ქმრის ცოლი“
პროლეტარი ავლაბარი	მოხეტიალე ვარსკვლავები

ანონსი:—მალე მხატვრული ფილმი „ქვანძი“ 0—25

ბაღი [illegible]
(ყოფ. [illegible])
პლეხანოვის პროსპ. 105

დღეს სეზონის გახსნა

ყოველდღე კონცერტები მოსკოვის და ლენინგრადის საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით

ერემეევა ედ და ვარ ივერ და ნელსონი

ბოშური რომანსები პოლიტ-სატირა პარიზული ცეკვა

მოსკოველ ბოშების გუნდი ს. ფ. ხერგეევას ხელმძღვანელობით. კონფერანსიე პ. გ. რაისკი. პირველხარისხოვანი რესტორანი საუკეთესო კულინარების ზედამხედველობით. ყოველდღე სადილი და ვახშამი. ღამის 12 საათიდან კაბარე მრავალფეროვანი პროგრამით. სიმებიანი და სამხედრო ორკესტრი. ბევრი სხვა გასართობი. კონცერტები იწყება საღ. 10 საათზე. ნ. 1184

იბეჭდება

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის

„ანთოლოგიის“

მეორე ტომი XVI—XVIII საუკ.

რომელშიაც მოთავსებული იქნება შემდეგი ავტორები

1. სერაპიონ საბაშვილი
2. უცნობი ავტორი (ვეფხის ტყაოსნის გაგრძელება)
3. იოსებ ზელიხანიანიდან
4. ქაიხოსრო ომანიშვილი—ჩოლოყაშვილი
5. თეიმურაზ I
6. გარსევან ჩოლოყაშვილი
7. ნოდარ ციციშვილი
8. მამუკა მდივანი
9. ზურაბ ვაჩნაძე
10. რუსუდანიანი (ნაწყვეტები)
11. არჩილ მეფე
12. იოსებ თბილელი
13. იაკობ შემოქმედელი—დუმბაძე
14. უცნობი ავტორი (მეფეთა სალარო)
15. საბა-სულხან ორბელიანი
16. ვახტანგ VI
17. პეტრე ჩხატარაიძე
18. თეიმურაზ II
19. მამუკა ბარათაშვილი
20. დიმიტრი საააკძე
21. მამუკა გურამიშვილი
22. ვახტანგ ორბელიანი
23. დავით გურამიშვილი
24. დიმიტრი ორბელიანი
25. კათალიკოსი ანტონ I
26. ზაქარია გაბაშვილი
27. ბესიკი
28. დიმიტრი ბაგრატიონი
29. საათნოვა
30. მანანა
31. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი
32. სოლომონ ლეონიძე
33. ბატონიშვილი ქეთევანი
34. „ თეკლე
35. „ მარიამი
36. „ ფარნავაზი
37. პეტრე ყარიბი
38. გიორგი თუმანიშვილი
39. გიორგი ავალიშვილი
40. ივანე მურატოვი
41. დავით რექტორი

რედაქტორი ია ეკალაძე. ნ. 1183

მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო ბაღი (ყოფ. სტელა)

დღეს 2 ივნისს

სახელმწიფო ოპერის აკადემიურ ორკესტრის

სიმფონიურ კონცერტების

სეზონის გახსნა

ორკესტრში მონაწილეობას იღებენ სოლისტები სტუპელი, ბენდიცკი, კაპელნიცკი და სხვ. (55 კაცი). ცნობილ დირიჟორის სახალხო არტისტის მარკ იხაის-ძე **ჩერნიახოვსკის** პირველი გასტროლი.

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე. დაწვრილებით აფიშებში. ცუდი ამინდის გამო კონცერტი არ გადაიდება. 2—2 ნის. 1177

საქართვ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველო

ამით აცხადებს,

რომ 1928 წლის 21 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის მიერ **დამტკიცებულია**

ბათომის ქალაქის ლომბარდის წესდება

ლომბარდის ძირითადი თანხა წესდებით განსაზღვრულია 25.000 მან.

სავალიუტო სამმართველოს უფროსი ნ. ძოიავა.
უფროსი ინსპექტორი დ. კიკვაძე.

საკავშირო ფინსახკომმა მოსკოვში გახსნა უმაღლესი ერთ-წლიანი

ფინანსიურ-ეკონომიური

კურსები (ЗАОЧНЫЕ)

სადაც ა | წ. მარტიდან ვარ ჩარიცხული.

მაცადინეობა მიხდება მარტო და მინდა შესდგეს წრე.

მსურველებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ გაზ. „კომუნისტი“-ს ექსპედიციაში, კამოს ქ. № 68 **ლ. სარალიძესთან.** ნ. 1185

იყიდება

გიორგი გოგელიასეული სახლი

ქალ. **ოზურგეთში,** აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „**კომუნისტი**“-ს **მთავარ კანტორაში,** თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0—4 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 3 ივნისს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ; გაიყიდება ხალიჩები, ბუფეტები, შიფონერკები, გარდერობები მოქ. არონოვის საგალანტერეიო საქონელი და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1186

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი თ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 5 ივნისს 1928 წ. დღის 1 საათ. სახლში № 12 იერუსალიმის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბინო ბატუაშვილის მოძრავ ქონებას: პიანინო „კრეზის“ საწოლებს, ბუფეტებს, კედლის საათს, კამოდს, პირსაბანს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 754 მან. კარაპეტ ბადალიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სამაზრო საქალაქო სახალხო სასამართლოსაგან 10 მაისს 1928 წ. თარიღით № 121/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 2539

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 7 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 16 კომუნალურ ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ალაქპერ ხათარ-ოღლის მოძრავ ქონებას: სათამაშო ნარდებს, მაგიდებს, სკამებს და სხვა შეფასებულს 132 მან. სახ. ქვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 24 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1914 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1187

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 7 ივნისს 1928 წ. დღის 1 საათ. სახლში № 29 კომუნალურ ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ზულფიკარ გუსეინოვის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, ვენურ სკამებს, სამოვრებს, ნარდს და სხვა შეფასებულს 75 მან. მამედ თალი გუსეინ-ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 18 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1775 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1187

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დიმ. დ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 7 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 11 ალაზნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ლეონ არუთინოვის სამსართულიან სახლს, რომელიც შესდგება 8 საცხ. ოთახისაგან, 2 კუხნისაგან, ნაშენია აგურით, დახურული თუნუქით და აგებულია 25 კ. საჟ. და 5 არშ. მიწაზე შეფასებულს 1.500 მანეთად, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 28 სექტემბერს 1927 წ. თარიღით, № 3404 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 1187

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 6 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 6 დიდი ვანქის ქუჩაზე (არუთინოვის ბინაში) **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ სუსანა არარატოვა კაწახოვის მოძრავ ქონებას: სასადილო მაგიდას, დივნებს დივანს, სარკეს, კედლის საათებს, საკერავ მანქანას და სხვ. შეფასებულს 590 მანეთად, მოქ. მეზუროვას, უვაროვას და კისილიოვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 29 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1984 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1187

მიხეილ ზედვანიშვილის

ხაზელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ეორესის ქ. კუთხე.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სახქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ლებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება

უკანასკნელი და საგოლოვო

საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ● ● ● ● ● ● ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარცისის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

1921 წ. ალექსანდროპოლის ბავშთა თავშესაფარიდან

გამოიპარა არპენიკ მნაცაკანის ასული აკოპიანი. არის ცნობები, რომ ის იმყოფება თბილისში. ვინც იცის მისი საცხოვრებელი ბინა, გთხოვთ აცნობოთ მის დედას **ნაზიკ აკოპიანს** შემდეგი მისამართით: კარლ-მარქსის ხიდი № 32, საპარიკმახერო „სანიტას“ **სიმონ მარტიროსოვს.** 2535

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2243, ანდრო პლატონისძე კვალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2531

დავკარგე: ს. ა. ლ. კ. კ. საწევრო წიგნაკი № 34005 გაცემული გორის მაზრკომის მიერ გიორგი ირემაშვილის სახელზე, ჩ. გ 2533

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 18755 და ხელოვ. მუშ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 95368—დავით გიორგის-ძე ნაზუცრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2532

დავკარგე: მეეზოვის № 143 დათიკო ტვაევის სახელზე, ჩ. გ. 253

დავკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 383 იპოლიტე ალექსანდრეს-ძე სულაძეს სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4, ანდრია ს ნის-ძე თოთიბაძის სახელზე, ჩ.